საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 სექტემბერი პარასკევი 2012 №230 (13 836) ფასი 80 თეთრი

# ჟუნიბორი?

## ბრაზილიელი ბომბარდირი დილაში?


ნათან ჟუნიორი

ინტერნეტ-პორტალი "სოკერვეი" მოთამაშის ამა თუ იმ კლუბში გადასვლას ზედმიწევნით ზუსტად აფიქსირებს. იმავეს ვიტყვით არანაკლებ ცნობილ გერმანულ ინერნეტ-სააგენტო "ტრანსფერმარკტზე".

ჩვენდა მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ ამ ორივე ვებგვერდზე გორის "დილას" მოთამაშედ გამოაცხადეს 2011 წლის ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ნათან ჟუნიორი**, სწორედ ის, ვინც შარშან მეგოლეთა დავაში "დაუგავას" ქართველ თავდამსხმელ **მამუკა ღონღაძეს** ერთი გოლით გაასწრო.

რიგის "სკონტოს" და ლატვიის ჩემპიონატის 24 წლის ბრაზილიელი ბომბარდირი ნათან სოარეს დე კარვალიო ჟუნიორი ზაფხულში ავსტრიულ "კაპფენბერგში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა, რის საკომპენსაციოდ სახით ლატვიელებმა 40 ათასი ევრო მიიღეს.

ბრაზილიელის "დილაში" გადასვლას ჯერ კლუბში არ ადასტურებენ. თუმცა, მოლაპარაკება რომ სერიოზულად მიმდინარეობს და ბრაზილიელი ლეგიონერის გორულ კლუბში ჩარიცხვა რეალურია, ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტები მეტყველებს: ნათან ჟუნიორი საქართველოში 16 სექტემბერს ჩამოფრინდა და ბოლო ტურში "დილას" და რუსთავის "მეტალურგის" მატჩსაც დაესწრო. მაგრამ გუნდთან ჯერ არ უვარჯიშია. ტრანსფერის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მის აგენტს, რომელსაც საქართველოში უახლოეს დღეებში ელიან.

ნათან ჟუნიორი იყო ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების წევრი – ჩაატარა 3 შეხვედრა, თუმცა, გოლი ვერ გაიტანა. თამაშობდა "ბოტაფოგოს" (2005), „ფლამენგოს" (2005) და "ანორთოსისის" (2005-2007) ახალგაზრდულ გუნდებში. 2007 წლიდან რიგის "სკონტოში" ირიცხება, სადაც 2011 წლამდე ჩატარებულ 72 მატჩში 45 გოლი მიითვალა. 2008 წელს რიგელებმა საკუთარ ფარმ-კლუბ "ოლიმპსში" ნახევარი წლით გაანათხოვრეს, 2012 წლის იანვარში კი "კაპფენბერგში" ჩაირიცხა - 13 მატჩი, 1 გოლი.

**მერაბ მამულაშვილი**

## რატომ არ უნდა ჩამოვიდე ნაკრებში?



ინტერვიუ გიორგი ჟლენტთან

11

## ბარსელონას ამობრუნებული პირამიდა და მისი საიდუმლოება





9

## ბელარუსმა და ესპანეთმა ქართველები გააქცირეს



2

## ერთი ნაბიჯი ევროლიგამდე

დღეს კანტუ ლე მანს დაეჭიდება



11

## №1 კვალიფიკაციაში

ანა ჩინეთში იჩაუქებს



11

ქართული ფეხბურთი

სატრანსფერო ბაზარი

# კანკავა მილიონად დაფასდა



ჯაბა კანკავა

**2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბელარუსთან და ესპანეთთან საქართველოს ნაკრების მატჩებისა და ევროპული ტურნირების შემდეგ, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის პირობითი სატრანსფერო ღირებულება გაიზარდა.**

ზაფხულში ინტერნეტ-სააგენტო „ტრანსფერმარკტი" საქართველოს ნაკრების კაპიტნის, **ჯაბა კანკავას** ტრანსფერს 800 ათას ევროდ აფასებდა. დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" დაბრუნებული კრივოი როგის "კრივბასის" ყოფილ ვიცე-კაპიტნის, საყრდენი ნახევარმცველის გრაფაში ახლა 1 000 000 წერია.

მარიუპოლის "ილიჩივეცის" შემტევი ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილის** ტრანსფერის მიახლოებითი ღირებულება ივლისში 400 000 ევრო გახლდათ. მაგრამ სანაკრებო მატჩების, ბელარუსთან მშვენიერი გოლის, "ილიჩივეცის" ძირითადში დამკვიდრებისა და ზოგადად თავის კარგად წარმოჩენის შემდეგ, ეს ციფრი 700 000-მდე გაიზარდა.

ესპანეთის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ პოლონეთის ექსტრაკლასას "იაგელონიას" შემტევი ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძეს** გრაფაში 400 000-ის ნაცვლად 500 000 გაჩნდა.

**მათე ვაწაძის** ტრანსფერს ევროთასების მატჩებამდე და დანიურ "ოდენსეში" გადაბარგებამდე 400 ათასად აფასებდნენ, ახლა მნიშვნელოვნად მეტად – 700 ათასად.

რუსთავის "მეტალურგის" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს **ირაკლი მაისურაძეს** 300 000-ის ნაცვლად უკვე 425 000 ევროდ აფასებენ.

არადა, შარშან იანვარში რუსთაველთა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **თორნიკე მაისურაძემ** მოსკოვის მოყვარულთა ჩემპიონატში მოძებნა.

ერთადერთი მოულოდნელობა **გიორგი ლორიას** უცვლელი ღირებულებაა – ესპანეთ-ბელარუსთან ჩატარებული ჩინებული მატჩების მიუხედავად, თბილისის "დინამოს" მეკარის გრაფაში ისევ 800 000 არის მითითებული.

ნაკრების ლიდერთა სამეულში მდგომარეობა უცვლელია: კვლავ **გურამ კაშია** ლიდერობს - არნემის „ვიტესის" კაპიტნის ტრანსფერის მიახლოებითი ღირებულება კვლავ 4 500 000-ია, მეორეზეა „კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი** – 3 000 000, მესამეზე - „ქაისერის" მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** – 1 500 000.

კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ „ტრანსფერმარკტის" შეფასებები ჩვენი მოთამაშეების მიმართ ევროპელთა დამოკიდებულებას ასახავს, მაგრამ პირობითია.

ნაკრების წევრთა სატრანსფერო ღირებულება კი ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| ნუკრი რევიშვილი | 1 000 000 |
| გიორგი ლორია | 800 000 |
| როინ კვასხვაძე | 700 000 |
| ომარ მიგინეიშვილი | 400 000 |
| **მცველები** | |
| [illegible] | 1 000 000 |
| გურამ კაშია | 4 500 000 |
| აკაკი ხუბუტია | 700 000 |
| დავით ქვირკველია | 750 000 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | 3 000 000 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 1 500 000 |
| გიორგი ფოფხაძე | 350 000 |
| გია გრიგალავა | 800 000 |
| გიორგი რეხვიაშვილი | 500 000 |
| **ნახევარმცველები** | |
| ალექსანდრე კობახიძე | 1 300 000 |
| ჯაბა კანკავა | 1 000 000 |
| დავით თარგამაძე | 1 200 000 |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 700 000 |
| ჯაბა ლიპარტია | 900 000 |
| ლევან ჭენია | 300 000 |
| სანდრო გურული | 450 000 |
| მურთაზ დაუშვილი | 700 000 |
| ირაკლი მაისურაძე | 425 000 |
| ჯანო ანანიძე | 2 000 000 |
| თორნიკე გორგიაშვილი | 425 000 |
| ნიკა ძალამიძე | 500 000 |
| ზურაბ არზიანი | 350 000 |
| **თავდამსხმელები** | |
| ნიკა გელაშვილი | 500 000 |
| ლადო დვალიშვილი | 1 200 000 |
| ლევან მჭედლიძე | 400 000 |
| ოთარ მარწვალაძე | 1 200 000 |
| ირაკლი სირბილაძე | 350 000 |
| მათე ვაწაძე | 400 000 |
| ჯაბა დვალი | 550 000 |

**მერაბ მამულაშვილი**

პორტრეტი

# ჯერაც გამოცანა

**რწმენა დიდი საქმეა. ფეხბურთელსაც ეს სჭირდება, როცა მოედანზე გადის, როცა ჩავარდნა აქვს და ხელახლა უნდა წამოდგეს ფეხზე. "ზესტაფონის" ახალმა მწვრთნელებმა, დავით მუჯირმა და ზაზა ზამთარაძემ ნდობა გამოუცხადეს რატი წინამძღვრიშვილს. ერთი მხრივ ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან წინამძღვრიშვილის გარდა "ზესტაფონს" ამ დროისთვის ასე თუ ისე გამოცდილი თავდამსხმელი არ მოეპოვება, მეორე მხრივ კი წინამძღვრიშვილის საფეხბურთო რეანიმაცია არის ნდობა – რატი ხომ ბევრს უკვე ჩამოწერილი ეგონა, ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში კი "ზესტაფონს" მცხეთა პარკზე მოაგებინა "ვიტ ჯორჯიასთან".**

რატი "ამერიდან" გაიცნეს, როცა ამ გუნდის თავკაცი **გაიოზ დარსაძე** იყო. 1988 წელს დაბადებულები – "ამერმა" ამ პლეადაზე გააკეთა გათვლა. წინამძღვრიშვილი, **გიორგი განუგრავა, ბექა გოცირიძე**... ისინი იყვნენ დარსაძის ჯილები. "ამერშიც" თავიდან სჯეროდათ 88-იანების პროექტის, ისიც სჯეროდათ, რომ ყველა 88-იანი დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებდა და მათგან ერთს ან ორს რომ გაექაჩა, უკვე შედეგი იქნებოდა.

რატი ოქროყანიდან დადიოდა თბილისში ფეხბურთის სათამაშოდ. თბილისი-ოქროყანა-თბილისი: თუ აგარაკზე მიდიხარ, სასიამოვნო მარშრუტია, საფეხბურთო სკოლაში სასიარულოდ კი ვერ არის იოლი საქმე.

რატის ფესვები წინამძღვრიანთკარიდან არის, ეს არის სოფელი საგურამოსთან ახლოს. იქ ფეხბურთელის ბაბუა ცხოვრობს, რატის კი საქმე ისე წაუვიდა, რომ ხეტიალი მისი ცხოვრების სტილი გახდა. ის სპეციფიკურ გარემოში გაიზარდა და შესაბამისად, განსაკუთრებული მიდგომა იყო საჭირო...

წინამძღვრიშვილი ასაკობრივ ნაკრებებში გამოიძახეს. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად უმცროსი **ნოდარ ახალკაცი** მოიყვანეს, ვინც გაიოზ დარსაძეს და "ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიას** ეყრდნობოდა, თავისებური ტრიუმვირატი ჩამოყალიბდა ქართული ფეხბურთის სვე-ბედის შესაქმნელად.

რატი "ამერის" ფეხბურთელი იყო და მისით "ზესტაფონი" დაინტერესდა. წინამძღვრიშვილს დარსაძემ ეროვნულ ნაკრებშიც მისცა თავის გამოჩენის შანსი. რატის აქციებმა აიწიეს.

2006 წელს "ამერმა" საქართველოს თასის ფინალში "ზესტაფონი" დაამარცხა. ჩინებული თავური გოლი და საგოლე პასი – ასეთი გამოდგა რატის მონაგარი იმ ფინალში.

წინამძღვრიშვილი მაშინ 18 წლის გახლდათ. ბევრი გახსოვთ, თასის ფინალი 18 წლისას რომ "გაეკეთებინოს"? არადა, მართლაც ასე იყო, რატის უკვე შეეძლო თამაშის გაკეთება.

თინეიჯერულ ასაკში სტაბილურობა ძალიან ძნელია. რატი რეალითი შოუ "ჯეო-ბარში" გამოჩნდა სიგარეტით. ამაში არაფერი იყო განსაკუთრებული, თუმცა ზოგიერთის მენტალიტეტი ფეხბურთელის ასეთნაირად გამოჩენას ვერ ეგუება. მე მაინც მგონია, რომ მაშინ ყველაფერი ასაკის ბრალი იყო და არა ფეხბურთელის ხასიათის. წინამძღვრიშვილს ტრავმამაც შეუშალა ხელი. რატი "ამერის" მეორე გუნდში აღმოჩნდა... ამასობაში ჩვენი ნაკრებების ხელმძღვანელიც შეიცვალა. ამას მოჰყვა ის, რომ წინამძღვრიშვილმა მძიმე ტრავმა მიიღო. შემდეგ "ამერიც" დაიშალა. ყველაფერი ერთმანეთს წაეწყო, მაგრამ ცუდს კარგიც მოჰყვა – "ზესტაფონის" პრეზიდენტს ამ ფეხბურთელის აყვანა ძალიან უნდოდა და სანადელსაც მიაღწია.

"ზესტაფონმა" ბევრი გააკეთა წინამძღვრიშვილისთვის. კლუბის დახმარებით ოპერაცია და სარეაბილიტაციო პროცესი რატიმ ევროპაში მოილია. "ზესტაფონმა" ის ხელახლა აქცია ფეხბურთელად.

წინამძღვრიშვილი თითქოს ურიგოდ არ გამოიყურებოდა "ზესტაფონში", მაგრამ ვერ ვნახეთ მისი ისეთი აფეთქება, როგორსაც მისგან ელოდნენ. რისი ბრალი იყო ეს? "ზესტაფონის" სხვა ფეხბურთელები წინ მიიწევდნენ, რატი კი...

წინა სეზონის დასრულების შემდეგ წინამძღვრიშვილი სხვა გუნდში აპირებდა გადასვლას, ოღონდაც ტრანსფერი გვარიანად რთული საქმეა და მით უმეტეს ისეთი ფეხბურთელის, ბოლო დროს წარმატებით რომ ვერ თამაშობდა.

წინამძღვრიშვილი ფაქტობრივად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თან იყო "ზესტაფონის" ფეხბურთელი და თან - არც იყო.

ახმახი, აგრესიული, გოლის გატანის ალღოთი დაჯილდოებული, თავით კარგად მოთამაშე, ცენტრფორვარდი, რომელსაც ბურთის შენარჩუნებაც და გუნდის "ამოყვანაც" შეუძლია – ასეთი კაცი უქმად დარჩა.

ახლა კი მორიგი რეანიმაციაა. მუჯირი და ზამთარაძე ალბათ აღმზრდელობით მუშაობასაც ეწევიან "ზესტაფონის" ზოგიერთ ფეხბურთელთან. ესეც მწვრთნელობის ერთ-ერთი ნაწილია. ამ საქმიდან რაღაც უკვე გამოდის, წინამძღვრიშვილი ისევ მოედანზეა და გოლებიც გააქვს.

ნიჭს ბევრი შეუძლია. წინამძღვრიშვილის შესაძლებლობების ზღვარი კი სად გადის, ჯერ გამოცანაა.

**დავით თავართქილაძე**



ფუტსალი

# საქართველო მალტის ტურნირზე მიიწვიეს

**მალტის ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ფუტსალის ნაკრები საერთაშორისო ფუტსალის ტურნირზე მიიწვია. როგორც შევიტყვეთ, ჩვენი ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტმა ლევან ცქიტიშვილმა მალტელებს უკვე თანხმობა შეუთვალა. საქართველოსა და მალტის გარდა, ოთხთა ტურნირზე საბერძნეთისა და ინგლისის ნაკრებები ითამაშებენ, მატჩები კი 5-11 იანვარს ლა-ვალეტაში გაიმართება.**

ინგლისის ნაცვლად, მალტელებმა თავიდან დანია მიიპატიჟეს, მაგრამ უარი მიიღეს. ეტყობა, დანიის ასოციაციას სერიოზული პრობლემები აქვს, რადგან სპარინგების გამართვაზე ავიაბილეთების სიძვირის გამო თბილისში ჩამოსვლაზეც უარი თქვეს.

ჩვენი და კუნძულელთა მეგობრობა სათავეს 2007 წლის იანვრიდან იღებს, როდესაც ქართველი ფუტსალელები ლა-ვალეტას შესარჩევი ციკლის მატჩის ჩასატარებლად ესტუმრნენ. მართალია, მაშინ ჯგუფიდან ვერ გავედით, თუმცა მასპინძლები 5:2 დავამარცხეთ.

ორი წლის შემდეგ უეფას შესარჩევი ციკლის ჩატარება ისევ მალტამ ითავა და მათ ჯგუფში კვლავ ჩვენები მოხვდნენ. მასპინძლებსაც კვლავ ვძლიეთ - 3:1 და ელიტ რაუნდშიც გავედით. მაშინ ნაკრებს **ავთანდილ ასათიანი ბესო არველაძესთან** ერთად ავარჯიშებდა. მესამედ კუნძულელები გასულ წელს თბილისში გამართული შესარჩევი ციკლის მატჩში გავანადგურეთ —8:0.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უარყოფითი ბალანსი არც ტურნირის სხვა მონაწილეებთან აქვს: საბერძნეთთანაც ორჯერ ვითამაშეთ - ერთი მოგება და ერთი წაგება. ინგლისს 3-ჯერ შევხვდით და სამივე მოვიგეთ: ორჯერ თბილისში ამხანაგურად (4:3 და 8:3), მესამედ კი მაკედონიაში - 4:0. თბილისურ მატჩებში ნაკრების ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** (რომელიც მაშინ გუნდის კაპიტანი გახლდათ) ბრიტანელთა კარი რამდენჯერმე აიღო.

*"2007 წელს, მალტის ფეხბურთის ფედერაციის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჯოზეფ მიფსუდმა სიტყვა მოგვცა, რომ ჩვენთან ითანამშრომლებდა და ასეც მოხდა. მართალია, მიფსუდი დღეს კუნძულელთა ფედერაციის მმართველი აღარ გახლავთ, მაგრამ იქაურ საფეხბურთო წრეებში დიდი ავტორიტეტი აქვს. ასევე ძალზედ დაგვეხმარა მალტის ფუტსალის ეროვნული ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელი ვიკ ჰერმანსი, რომელიც პარალელურად ფიფა-ში ფუტსალის ინსტრუქტორია"* - ამბობს ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივანი **ბექა კვიციანი**.

ასათიანი საკონტროლო მატჩების დაგეგმვით კმაყოფილია: *"ჩემი აზრით, ოქტომბერში პორტუგალიასთან ორი ამხანაგური მატჩი და მალტის ტურნირზე სამი შეხვედრა ნაკრების მოსამზადებლად ძალიან მნიშვნელოვანია და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებული გამოსვლის საწინდარი უნდა გახდეს. სპარინგების კალენდარიც პროფესიონალურად დაიგეგმა. მართალია, პირველად გრანდს ვხვდებით, მაგრამ ეს ტესტი ჩვენ ნაკრებს აუცილებლად წაადგება".*

ასათიანის გაწვრთნილებს აქვთ შანსი, მალტის ტურნირის მთავარი თასი თბილისში ჩამოიტანონ და უეფას შესარჩევი ციკლი კარგი განწყობით დაიწყონ. 4 დეკემბერს კენჭისყრაზე გავიგებთ, სად გაიმართება თამაშები და ვინ იქნებიან ჩვენი მეტოქეები.

აქვე ვიტყვით, რომ მსოფლიო ფეხბურთში გრანდი პორტუგალია 24-25 ოქტომბრის მატჩებისთვის თავისივე ხარჯით მეფურ პირობებს გვპირდება. იმავეს ვიტყვით მალტის ფეხბურთის ფედერაციაზეც – ახლა, მთავარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მხოლოდ გზის ხარჯები გაწიოს.

არაა გამორიცხული, ნაკრებმა ნოემბერში თბილისშიც ითამაშოს: სავარაუდოდ, ამ დროს თბილისს იორდანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, პრინცი **ალი ჰუსეინი** (რომელიც არაბულ სამყაროში ფიფას პრეზიდენტის, **იოზეფ ბლატერის** მარჯვენა ხელია) ქვეყნის ფუტსალის ნაკრებთან ერთად ეწვევა და ავთანდილ ასათიანის შეგირდებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. იორდანიის ნაკრებების მენეჯერმა **მოჰანად მაჰადინმა** ქართველებთან გაჯიბრებაზე თანხმობა უკვე განაცხადა. საბოლოო პასუხი კი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

სავარაუდოდ, მომავალ წელს საქართველოში საპასუხო სპარინგისთვის პორტუგალია გვესტუმრება. კონკრეტულ თვეს პირინეელთა ნაკრების თავკაცი **ჟორჟ ბრაზი** ტაილანდის მუნდიალის შემდეგ დაასახელებს. დეტალების შესათანხმებლად, სფა-ს თავკაცები მათი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ფერნანდო გომეშს** ოქტომბრის მატჩების დროს ლისაბონში შეხვდებიან. გომეშმა წინასწარი თანხმობა უკვე თქვა, მისი ქვეყნის ნაკრები მომავალ წელს საქართველოს სრულიად უსასყიდლოდ რომ ესტუმროს - ქართულ მხარეს მარტო მათი დაბინავების ხარჯი დააწვება.

საქართველო-პორტუგალიის თამაშს მეტად დიდი ეშხი რომ ჰქონდეს, საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე ჩვენი ასოციაცია მოლაპარაკებას პორტუგალიური ფეხბურთის ვარსკვლავ **ეუსებიოსთან** აწარმოებს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. VII ტურის მიმოხილვა

# ისევ ორი ლიდერი და ისევ დილა ყურადღების ცენტრში

**ტურიდან ტურამდე უფრო და უფრო ცხადი ხდება, თუ რომელი უმაღლესლიგელი რა მიზნებს შეეჭიდება. ვერ ვიტყვით, რომ მიმდინარე ჩემპიონატი განსაკუთრებული სიურპრიზებით მიმდინარეობს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე გუნდი მოსალოდნელზე ძლიერად, რამდენიმე კი მოსალოდნელზე სუსტად ასპარეზობს.**

**რაც შეეხება გასულ ტურს, გუშინწინდელი მატჩები მეტ-ნაკლებად ლოგიკური შედეგებით დასრულდა, სატურნირო ცხრილში კი სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა.**



ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი 2:3

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## დარასელიას ზედიზედ მესამე

ტურის ცენტრალურ მატჩებად "დილა"-"მეტალურგი" და "ჩიხურა"-"დინამო" გამოვყავით და პირველად სწორედ ეს შეხვედრები გავიხსენოთ.

ძნელია, წარმოიდგინო იმაზე უფრო შთამბეჭდავი დებიუტი, როგორიც **გიორგი დარასელიას** აქვს "დილას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. წლების განმავლობაში ისრაელში მომუშავე სპეციალისტმა ერთქულიანი გორული კლუბი ოთხი ტურის შემდეგ ჩაიბარა და უმალ გახდა სამმატჩიანი მოგებათა სერიის შემოქმედი. თანაც, ეს გამარჯვებები "დილამ" რიგით უმაღლესლიგელებთან კი არა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტებთან მოიპოვა – დარასელიას გუნდმა ერთმანეთის მიყოლებით სძლია თბილისის "დინამოს", "ზესტაფონსა" და რუსთავის "მეტალურგს".

აი, ასეთი მძიმე კალენდარი აქვს საქართველოს თასის მფლობელს, თუმცა ეს ყველაფერი არ არის – კვირას "დილა" ქუთაისს ეწვევა და ჩემპიონატის ლიდერ "ტორპედოს" დაუპირისპირდება. თუ შიდაქართლელებმა იქაც ივაჟკაცეს, უფერული სტარტის გამო დაკარგულ პოზიციებს თითქმის მთლიანად დაიბრუნებენ და სრული სვლით ჩაერთვებიან ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. რა გასაკვირია და ამ წარმატების მთავარი შემოქმედი დარასელია ზედიზედ მესამედ მოხვდა "ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

"მეტალურგის" კარში მესამე გოლი **ირაკლი მოდებაძემ** გაიტანა, რომელმაც ზაფხულში "დილას" სწორედ რუსთაული კლუბიდან მიაშურა.

## ლიდერთა მძიმე გასვლები

მედალს ორი მხარე აქვს და თუ გულშემატკივართა ნაწილს თბილისის "დინამოს" მიერ ივანწმინდაში ნათამაშები ფრე დანაკარგად მიაჩნია, მეორე მხრივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ჩიხურასთან" სტუმრად მოპოვებული ქულა ყველაზე ამბიციური ქართული კლუბებისთვისაც კი არ უნდა იყოს კატასტროფული შედეგი. ყველა მატჩს ვერავინ მოიგებს, "დინამოსთვის" კი ეს აუნაზღაურებელ დანაკარგად არ უნდა იქცეს.

გამარჯვების შემთხვევაში "დინამო" ერთპიროვნული ლიდერი გახდებოდა, "ჩიხურა" კი მოგებით საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ქულებით გაუთანაბრდებოდა, მაგრამ საწადელს ვერც მასპინძლებმა მიაღწიეს და ვერც – სტუმრებმა.

"ჩიხურას" მიერ ქულის მოპოვებაში დიდი როლი ითამაშა გამოცდილმა მეკარემ **გიორგი სომხიშვილმა**, რომელიც გუნდს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ დაუბრუნდა და საჩხერელთა კარი საიმედოდ დაიცვა. საჩხერელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ უმაღლეს ლიგაში სტატისტებად არ დაბრუნებულან და მინიმუმ საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად ბრძოლას განაგრძობენ.

ივანწმინდაში დაფიქსირებული საყაიმო შედეგით ყველაზე უკეთ უკეთ "ტორპედომ" ისარგებლა და ფოთში მოპოვებული ქულაც ეყო იმისთვის, რომ "დინამოსთან" ერთად ცხრილის სათავეში დარჩენილიყო.

"კოლხეთს" მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ არ მოუგია და იმის მიუხედავად, რომ კლასით თავისზე მაღლა მდგომ მოწინააღმდეგეს მასპინძლობდა, ნავსის გასატეხად ძალ-ღონე არ დაუშურებია. ფოთელები დაწინაურებულებიც იყვნენ, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს "ტორპედომ" თანაფარდობა აღადგინა, მეორე ტაიმში გოლი აღარ გასულა და მეტოქეებმა ქულები გაიყვეს.

არწაგების მიუხედავად, ფოთელებმა ბოლო ადგილზე გადაინაცვლეს და სიტუაციის სასწრაფოდ გამოსწორება მართებთ, "ტორპედოს" კი, "დინამოსი" არ იყოს, ეს ფრე საქმეს დიდად ვერ გაუფუჭებს. მსგავსი დანაკარგების გარეშე სეზონს ჩემპიონიც კი ვერ ჩაამთავრებს.

## ნავსი ჩელე არენაზე გატყდა

ქობულეთის განახლებული სტადიონი( რომელსაც წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის **რევაზ ჩელებაძის** საპატივცემულოდ "ჩელე არენა" ეწოდა), საკმაო რაოდენობის გულშემატკივარი, მეტოქე, რომელიც სტუმრად ძლიერი თამაშით ვერ დაიკვეხნის – საკმარისზე მეტი წინაპირობაც კი იყო იმისთვის, რომ ბათუმის "დინამოს" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება ეზეიმა და ეს ზეიმი შედგა კიდეც. თანაც, აჭარულმა კლუბმა მარტვილის "მერანს" ძალიან დამაჯერებლად, ოთხბურთიანი უპირატესობით სძლია და სატურნირო ცხრილის უკანასკნელი პოზიცია დატოვა. მატჩის გმირად ბათუმელთა 24 წლის ფორვარდი, **მიხეილ ჯორბენაძე** უნდა დავასახელოთ (რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა), ერთი გოლი კი გამოცდილმა და უბერებელმა **ამირან მუჯირმა** გაიტანა.



ჩიხურა-დინამო 0:0. ჩისკომ მე-20 წუთზე ტრავმა მიიღო და შეცვალეს

### VII ტურის სიმბოლური ნაკრები




## თრილერი მცხეთა-პარკზე

"ვიტ ჯორჯიასა" და "ზესტაფონის" მატჩი კი აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყოთ. ჩვენს ჩემპიონატში ძალიან ცოტაა ასეთი შინაარსიანი და სახანაობრივი შეხვედრები, არადა, მათი რაოდენობა შედარებით მეტი რომ იყოს, ტრიბუნებზე ხალხის რაოდენობა მცირედით მაინც მოიმატებდა.

მცხეთაში გამართულ მატჩში მარცხისთვის მასპინძელიც დაგვენანებოდა და სტუმარიც, საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ საწადელს "ზესტაფონმა" მიაღწია. ყველაზე საინტერესო ამბები მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოხდა, როცა ჯერ ვიტელმა **ბესიკ ჩიმაკაძემ** გაათანაბრა ანგარიში და დუბლი გაიფორმა, მეოთხე დამატებულ წუთზე კი გამარჯვების გოლი ფეროელთა ფორვარდმა **რატი წინამძღვრიშვილმა** გაიტანა, რომელმაც ასევე დუბლი შეასრულა.

"ვიტ ჯორჯიასთვის" ქულაც არ იქნებოდა ურიგო შედეგი, არასტაბილურად მოასპარეზე "ზესტაფონს" კი ამ გამარჯვებამ სულზე მოუსწრო – წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ამჟამინდელ სატურნირო ცხრილში ზეექვსეულს მიღმა იქნებოდა.

ეს მატჩი, რასაკვირველია, განსაკუთრებით გამორჩეული პირადად წინამძღვრიშვილისთვის იყო. შეგახსენებთ, რატიმ "ზესტაფონი" ზაფხულში დატოვა, გუნდს სულ ახლახანს დაუბრუნდა და მიმდინარე სეზონში ეს მისი პირველი გოლებია. აშკარაა, რომ დღეისთვის "ზესტაფონს" ყველაზე დიდი პრობლემები წინა ხაზში აქვს და თუ წინამძღვრიშვილი სტაბილურად ათამაშდა, ეს საკითხი ნაწილობრივ მაინც გადაიჭრება.

ბოლნისურ მატჩზე კი სათქმელი ბევრი არაფერია – 0:0 "სიონისთვის" უფრო დანაკარგია, "ზუგდიდისთვის" კი სტუმრად მოპოვებული ქულა ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

ბოლოს ორი სიტყვით კვირას გასამართ მომდევნო ტურსაც შევეხოთ, სადაც ყველაზე საინტერესო მატჩები "ტორპედო"-"დილა" და "ზესტაფონი"-"ჩიხურაა", ცხრილში კი ცვლილებების შეტანა ამ მატჩებსაც შეუძლია და სხვა დაპირისპირებებსაც. ამ და 30 სექტემბერს გასამართი სხვა შეხვედრების წინათქმას "ლელოს" ხვალინდელ ნომერში გაეცნობით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U19

## ფრე საკონტროლო მატჩში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ოქტომბრის ბოლოს, ხორვატიაში გაემგზავრება და მასპინძლებს, აზერბაიჯანისა და ისლანდიის ნაკრებებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებში დაუპირისპირდება.

გუნდი მანამდე დასკვნით საწვრთნელ შეკრებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" გადის. მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** შეკრებაზე 25 ფეხბურთელი გამოიძახა. 19-წლამდელები ბაზაზე 30 სექტემბრამდე ივარჯიშებენ, პარალელურად კი, ქართულ კლუბებთან ტესტ-მატჩებსაც მართავენ.

26 სექტემბერს 19-წლამდელები **გუბაზ დოლიძის** გაწვრთნილ "იბერიას" შეხვდნენ – შეხვედრა 2:2 დასრულდა.



კახა კაჭარავა

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები

# კრასნოდარს ურჩევენ, ბავშვობას შეეშვას

### ოთარ მარცვალაძე: ზამთრიდან დავიწყებ

**ოთარ მარცვალაძემ**, რომელიც შარშან „კრასნოდარმა" 2,6 მილიონ ევროდ შეიძინა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, ივნისში მოულოდნელად რუსეთის პრემიერლიგის კლუბი დატოვა. როგორც მარცვალაძემ თქვა, ეს გადაწყვეტილება "კრასნოდარის" მთავარმა მწვრთნელმა **სლავოლუბ მუსლინმა** მიიღო.

რუსულმა ინტერნეტ-პორტალმა "სპორტ-ბოქსმა" "კრასნოდარის" ხელმძღვანელობას ეს ამბავი კიდევ ერთხელ გაუხსენა.

*"ერთი წლის წინათ მუსლინი აღტაცებული იყო გუნდში აყვანილი ოთარ მარცვალაძით, მაგრამ მისი გამოყენება ვერა და ვერ მოახერხა. მერე ძალიან სურდა ოლეგ სამსონოვის დამატება და ახლა მასაც არ ათამაშებს. ერთი თვის წინ კი ვლადიმერ კომანის ჩარიცხვას ზაფხულის საუკეთესო ტრანსფერი უწოდა. ახლა უნგრელიც სათადარიგოთა შორის დასვა. არ არის დრო, ახალგაზრდა კლუბი ბავშვური დამოკიდებულებისგან გათავისუფლდეს და გაიზარდოს?"* — რიტორიკულ შეკითხვას სვამს "სპორტ ბოქსის" ჟურნალისტი.

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერის გმირი ამჟამად უგუნდოდ არის. ვრცელდებოდა ხმები, თითქოს მარცვალაძეს იწვევდა თბილისის „დინამო", რუსეთის პირველი დივიზიონის ტომსკის „ტომი", მოსკოვის ოლქის „ხიმკის" მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძე. გაჯი გაჯიევმა** ლიადაც თქვა, მინდა, მარცვალაძე ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" დაბრუნდესო.

მაგრამ საქართველოს ნაკრების გარემარბი ჯერ კიდევ მაისში საზარდულების ტკივილმა შეაწუხა და „კრასნოდარის" ექიმმა ოპერაციის გაკეთება გერმანიაში ურჩია.

*"ოპერაცია 29 აგვისტოს მიუნხენში გავიკეთე. ახლა სარეაბილიტაციო პროცესს გავდივარ, რასაც დაახლოებით თვე-ნახევარი დასჭირდება. ვარჯიშს კი, ალბათ, ოქტომბრის დასაწყისში მცირე დატვირთვებით, ძუნძულითა და ტრენაჟორებით დავიწყებ. სამწუხაროდ, წლეულს ველარ ვითამაშებ და ფაქტობრივად, ეს სეზონი გამიცდა. მაგრამ ფეხბურთელის ცხოვრება ასეა, მსგავსი და უარესი ამბებიც მომხდარა. ამაში საშიში არაფერია, ყველაფერი წინ არის. ალბათ, სრული დატვირთვით ვარჯიშს ზამთარში განვაახლებ და იმედია, ახალი წლიდან ახალ გუნდშიც ჩავირიცხები. მაგრამ რომელ გუნდში ვითამაშებ, ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია — ეს ჯერ თავადაც არ ვიცი"* — გვითხრა მარცვალაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

# იაშვილი ძირითადში, გელაშვილი შეცვლაზე

გუშინ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ბოხუმმა" "კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. "ბოხუმის" შემადგენლობაში **ალექსანდრე იაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, **ნიკოლოზ გელაშვილი** კი თამაშში 72-ე წუთზე, 0:2-ისას ჩაერთო. იაშვილმა 48-ე წუთზე გაფრთხილება მიიღო.

მეორე ბუნდესლიგაში 7 ტურია ჩავლილი და 8 ქულით "ბოხუმი" მე-10 ადგილზეა. 14 ქულით მე-5 პოზიციაზეა **ლევან კობიაშვილის** "ჰერტა". შეგახსენებთ, კობიაშვილი მიმდინარე წლის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**




## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# 50 გოლი ამსტერდამ არენაზე

დასასრული. დასაწყისი: „ლელო" № 110 (13716)

ჩემმა მეგობარმა **დევიდ ენდმა** მოგვიანებით მითხრა, - ჩემპიონობას ბოლო ტურში არ აგებენ, ბოლო ტურში ჩემპიონები ხდებიანო. ვერაფერი ვუთხარი, ზუსტად არ ვიცი, რატომ დაგვემართა ეს. პირიქით, ჩემპიონები რომ ვერ გავხდით, ამის მიზეზი, ალბათ წინა თამაშებში უნდა ვეძებოთ, ბევრი არდასაკარგი ქულა დავკარგეთ. განადგურებული ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი, ნერვები მომეთოკა.

ერთი კვირის შემდეგ როტერდამში გვქონდა კიდევ ერთი ფინალი — ჰოლანდიის თასისთვის — „აიაქსთან". „ალკმაარს" თასი ბოლოს, 26 წლის წინ ჰქონდა მოგებული. მას მერე ფინალშიც არ ყოფილა გასული. როცა თასის 2007 წლის ფინალისტები გაირკვა, ბილეთები სამ საათში გაყიდა, — ასე სწრაფად, ალბათ ჩემპიონთა ლიგის ფინალის ბილეთები არ იყიდება „ალკმაარი" და „აიაქსიც" ლამაზ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდა და აჟიოტაჟს ესეც ამძაფრებდა. თან, ისევ **ლუის ვან გაალი** — „აიაქსის" წინააღმდეგ!..

„ექსელსიორის" შემდეგ ყველა ფეხბურთელმა ვერ მოახერხა ერთ კვირაში შოკიდან გამოსვლა, თუმცა უმეტესობა თასის ფინალს მაღალი კონცენტრაციით შეხვდა.

საქართველოდან, თურქეთიდან, შოტლანდიიდან ყველა ნაცნობ-მეგობარი მირეკავდა და მამხნევებდა.

„დინამო", „ტრაბზონსპორი", „აიაქსი" და „რეინჯერსი" — ყველგან რაღაც ჯილდო მივიღე, „ალკმაარში" კი ვერაფერი... ძალიან მინდოდა, ამ გუნდშიც მომეგო რაიმე ტიტული. ამ კლუბის დიდების დარბაზშიც ყოფილიყო ჩემი ფოტო, მაგრამ სპორტი ხანდახან დაუნდობელია...

როტერდამს ბევრი ფინალი უნახავს, ჩემპიონთა ლიგის თუ უეფასი, მაგრამ ჰოლანდიის თასის ფინალი, ნამდვილი ფინალი გამოვიდა. დაძაბული და საინტერესო, ლამაზი და დრამატული მომენტებით ორივე კართან, არდანიშნული პენალტები, არჩათვლილი გოლი, წივილ-კივილი, წითელი და ყვითელი ბარათები, მოკლედ, ყველაფერი, რასაც ნამდვილი ფეხბურთი ჰქვია!..

თამაში დამატებით დროში გადავიდა. მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე ვარდნაში თავური დავარტყი, — ბურთი ზედა ხარიხის გადაკვეთას მოხვდა. მოკლედ, — 2:2... ყველაფერი პენალტების სერიას უნდა გადაეწყვიტა. მსაჯმა კაპიტნები, მე და **იაპ სტამი** კენჭისყრისთვის გვიხმო. პირველ პენალტს ჩვენ დავარტყამდით, კარი კი მსაჯმა აირჩია. თერთმეტმეტრიანები იმ მხარეს უნდა შეგვესრულებინა, სადაც „აიაქსის" გულშემატკივრები ისხდნენ. მსაჯს ბევრი ვეკამათე ამის გამო, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შევაცვლევინე.

პირველი პენალტი დავარტყი და გავიტანე, პენალტებში 9:9-ით იყო, როცა ჩვენმა, 20 წლის **რაიან დონგმა** „აიაქსის" მეკარეს ვერ აჯობა... გადამწყვეტი დარტყმა **ედგარ დავიდსმა** შეასრულა. „აიაქსი", „მილანი", „იუვენტუსი", „ინტერი", „ბარსელონა"... ამხელა გამოცდილების მქონე დავიდს, ნერვიც არ ატოკებია... ჰოლანდიის თასი „აიაქსმა" წაგვართვა. როცა სტამმა ის ასწია, აიაქსური ფეიერვერკი ფარდასავით ჩამოეფარა სტადიონს!..

ჩვენ კი, მთელი წლის ნაწვალები, — ჩემპიონობაც და თასიც ერთ კვირაში წავაგეთ. თუმცა სეზონი ამით არ დასრულებულა — ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის „ერედივიზიოში" მეორედან— მეხუთე ადგილზე გასულ გუნდებს პლეი ოფი გვქონდა სათამაშო. პირველ რაუნდში „ტვენტეს" ვძლიეთ (1:1, 2:0). გადამწყვეტი ბრძოლა ისევ „აიაქსთან" მოგვიწია. პირველი მატჩი ალკმაარში იყო. მატჩის ბოლო წუთია, — 1:1 ხელს არ გვაძლევს, საპასუხო მატჩის წინ ძალიან გვინდა მოგება. **ბუკარიმ დე ზეუვს** ჩააწოდა, მან ერთი შეხებით ჩინებული პასი მომცა, მეკარესთან პირისპირ დავრჩი, მოვატყუე, მაგრამ კარში უცბად არ დავარტყი, კარის ხაზამდე მივიტანე ბურთი და... ბადეში გავახვიე!.. თითქოს გოლი კი არა, ლელო გავიტანე — ალკმაარის სტადიონი კიდევ ერთხელ აგუგუნდა ჩემი გოლით!..

> კარის ხაზამდე მივიტანე ბურთი და... ბადეში გავახვიე!.. თითქოს გოლი კი არა, ლელო გავიტანე — ალკმაარის სტადიონი კიდევ ერთხელ აგუგუნდა ჩემი გოლით!..

საპასუხო შეხვედრისთვის იმედიანად ვიყავით, მაგრამ რამდენიმე ტრავმიანი ფეხბურთელი გამოგვაკლდა და 0:3-ით წავაგეთ.

სეზონის წარუმატებლობაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ყველაფერს ხუთ პუნქტად ჩამოვაყალიბებ; ისე, როგორც ფეხბურთელებმა იციან გულშემატკივრებთან თავის მართლების დროს, მაგრამ ვიცი, მთავარი მიზეზი მაინც ჩვენა ვართ, შემსრულებლები. ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან — „მიზეზ-მიზეზ..."

■ ■ ■

1. „ვერდერთან" ბრემენში, როცა 1:2-ს ვაგებდით, მსაჯმა ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალა!..

2. „ექსელსიორთან" — კაცნაკლულნი დავრჩით. პენალტი კი იყო, მაგრამ შეიძლებოდა წითელი ბარათი არ ეჩვენებინა მეკარისთვის.

3. თასის ფინალში „აიაქსთან" ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს და ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალეს!..

4. „პლეი ოფში" „აიაქსთან" საშინაო მატჩში, ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალეს!

5. საპასუხო შეხვედრაში მსაჯმა ლამის ხუთმეტრიანი თამაშგარე ვერ შენიშნა და „აიაქსმა" ასე გაგვიტანა გოლი.

„ალკმაარმა" ჰოლანდიურ ფეხბურთში ფესვგადგმული სტერეოტიპი თუ ტრადიცია ვერ შეცვალა — ტიტულები ისევ „აიაქსს", პსვ-ს თუ „ფეიენოორდს" უნდა დარჩეს, — სხვას არავის, რადგან ძლიერი იმარჯვებს!..

**შედეგი:**

უეფას თასი: 11 თამაში, 8 გოლი;
ერედივიზიონი: 30 თამაში, 15 გოლი;
ჰოლანდიის თასი: 4 თამაში, 1 გოლი;
ნაკრები: 4 თამაში, 5 გოლი;

**სულ 49 თამაში და 32 გოლი.**

34 წლის ფორვარდისთვის, ეს ცოტა არ არის. ჟურნალისტებისა და სპეციალისტების გამოკითხვებში საქართველოში, - „წლის საუკეთესო ფეხბურთელად" დამასახელეს.

■ ■ ■

„ალკმაართან" კონტრაქტი, კიდევ ერთი წლით მაკავშირებდა, თუმცა ფეხბურთელის კარიერის დასრულებაზე უკვე სერიოზულად ვფიქრობდი. ამ ასაკში ყველაფერი გტკივა და აღდგენასაც დიდი დრო სჭირდება. ტკივილით თამაში კი ნერვებზეც ძალიან მძიმედ მოქმედებს. ნაკრებს ევროშესარჩევში ორი თამაში ჰქონდა დარჩენილი, — ლიტვასთან და საფრანგეთთან, — ივნისში. გადავწყვიტე, აღარ წავსულიყავი. ნაკრებისთვის თავი დამენებებინა, ამაზე ადრეც მიფიქრია და მილაპარაკია ჩემებთან (**„ტოპის"** დაველაპარაკე და ყველაფერი ავუხსენი).

> ამ წიგნის მკითხველი, ჩემი გულშემატკივარი, მინდა გავახარო და დავაიმედო, რომ ჩემში კიდევ უამრავი დაუხრაჯავი ენერგია და პოტენციაა, რომელსაც აუცილებლად სასიკეთოდ და მათ გასახარად გამოვიყენებ...

„პლეი ოფში", „აიაქსთან" წაგების შემდეგ, ჟურნალისტებს ვუთხარი, — შესაძლოა, თამაშს თავი დავანებო-მეთქი. იმავე საღამოს ამსტერდამში ჩვენი და „აიაქსის" ფეხბურთელები ბარში შევხვდით ერთმანეთს. ისინი თავის გამარჯვებას ზეიმობდნენ, ჩვენ კი — სეზონის დასრულებას. კარგად მოვილხინეთ. მე დავლიე კიდეც. მეორე დღეს კი „აიაქსელმა" და „ალკმაარში" ჩვენმა ყოფილმა თანაგუნდელმა **ქენეტ პერესმა** მობილურზე მესიჯი მომწერა, — გაზეთებში წავიკითხე შენი ინტერვიუ და ხომ არ გააფრინე, რა დროს თამაშისთვის თავის დანებებაა, ეტყობა, გუშინ საღამოს ბევრი დალიეო... ჩემი პასუხი მოკლე იყო და ერთი სიტყვით შემოიფარგლა — გმადლობთ!..

კარგად მახსოვს 2007 წლის 27 მაისი... კლუბში ჩემი ნივთების ასაღებად მივედი, როცა **ვან გაალმა** და „ალკმაარის" ტექნიკურმა დირექტორმა **მარსელ ბრანსმა** მითხრეს, — სამომავლო გეგმებზე უნდა დაგელაპარაკოთო. საუბრისას ვან გაალმა მითხრა ის, რასაც საკუთარ თავს ჩავჩიჩინებდი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვუმტკიცებდი. როცა 35 წლის იქნები, თან მუხლი ქრონიკულად შეგაწუხებს, თამაშების უმეტესობას, ალბათ ვერ ითამაშებ და ასეთ შემთხვევაში გუნდის კაპიტნად სხვა უნდა ავირჩიოო. მოკლედ, მწვრთნელმა მითხრა, რომ ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, და მეორეს მხრივ, იმასაც მეუბნებოდა, რაოდენ საჭირო ვიყავი მისთვის. შენ გინდა, რომ ყველა თამაში ითამაშო, თუ არ გათამაშებ, ისეთი ხასიათი გაქვს, ამას ძნელად შეეგუები და არ მინდა, ჩვენს შორის ურთიერთობა გაფუჭდესო.

სიმართლე გითხრათ, სხვისგან ამის მოსმენა ჩემთვის მართლაც ძნელი გამოდგა, თითქმ ამას შეგუებული ვიყავი. ყელში რაღაც მომაწვა... სიმართლეს მეუბნებოდნენ. მაგრამ არ მინდოდა ამას დავთანხმებოდი. ერთი რამ ვინატრე — მეთქი, ბოლო წლების [illegible] მეთამაშა, რადგან ასე უფრო გამიადვილდებოდა ფეხბურთისთვის თავის დანებება-მეთქი.

კარგი, ვთქვათ, დავანებე თამაშს თავი, მაგრამ მერე რა ვქნა, სად წავიდე?! შევძლებ კი უფეხბურთოდ ცხოვრებას?!

დავემშვიდობე და შევთანხმდით, რომ ჯერ კარგად დავისვენებდი და მერე, კიდევ ერთხელ დავილაპარაკებდით...

**ეპილოგი**

2008 წლის 25 ნოემბერი... ერთი ჩვეულებრივი დღე ჩემს ცხოვრებაში. ადრე ავდექი. არ მინდა სამსახურში დამაგვიანდეს. ამსტერდამში თოვლი მოვიდა და ალკმაარამდე ალბათ საკმაოდ დიდი დრო დამჭირდება. მოვემზადე და მანქანაში ჩავჯექი. არა, ფეხბურთის თამაში არ გამიგრძელებია, დღეს მე „ალკმაარის" მეორე მწვრთნელად ვმუშაობ, **ლუის ვან გაალის** ასისტენტად. როდესაც "ალკმაარის" ხელმძღვანელობა დამიკავშირდა, ჩემთვის ეს საპასუხისმგებლო და საამაყო შემოთავაზება სიხარულით მივიღე...

დღესდღეობით გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა ჰოლანდიაში და იმედი მაქვს მეც, ჩემი მცირედი წვლილი შემაქვს მის წარმატებაში.



შოთა არველაძის ემოცია გამოსამშვიდობებელი მატჩის შემდეგ

ღმერთის წყალობით ისევ ჩემს საქმეს ვემსახურები... მართალია, ხანდახან მავიწყდება, რომ ფეხბურთელი აღარა ვარ და ბიჭებთან ერთად გავრბივარ მინდორზე... მერე მახსენდება, რომ მწვრთნელივით უნდა მოვიქცე... თავიდან ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ეს თამაში გამოვტოვე და მომდევნოს ვითამაშებდი. ეს, ალბათ, კარგა ხანს არ გამივლის.

ლუი რომ იტყვის, 11-ზე ოთახებშიო, მგონია მეც მეხება, ვდგები და ოთახში მივდივარ... ერთი-ორჯერ შემახსენა კიდეც, რომ მე შემიძლია გვიანობამდე დავრჩე სასტუმროს ფოიეში.

ბედნიერი ვარ, რომ ცოტა სხვაგვარად, მაგრამ ისევ ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ. ისე, ყველაფერი ძველებურად არის, კარგად მყავს ჩემი ოჯახი, **თამუნა, გიორგუნა, ელენიკო...** მაქვს სახლი, სადაც ყოველთვის სითბო, სიყვარული და სიხარული მელოდება.

ამ წიგნის მკითხველი, ჩემი გულშემატკივარი, მინდა გავახარო და დავაიმედო, რომ ჩემში კიდევ უამრავი დაუხრაჯავი ენერგია და პოტენციაა, რომელსაც აუცილებლად სასიკეთოდ და მათ გასახარად გამოვიყენებ...

სამყაროში ხომ არაფერია მარადიული, დასასრული, ყოველთვის რაღაც ახლის დასაწყისია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A V ტურის გამოხმაურება

# CAVANI SHOW & BRAVO MIRO



მიროსლავ კლოზემ აღიარა, რომ გოლი ხელით გაიტანა

**როგორც იქნა, მილანურმა გუნდებმა წყვილად მოიგეს და ამით, კრიტიკოსები ცოტა ხნით მაინც გააჩუმეს. მართალია, თუნდაც "მილანის" ერთი გამარჯვება ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ როგორც მინიმუმ, მასიმილიანო ალეგრის გათავისუფლების საკითხი აღარ დგას დღის წესრიგში. სამაგიეროდ, მეხუთე ტურში რომაელებმა შეირცხვინეს თავი - "რომამ" საკუთარ მოედანზე "სამპდორიასთან" ვერ გააწყო ვერაფერი, "ლაციომ" კი ნეაპოლში სასტიკი მარცხი ინვნია. მიროსლავ კლოზეს საქციელი ცალკე სალაპარაკო თემაა, თუმცა უმჯობესია, რომ თანამიმდევრობით მივყვეთ...**

## ქებამ არ აწყინოს...

"მილანმა" როგორც იქნა მოიგო, რაც დიდწილად ახალგაზრდა ფორვარდის, **სტეფან ელ შაარავის** დამსახურებაა. სწორედ მან გაუტანა "კალიარის" ორი უპასუხო ბურთი და ცოტა რომ გამართლებოდა, სულაც ჰეთთრიკს შეასრულებდა. მოკლედ, ელ შაარავიმ "როსონერის" ნანატრი გამარჯვება მოუტანა და ბუნებრივია, რომ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. მაგალითად, "მილანის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ **მაურო ტასოტიმ** სტეფანი საგანგებოდ გამოყო და მას გუნდის მომავალი უწოდა:

*"ძალიან კარგი შეხვედრა იყო, რომელიც ჩვენი დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა. საუცხოოდ ითამაშა სტეფან ელ შაარავიმ, რომელიც გუნდის ლიდერად ყალიბდება. სტეფანი "მილანის" მომავალია და ამაში დღითი დღე ვრწმუნდები. მას უდიდესი შესაძლებლობები აქვს და თუ ასე გააგრძელებს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა კოჰორტაში გაერევა".*

სტეფან ელ შაარავი კიდევ ბევრმა გამორჩენილმა პერსონამ შეაქო, რამაც "მილანის" კარის დარაჯი, **კრისტიან აბიატი** შეაშფოთა: *"ელ შაარავი უნიჭიერესი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამე აქვს დასამტკიცებელი და კარგი იქნება თუ ამაში ხელს შევუწყობთ. მერწმუნეთ, მისი გაუთავებელი ქება მხოლოდ გააფუჭებს საქმეს და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც უდიდესი ტალანტები ვერ იხსნებიან და იკარგებიან, რაც სწორედ ასეთი შეცდომების ბრალია. ასე რომ, შევეშვათ გადამეტებულ ქებას და ვაცალოთ სტეფანს, რომ კიდევ უფრო მოუმატოს და მართლა დიდ ფეხბურთელად იქცეს".*

## ნოვაციამ გაამართლა

იტალიელმა ჟურნალისტებმა "ინტერის" წარსულს გადახედეს და აღმოაჩინეს, რომ 3-5-2 სქემით ეს გუნდი ბოლოს 2003/2004 წლების სეზონში თამაშობდა, როდესაც გუნდს **ალბერტო ძაკერონი** ედგა სათავეში. მართალია, მას შემდეგ ეს ტაქტიკა რამდენჯერმე **ლეონარდომ** გამოიყენა, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გახლდათ. ეს ამბავი კი იმად მოვყევით, რომ **ანდრეა სტრამაჩონიმ** 3-5-2 სქემა გამოიყენა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

არანაკლებ საინტერესო გახლავთ, რომ სტრამაჩონიმ **ვესლი სნეიდერი** თავდასხმაში გაამწესა და **დიეგო მილიტოს** შეუწყვილა. მართალია, ჰოლანდიელმა პირველივე ტაიმში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა, მაგრამ თავად ეს ფაქტი ნამდვილად აღნიშვნის ღირსია. შესაძლოა, "ინტერის" თავკაცი ვესლის გაფორვარდებას აპირებს და საინტერესოა, როგორ გამოუვა ეს საქმე.

"ინტერმა" "კიევოსთან" ურთულესი გასვლითი მატჩი მოიგო, ორი უპასუხო ბურთიდან კი ერთი **პერეირას** ანგარიშზეა, ხოლო მეორე - **ანტონიო კასანოს**. ამ უკანასკნელზე ამბობენ, რომ სტრამაჩონისთან კონფლიქტი აქვს, მაგრამ თავად ფეხბურთელმა ეს ცნობა კატეგორიულად უარყო: *"ჩემზე მუდმივად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მწვრთნელთან, ან თანაგუნდელთან კონფლიქტი მაქვს. იყო შემთხვევები, როდესაც ასეთი ცნობები სიმართლეს ემყარებოდა, მაგრამ დღეს, სრულიად სხვა ვითარებაა. "ინტერში" თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში და აქ ყველასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, განსაკუთრებით კი ანდრეა სტრამაჩონისთან. ასე რომ, გავრცელებული ცნობები სრული სისულელეა".*

## ფერარა VS ზემანი

"რომა"-"სამპდორიას" მატჩის წინ, გუნდების მწვრთნელები ერთმანეთს წაეკიდნენ და ვითარება უკიდურესად დაძაბეს. პრინციპში, **ზდენეკ ზემანისგან** ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ **ჩირო ფერარა** რომ ასე იოლად აიყოლია, ეგ ნამდვილად გასაკვირია. თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, ფერარა საოცრად გაწონასწორებული ადამიანია და პროვოკაციებს არასდროს ეგება. თამაშის დაწყებამდე, ზემანმა პირდაპირ განაცხადა, რომ მისი გუნდი "სამპდორიას" მიწასთან გაასწორებდა და იქვე, გენუური გუნდის მთავარ მწვრთნელს, ფერარას გაჰკრა კბილი... ზემანის თქმით, ჩიროს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი და შეუძლია, რომ მისგან კონსულტაციები მიიღოს. ფერარას პასუხი ამ მოულოდნელ შეტევაზე ასეთი იყო:

*"ზემანისგან ასეთ რამეებს უკვე მიჩვეული ვარ და თითქოს ყურადღება არ უნდა მიმექცია, მაგრამ არის რაღაცები, რაზეც თვალებს ვერ დახუჭავ. როგორც ჩანს, ზდენეკი ვერაფრით ველარ ამართლებს თავის წარუმატებლობებს და ისღა დარჩენია, რომ სხვები აკრიტიკოს. ის უბრალოდ გაიძვერაა, სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. მახსოვს, როდესაც "იუვენტუსში" ვასპარეზობდი, ის მუდმივად, გაუთავებლად გვაკრიტიკებდა და იძახდა, რომ "იუვე" თამაშებს კაბინეტებში იგებდა. პირადად ჩემთვის ეს შეურაცხმყოფელი იყო, რადგან ვიცოდი თუ რამხელა შრომას ვდებდით თითოეულ ვარჯიშზე. მაშინ, მის სიტყვებს არ გამოვხმაურებივარ, მაგრამ ამჯერად პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადმოვიდა, რასაც ვერ მოვითმენდი".*

"რომა"-"სამპდორიას" შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა... მწვრთნელებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, თუმცა ფერარას აშკარად ეტყობოდა გალიზიანება. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, ჩირომ ისეთი ფიესტა გამართა, გეგონებოდათ მისმა გუნდმა სკუდეტო მოიგო.

## კავანი შოუ

ტურის ცენტრალური მატჩი ნეაპოლში გაიმართა, სადაც "ნაპოლიმ" "ლაციოს" უმასპინძლა და სამი უპასუხო ბურთიც მიართვა. სამივე გოლი **ედინსონ კავანის** ანგარიშზეა, რომელსაც ძალიან უყვარს "ბიანკოჩელესტესთვის" გოლების გატანა. გასულ სეზონშიც ურუგვაელმა რომაელებს გოლების სეტყვა დაატეხა და მის გუნდს საოცარი გამარჯვება მოუტანა, 4:3. ამჯერად, ბრძოლა არ შედგა - ერთი გუნდი მეორეზე გაცილებით ძლიერი იყო და ეს პირველივე ტაიმში გამოიკვეთა. კავანიმ პირველი ორი გოლი საშუალო დისტანციიდან უძლიერესი დარტყმებით გაიტანა, მესამე ეპიზოდში კი კიპერთან პირისპირ დარჩა, მოატყუა და ბურთი დაუცველ კარში გადაგზავნა.

"ნაპოლიმ" "იუვენტუსის" წაფორხილებით კარგად ისარგებლა და ლიდერს ქულებით გაუთანაბრდა. ჯერჯერობით, სამხრეთელები ამართლებენ მათზე გაცემულ ავანსებს და თუ ასე გააგრძელეს, ნამდვილად გაუწევენ კონკურენციას მოქმედ ჩემპიონს. დიახ, ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სკუდეტოსთვის "იუვეს" სწორედ "ნაპოლი" შეეცილებოდა და ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ასეც იქნება. მართალია, სეზონი ახალი დაწყებულია და ასეთ თემებზე ლაპარაკი ადრეა, მაგრამ მეორე მხრივ, გარკვეული დასკვნების გამოტანა უკვე შესაძლებელია.

## ბრავო მირო

"ნაპოლი"-"ლაციოს" შეხვედრაში იყო ერთი ეპიზოდი, რომელმაც მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა. შეხვედრის მესამე წუთი მიმდინარობდა, როდესაც "ლაციომ" შეუტია და იერიში გოლით დაასრულა... მატჩის მთავარმა არბიტრმა გოლი ჩათვალა, ხელი ცენტრისკენ გაიშვირა, ამ დროს კი მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა - **მიროსლავ კლოზემ** აღიარა, რომ ბურთი კარში ხელით გადაგზავნა და არბიტრმაც გადაწყვეტილება შეცვალა. მოკლედ, ვეტერანმა გერმანელმა ფორვარდმა ფეარ პლეის პრინციპები დაიცვა და ამით, ნეაპოლელი გულშემატკივრების აღფრთოვანება გამოიწვია. არა მარტო გულშემატკივრების, ნამატჩევს მირო ყველამ შეაქო. ბოლოს, "ნაპოლის" მთავარ მწვრთნელ **ვალტერ მაცარის** გადავცეთ სიტყვა, რომელმაც კლოზეს საქციელი საგანგებოდ გამოყო:

*"მადლობა შეგირდებს, რომლებმაც ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ფანტასტიკური იყო კავანი, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მის უმაღლეს კლასში. თუმცა, ედინსონზე არანაკლები გმირი მიროსლავ კლოზე გახლავთ, რომელიც ნამდვილი რაინდივით მოიქცა და ყველას მაგალითი მოგვცა - ბრავო, მირო!".*



ედინსონ კავანის საგოლე დარტყმა

### სერია A. V ტური

**სიენა-ბოლონია 1:0**

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ნეტო, პაჩი, ფელიპე – ანჯელო (55. სესტუ), ვერგასოლა, როდრიგესი, დელ გროსო – როზინა (68. ვალიანი), ზე ედუარდო (81. ვერე) - კალაიო.

**ბოლონია (3-4-1-2):** ალიარდი – ანტონსონი, ნატალი, კერუბინი (87. აბერო) – მოტა, პერესი, პაციენცა, მორლეო – კონე (70. ხიმენესი) – ჯილარდინო, აკვაფრესკა (71. გაბიადინი).

**გოლი:** 1:0 კალაიო (61).

**გაფრთხილება:** ფელიპე, ანჯელო, როდრიგესი, როზინა – ნატალი, გაბიადინი.

**კუთხური:** 5-11; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 5-12(3-7); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 2. ნაპოლი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 3. სამპდორია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-5 | 10 |
| 4. ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 5. ლაციო | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 6. რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 11-7 | 8 |
| 7. ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 8. კატანია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-8 | 8 |
| 9. ჯენოა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 10. მილანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-5 | 6 |
| 11. ტორინო | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 5 |
| 12. პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 13. უდინეზე | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 14. ატალანტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 5 |
| 15. ბოლონია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 16. პესკარა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-10 | 4 |
| 17. კიევო | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |
| 18. სიენა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 2 |
| 19. კალიარი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |
| 20. პალერმო | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 5 – კავანი (ნაპოლი); 4 - იოვეტიჩი (ფიორენტინა); 3 – პაცინი (მილანი), კლოზე (ლაციო), ერნანესი (ლაციო), მაქსი ლოპესი (სამპდორია), ჯილარდინო (ბოლონია), ელ შაარავი (მილანი), კასანო (ინტერი).

პოზიცია

## ანჩელოტიმ პირლო გაამხნევა

ბოლო პერიოდში, **ანდრეა პირლოს** კრიტიკოსები მოუმრავლდა, რადგან მისი თამაში ისეთი შთამბეჭდავი აღარ არის, როგორიც თუნდაც გასულ სეზონში, ან გნებავთ ევროპის ჩემპიონატზე. გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ამის გამო, მას ეროვნული ნაკრებიდან წასვლაც კი ურჩიეს... დიახ, **ზვონიმირ ბობანმა** "ფიორენტინა"-"იუვენტუსის" მსვლელობისას, კომენტსატიორის რანგში განაცხადა, რომ ჯობია, ანდრეამ მთელი კონცენტრცია კლუბზე მოახდინოს. ბუნებრივია, ეს ამბავი იტალიელებს არ მოეწონათ და ბობანის სიტყვებიც გააპროტესტეს. სოციალური ქსელების მეშვეობით, გულშემატკივრებმა ხორვატს ლანძღვა-გინება დაატეხეს თავს და ანდრეას მხარდაჭერა გამოუცხადეს. პირლო პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმაც** გაამხნევა:

*"ანდრეა "იუვენტუსისთვის" და ეროვნული ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია... ასე იყო აქამდე და ასე იქნება კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში. შესაძლოა, ბოლო პერიოდში მცირე ჩავარდნა აქვს, მაგრამ ეს ნებისმიერ ფეხბურთელს შეიძლება დაემართოს. შეუძლებელია, ყველა მატჩი ერთნაირად მაღალ დონეზე ჩაატარო და ეს კარგად უნდა გვესმოდეს. ანდრეა 33 წლისაა და ჯერ იმ ასაკშია, როდესაც ყველა ფრონტზე შეუძლია თანაბარი წარმატებით თამაში. ასე რომ, ეროვნულ ნაკრებს მისი კლასი კიდევ ბევრჯერ გამოადგება".*



კარლო ანჩელოტი და ანდრეა პირლო

ინტერი

## ბრანკა ტრანსფერების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი თამაში "ინტერმა" პატიოსნად მოიგო, მაინც არ წყდება საუბრები იმაზე, რომ ასეთი გუნდით **ანდრეა სტრამაჩონი** ფუასკოსთვის განწირულია. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მილანური გრანდის მესვეურები აქედანვე ფიქრობენ ზამთრის სატრანსფერო პერიოდზე და განსაკუთრებით თავდასხმის გაძლიერებისთვის ემზადებიან. ლაპარაკია **ფერნანდო ლორენტეს** შესაძლო ტრანსფერზე, რომელსაც ზაფხულში "იუვენტუსში" უწინასწარმეტყველებდნენ გადასვლას, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ამ თემაზე კომენტარი კლუბის სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გააკეთა:

*"ლორენტე ექსტრაკლასის ფორვარდია და მის გადაბირებაზე ნამდვილად არ ვიტყოდით უარს, მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. ესპანელებთან არც მოლაპარაკება წამოგვიწყია და არც გეგმები დაგვისახავს. ისე კი, შეტევის გაძლიერება ურიგო არ იქნებოდა და ზამთარში ამაზე აუცილებლად ვიფიქრებთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დღეს, სატრანსფერო საკითხებზე არ ვმუშაობთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



მარკო ბრანკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი



კაკამ გაიბრწყინა და მოურინიოს თავი შეახსენა

# 60 წლის შემდეგ

## კაკა არ ნებდება

ჰეთთრიკი და საგოლე პასი - ეს კაკას მონაგარია ბრაზილიელისთვის „რეალის" მაისურით სეზონის პირველივე მატჩში. ვაგლახ, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგურ მატჩში (დავაზუსტებთ, „ტროფეო სანტიაგო ბერნაბეუ") მოხდა, კოლუმბიურ „მილიონარიოსთან", რომელიც მადრიდში ალფრედო დი სტეფანოს საპატივცემულოდ მოეწყო. ამ გუნდის რიგებში დიდმა არგენტინელმა 1949-1953 წლებში 120 გოლი გაიტანა. ოთხშაბათს „რეალმა" კოლუმბიური გუნდი 8:0 გაანადგურა.

*„კაკამ დაამტკიცა, რომ, როცა ფიზიკურად მწყობრშია გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. მან სავსებით დაიმსახურა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი. ის ძალიან მეხმარება მოედანზე და მის მიღმა რჩევებით",* - კაკას ახალგაზრდა თანაგუნდელი **ალვარო მორატა** გამოექომაგა, რომელმაც ამ თამაშში დუბლი შეასრულა. „რეალის" დანარჩენი გოლები **ხოსე კალეხონმა** (დუბლი) და **ქარიმ ბენზემამ** გაიტანეს. „რეალმა" სულ რალაც 48 საათით ადრე ითამაშა „რაიო ვალეკანოს" წინააღმდეგ, ამიტომ სასტარტო შემადგენლობის წევრთა უმეტესობამ ვერ შეძლო „მილიონარიოსთან" თამაში.

სხვათა შორის, „მილიონარიოსთან" მატჩმა 50-იანი წლების დასაწყისში „რეალის" ისტორია მნიშვნელოვნად შეცვალა - მაშინ გამოჩნდა სამხრეთამერიკელთა რიგებში ალფრედო დი სტეფანო, რომელსაც მანამდე „რეალში" არავინ იცნობდა და რომელსაც კლუბის ისტორიაში ლეგენდის როლი უნდა რგებოდა...

### იოზილის ღამის ცხოვრება ღუპავს?

„რეალის" გერმანელმა **მესუთ იოზილმა** „ფეისბუქზე" უარყო მედიაში მოარული ხმები, თითქოს, მის თამაშზე უარყოფითად მოქმედებს მისივე ცხოვრების ექსტრავაგანტური წესი. აი, რა დაწერა თავის გვერდზე 23 წლის ნახევარმცველმა: *„მინდა ვთქვა იმ ჭორებზე, თითქოს, ღამლამობით ვიკარგები, ტყუილია. რაც სეზონი დაიწყო, თითქმის არ გავსულვარ გარეთ, იმიტომ, რომ ვშრომობ, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეეფერება".*

### ტრაგედია სამეფო კლუბში

**ბენხამინ ალონსო ესკერა** „რეალის" 10-წლამდელთა გუნდის ფეხბურთელი იყო, ერთ კვირაში ის 8 წლის უნდა გამხდარიყო, მაგრამ... „ვისენტე კალდერონის" სტადიონის გადაღმა, ხმაურიან ქუჩაზე ბურთს მისდია და მანქანამ დაარტყა. *„რეალი" უდიდეს წუხილს გამოთქვამს ალონსო ესკერას, გუნდის ერთ-ერთი წევრის დაღუპვის გამო. დღეს ჩვენ ყველანი მის ოჯახს ვანუგეშებთ",* - წერია კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე. ამის გამო „რეალი" „მილიონარიოსთან" მატჩში შავი სამკლაურებით გამოვიდა.

### 30 ათასი პრეზიდენტი

მადრიდის „რეალს" 93 ათასი კლუბის წევრი ჰყავს. კვირას „რეალის" წევრთა ასამბლეა გაიმართება, რომლის მთავარი სადისკუსიო თემა კლუბში ხელმძღვანელ პოსტებზე შემოსაღები აკრძალვები იქნება. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ჯგუფებს ან ახლადგამოჩენილ ინვესტორებს ყველაფრის მართვის საშუალება ძირშივე მოესპოთ. როგორ? მაგალითად, თუკი ასამბლეა დაამტკიცებს, „რეალის" პრეზიდენტი ვერ გახდება პირი, თუ ის 20 წლის განმავლობაში არ იქნება კლუბის წევრი. სხვათა შორის, ასეთი 30 ათასი ადამიანია. ვიცეპრეზიდენტობაზე კლუბის წევრობის 15-წლიანი სტაჟი იქნება საჭირო (42 ათასი ადამიანი აკმაყოფილებს ამ პირობას), ხოლო დირექტორობა 10-წლიანი სტაჟითაც იქნება შესაძლებელი (61 ათასი).

### რეკორდული ბიუჯეტი

„რეალმა" სპორტული პროდუქციის გერმანულ ფირმა „ადიდასთან" 2019-20 წლების სეზონამდე გააახანგრძლივა ხელშეკრულება. ბოლო სეზონის მოგებამ „რეალში" 514 მილიონი ევრო შეადგინა, 7%-ით მეტი, ვიდრე წინა წელს. აქედან 29% სტადიონს მოაქვს, 31% - ტელევიზიას, 32% კი - მარკეტინგს. „რეალის" 2012/13 წლების ბიუჯეტი 517 მილიონი ევროა, ეს კი სპორტული ორგანიზაციის ახალი რეიტინგია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### გალას პრეზიდენტი: კაკაზე ვფიქრობ!

თურქეთის ჩემპიონ „გალათასარაის" **კაკას** გადაბირება ზაფხულშიც სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ახლა თურქული გრანდის პრეზიდენტმა ეს თემა კიდევ ერთხელ წამოსწია წინა პლანზე - **უნალ აისალმა** თქვა, რომ თუ „გალათასარაი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს გადალახავს, ზამთარში ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ბრაზილიელი „რეალიდან" „გალაში" გადაიყვანოს.

*„ცხადია, ფანებს ვერაფრის გარანტიას ვერ მივცემ, მაგრამ იმას კი დავპირდები, რომ თუ ჩემპიონთა ლიგის მერვეედფინალში გავალწევთ, ამ ტრანსფერისთვის არაფერს დავიშურებ და ყველანაირად ვეცდები, რომ კაკამ „გალათასარაის" ფორმა მოირგოს,"* - უთხრა აისალმა ჩვენს თურქ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ბრაზილია. სერია A. გამოტოვებული მატჩი.

# ატლეტიკო მინეირო კრიზისშია

**ფლამენგო-ატლ. მინეირო 2:1**

**გოლები:** 1:0 ვაგნერ ლავი (21), 1:1 ჟო (50), 2:1 ლიედსონი (56).

ბრაზილიაში მე-14 ტურის გამოტოვებული მატჩი გაიამართა: "ფლამენგომ" "ატლეტიკო მინეიროს" უმასპინძლა. მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და "ენუენაო" თითქმის ბოლომდე გაივსო. ამ შეხვედრას დამატებით ინტრიგას **რონალდინიოს** დაბრუნება სძენდა - გაუჩო "ფლამენგოდან" მაისში წავიდა, ვინაიდან კლუბი მას ხელფასს ვერ უხდიდა. ძალიან დაძაბული და მძიმე ბრძოლაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ და ამით "ფლამ" სამსახური მოსისხლე მტერ, "ფლუმინენსეს" გაუწია. ამ მარცხის გამო, "ატლეტიკო" უკვე 4 ქულით ჩამორჩება **აბელ ბრაგას** გუნდს. რაც შეეხება "ფლამენგოს" – ზედიზედ ჩატარებული წარმატებული მატჩების გამო, გუნდი გასავარდნ ზონას გვარიანად მოშორდა და ახლა უკვე მე-10 ადგილზეა.

ანგარიში 21-ე წუთზე **ვაგნერ ლავმა** გახსნა და ჩემპიონატში მე-11 გოლი გაიტანა. მატჩის მეორე ტაიმში, მოსკოვის ცსკას კიდევ ერთმა ყოფილმა ფეხბურთელმა, **ჟომ** გამოიჩინა თავი და "ატლეტიკოს" ქომაგებს მოგების იმედი გაუჩინა, თუმცა ძალიან მალე, ზუსტად 6 წუთში, **ლიედსონმა** ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა გოლი, რომელიც გამარჯვების მომტანი გამოდგა. შეხვედრის 73-ე წუთზე სტუმრებს ერთ-ერთი ლიდერი



ვაგნერ ლავმა ჩემპიონატში მე-11 გოლი გაიტანა

და დაცვის ბურჯი **რევერი** გაუძევეს, რომელმაც კარიოკელთა მცველ **მარკოს გონსალესს** თავი ჩაარტყა. 10-კაციანმა "ატლეტიკომ" ვერაფერი გააწყო და უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა.

მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო ვაგნერ ლავი, რომელმაც გულშემატკივარი შეაქო: *"დღეს ჩვენ ყველას ვუჩვენეთ, თუ რას ნიშნავს იყო "ფლამენგო", როდესაც ჩვენ ასეთი მხარდაჭერა გვაქვს, აბსოლუტურად ყველას დამარცხება შეგვიძლია".*

გეტყვით, რომ ამ სეზონში "ფლამენგოს" თამაშებს საშუალოდ 9 ათასი გულშემატკივარი ესწრება, რაც ძალაინ ცოტაა იმ გუნდისთვის, რომელსაც ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით 45 მილიონამდე (!) ადამიანი ქომაგობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 26 | 16 | 8 | 2 | 43-18 | 56 |
| 2. ატლ. მინეირო | 26 | 15 | 7 | 4 | 40-19 | 52 |
| 3. გრემიო | 26 | 15 | 4 | 7 | 37-21 | 49 |
| 4. ვასკო და გამა | 26 | 12 | 8 | 6 | 32-26 | 44 |
| 5. სან პაულო | 26 | 13 | 3 | 10 | 38-28 | 42 |
| 6. ბოტაფოგო | 26 | 11 | 7 | 8 | 41-33 | 40 |
| 7. ინტერნასიონ. | 26 | 10 | 10 | 6 | 33-23 | 40 |
| 8. კორინთიანსი | 26 | 9 | 9 | 8 | 30-26 | 36 |
| 9. კრუზეირო | 26 | 10 | 5 | 11 | 32-36 | 35 |
| 10. ფლამენგო | 26 | 9 | 7 | 10 | 28-36 | 34 |
| 11. პონტე პრეტა | 26 | 8 | 10 | 8 | 30-32 | 34 |
| 12. სანტოსი | 26 | 8 | 9 | 9 | 31-35 | 33 |
| 13. პორტუგეზა | 26 | 8 | 8 | 10 | 28-30 | 32 |
| 14. ნაუტიკო | 26 | 9 | 4 | 13 | 31-42 | 31 |
| 15. ბაია | 26 | 7 | 10 | 9 | 27-30 | 31 |
| 16. კურიტიბა | 26 | 8 | 4 | 14 | 38-46 | 28 |
| 17. სპორტ რესიფე | 26 | 6 | 9 | 11 | 23-35 | 27 |
| 18. პალმეირასი | 26 | 6 | 5 | 15 | 25-36 | 23 |
| 19. ფიგეირენსე | 26 | 5 | 7 | 14 | 29-45 | 22 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 26 | 4 | 8 | 14 | 27-46 | 20 |

**ბომბარდირები:** 12 – ფრედი (ფლუმინენსე); 11 – ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ბრუნო მინეირო (პორტუგეზა), ვაგნერ ლავი (ფლამენგო); 9 – ალექსანდრო (ვასკო და გამა), ალოიზიო (ფიგეირენსე), ველინგტონ პაულისტა (კრუზეირო).

**ტატო ბაციკაძე**

● რეკოპა სუდამერიკანა. საპასუხო მატჩი

# ნეიმარის და სანტოსის მორიგი ტიტული



**სანტოსი-უნ. დე ჩილე 2:0**

(პირველი მატჩი 0:0)

**გოლები:** 1:0 ნეიმარი (28), 2:0 ბრუნო როდრიგო (61).

სან პაულოში რეკოპა სუდამერიკანას საპასუხო მატჩი გაიმართა, რომელიც "სანტოსის" გამარჯვებით დასრულდა. ეს ტურნირი ევროპის სუპერთასის სამხრეთ ამერიკული ანალოგია, რომლისთვისაც ერთმანეთს, ლიბერტადორესის თასის და კოპა სუდამერიკანას გამარჯვებულები ეცილებიან.

პირველი შეხვედრა, რომელიც ერთი თვის წინ ჩილეში შედგა, უგოლოდ დასრულდა. შესაბამისად, საპასუხო მატჩის წინ ფავორიტი "სანტოსი" იყო და ბრაზილიელებმა ეს სტატუსი გაამართლეს. კვლავ ყურადღების ცენტრში იყო **ნეიმარი,** რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში, თუმცა მანვე მოგვიანებით პენალტი ვერ გამოიყენა. შეხვედრის მეორე და უკანასკნელი გოლი, 61-ე წუთზე **ბრუნო როდრიგომ** გაიტანა.

"სანტოსი" ისტორიაში პირველად დაეუფლა ამ ტიტულს, რის გამოც ნეიმარი უზომოდ კმაყოფილი იყო: *"მე ძალიან ბედნიერი ვარ, ბევრი ადამიანი ამ ტურნირის დაკნინებას ცდილობდა, მაგრამ ჩვენ მას სერიოზულად მივუდექით და დამსახურებულად მოვიგეთ. ეს "სანტოსისთვის" კიდევ ერთი ტიტულია, თან ტიტული, რომელიც აქამდე გუნდს მოგებული არ ჰქონდა".*

რეკოპა სუდამერიკანა 1988 წლიდან თამაშდება. ეს ტურნირი ყველაზე მეტჯერ "ბოკა ხუნიორსმა" მოიგო, რომლის ანგარიშზეც 4 გამარჯვებაა, 2-2-ჯერ კი მოგებული "სან პაულოს", "ინტერნასიონალს", პარაგვაის "ოლიმპიას" და ეკვადორის "ლდუ კიტოს" აქვთ.

**კოპა სუდამერიკანა.**
**1/8 ფინალი. პირველი მატჩები.**

**დეპორ. კიტო-ტიგრე 2:0**

**გოლები:** 1:0 ლორკა (53), 2:0 მ. ვილა (86).

**ინდეპენდიენტე-ლივერპული 2:1**

**გოლები:** 1:0 ფ. ვარგასი (7), 2:0 პ. როსალესი (49), 2:1 კ. ნუნიესი (86).

**ლდუ ლოხა-სან პაულო 1:1**

**გოლები:** 0:1 ჯ. ბერმუდესი (37-საკ. კარში), 1:1 ლარეა (44).

**ბარსელონა-გრემიო 0:1**

**გოლი:** 0:1 ვერლეი (45).

დაიწყო სამხრეთ ამერიკის მნიშვნელობით მეორე საერთაშორისო ტურნირის, კოპა სუდამერიკანას 1/8-ფინალური ეტაპი. გუშინ და გუშინწინ 4 მატჩი გაიმართა.

ეკვადორის დედაქალაქ კიტოში "დეპორტივომ" კრიზისში მყოფ "ტიგრეს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. **როდოლფო არაუაბარენამ** მხოლოდ რამოდენიმე ფეხბურთელი დაასვენა, მაგრამ მიუხედავად თითქმის იდეალური შემადგენლობისა, არგენტინელები დამარცხდნენ. კიტო ზღვის დონიდან 2850 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და გაიშვიათებულმა ჰაერმა, როგორც ჩანს, "ტიგრეს" თამაშს დაღი დაასვა, თუმცა არგენტინელები დამაჯერებლად ვერც მშობლიურ პირველობაზე გამიყურებიან.

კიდევ ერთმა გუნდმა, რომელიც კრიზისშია, არგენტინულმა "ინდეპენდიენტემ" სახლში მონტევიდეოს "ლივერპული" დაამარცხა, მაგრამ საბოლოოდ ანგარიში არაფრის გარანტიას არ იძლევა. ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობას საპასუხო მატჩი გაარკვევს, რომელიც მონტევიდეოში 26 ოქტომბერს გაიმართება.

ეკვადორის კიდევ ორმა ქალაქმა, ლოხამ და გუაკილმა უმასპინძლს ბრაზილიურ კლუბებს. ლოხა, კიტოსი არ იყოს, ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა, 2080 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, რამაც "სან პაულოს" თამაშზე იმოქმედა. აშკარად დაღლილი ბრაზილიელი ფეხბურთელები მარცხს ძლივს გადაურჩნენ და საბოლოოდ ეკვადორიდან საკმაოდ კარგი შედეგით წამოვიდნენ. საპასუხო მატჩის წინ "სან პაულო" აშკარა ფავორიტია.

ეკვადორის ყველაზე დასახლებული ქალაქი გუაკილი (3,5 მილიონი ადამიანი) გაიშვიათებული ჰაერით არ გამოირჩევა და ადგილობრივთა საყვარელი გუნდი, ალბათ, ამიტომაც დამარცხდა. "ბარსელონა", "ელ ნასიონალთან" ერთად ეკვადორის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია (13 საჩემპიონი ტიტული), მაგრამ ბოლოს ჩემპიონი 1997 წელს გახდა. გუნდს წლევანდელ სეზონში საქმეები ნორმალურად მისდის, მაგრამ ბრაზილიის ჩემპიონატის მესამე ადგილოსანთან, მიუხედავად მასპინძლის სტატუსისა, ფავორიტი მაინც ვერ იქნებოდა. საბოლოოდ "გრემიომ" **ვერლეის** ერთადერთი გოლით მოიგო, თუმცა ეკვადორელები, რომელთა რიგებშიც ადგილობრივი ნაკრების ბევრი ფეხბურთელი ირიცხება, მიზანთან ახლოს არაერთხელ იყვნენ, მაგრამ ხან ფორტუნა არ სწყალობდათ, ხან კი სტუმართა მეკარე, **მარსელო გროე** თამაშობდა შესანიშნავად. საბოლოოდ 0:1 და "გრემიო" ამ წყვილში აშკარა ფავორიტად იქცა.

1/8-ფინალური ეტაპის ოთხი დარჩენილი მატჩი მოგვიანებით გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან: **"კოლონი" (არგ) – "სერო პორტენიო" (პარ), "უნივ. დე ჩილე" (ჩილ) – "ემელეკი" (ეკვ), "პალმეირასი" (ბრა) – "მილიონარიოსი" (კოლ), "უნივ. კათოლიკა" (ჩილ) – "ატლეტიკო გოიანიენსე" (ბრა).**

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# საინტერესო ფილოსოფიის უშედეგობა

**"ლივერპულის" შარშანდელი და წლევანდელი ასპარეზობა ჩვენს გაზეთში სამსჯელო თემა ხშირად ყოფილა. ჯერ იყო და კენი დალგლიშმა მეორე წრე ისე ცუდად ჩაატარა, ცხრილი მარტო მისი შედეგებით რომ შემდგარიყო, "წითლები" პრემიერლიგიდან გავარდებოდნენ. მერე "ენფილდზე" ბრენდან როჯერსი მოვიდა. დიდი იმედების მიუხედავად, არც მის გუნდს ეტყობა რაიმე სასიკეთო. ამ ყოველივეს ბრიტანელმა სპორტულმა ჟურნალისტმა ჯონათან უილსონმა საინტერესო სტატია მიუძღვნა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.**

**ბრენდან როჯერსს** მხოლოდ თუ მიუსამძიმრებ. ნიჭიერმა სპეციალისტმა სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპზე დიდი სამუშაო გასწია. თუმცა ყველაზე ძლიერი მწვრთნელიც კი არ არის დაზღვეული მოედანზე შეგირდების მიერ სულელური შეცდომების დაშვებისგან. მეორე მხრივ, რაკი მწვრთნელი წყვეტს იმას, თუ ვინ უნდა გავიდეს მოედანზე, პასუხისმგებლობა გარკვეულწილად მისი საკისრებელიც არის. ორი ქულა პირველ ხუთ ტურში, ასე ცუდად "ლივერპულს" ჩემპიონატი 1903 წლის მერე არ დაუწყია. ისე, არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ მერსისაიდელებს საშინელი კალენდარი ჰქონდათ. "ენფილდზე" მათ უკვე უმასპინძლეს "მანჩესტერ სიტის", "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს", "ვესტ ბრომვიჩთან" და "სანდერლენდთან" გასვლითი შეხვედრების სირთულე კი თავიდანვე იოლი წარმოსადგენი იყო. "ლივერპულს" ხუთივე შეხვედრაში შეეძლო უფრო მეტის მიღწევის იმედი ჰქონოდა, მაგრამ... სწორედ ეს "მაგრამ" უშლიდა ხელს. მაგალითად, ვესტ ბრომვიჩში გუნდი სიმპათიურად გამოიყურებოდა და 3:0-ს ნამდვილად არ იმსახურებდა. როჯერსის შეგირდებს იღბალმა აშკარად აქცია ზურგი. ზოლტან გერას ფანტასტიკური გოლის შემდეგ სტუმრები გატყდნენ და დაცვაში საშინელი შეცდომების დაშვება დაიწყეს. ლაპარაკია განსაკუთრებით ცენტრალურ მცველებზე – **მარტინ** თუ ალწევს ხოლმე. სამწუხაროდ, შედეგი როჯერსის შეგირდებმა ისევ ვერ მიიღეს.

ყოველ ტურში "ლივერპული", მინიმუმ, მეტოქეზე არანაკლებ გამოიყურებოდა, მაგრამ ფეხბურთელთა ინდივიდუალური შეცდომების გამო მთელი მონდომება წყალში იყრებოდა. მართალია, ამ ეტაპზე ქულები კატასტროფულად ცოტაა, მაგრამ საფეხბურთო კანონთაგან ერთ-ერთი ჯერ არავის გაუუქმებია – თუკი თამაში არის, შედეგი ადრე თუ გვიან აუცილებლად მოვა. და მაინც, ცალკეულ ფეხბურთელთა გარჯა შეკითხვებს მაინც ბადებს. გვგონია, რომ "ენფილდზე" არ სურთ იმის აღიარება, რომ რეინამ პოზიციები საგრძნობლად დათმო. შესაძლოა, უკვე დრო იყოს, რომ გუნდმა სტაბილური მეკარის ძებნა დაიწყოს. ეს ეხება მარტინ შკრტელსაც. სლოვაკმა სტარტზე მთელი სეზონის შეცდომათა ლიმიტი ამოწურა. დანიელ აგერის გარდა "იუნაიტედთან" დაშავდა **ფაბიო ბორინიც**. ასე რომ, როჯერსს პრაქტიკულად ერთადერთი თავდამსხმელიღა რჩება – **ლუის სუარესი**. ჩნდება შეკითხვა. როცა არ არსებობდა **კლინტ დემპსის** შეძენის გარანტია, რა საჭირო იყო **ენდი კეროლის** გაშვება? ჰო, სუარესი ვახსენეთ და ურუგვაელის მიერ მომენტების რეალიზაციაც უკეთესის სურვილს ტოვებს. მწვრთნელი თავდასხმის ხაზში მანევრირების საშუალებას პრაქტიკულად მოკლებულია.



ბრენდან როჯერსის საფეხბურთო ფილოსოფია ენფილდზე ჯერ არ მუშაობს

**შკრტელსა და დანიელ აგერზე**. "სიტისთან" თავდასხმა ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, თუმცა გუნდი ისევ უკანა ხაზმა დაალალატა. თავი კვლავ შკრტელმა "გამოიჩინა".

"არსენალთან" თამაშის დიდ ნაწილს "ლივერპული" აკონტროლებდა, მაგრამ ტაბლოზე ეს არ ასახულა. სტუმრებმა თავისანთი შანსები ოსტატურად გამოიყენეს. აშკარად ჩააგდო ეს თამაში **პეპე რეინამ**, ვინც რამდენიმე წლის წინ შედიოდა პრემიერლიგის საუკეთესო მეკარეთა შორის, მაგრამ ახლა უკვე თვალნათელია, რომ მას კრიზისი დაეწყო. "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრა ხარისხის თვალსაზრისით აშკარად საუკეთესო იყო მიმდინარე სეზონში. რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენის მიუხედავად, მერსისაიდელები ბევრად უფრო მძლავრად გამოიყურებოდნენ. ბურთის ფლობის პროცენტულ მაჩვენებელში "წითლებს" ისეთივე უპირატესობა ჰქონდათ, როგორსაც, როგორც წესი, "ბარსელონა"

მერსისაიდელთა ფანებმა მშვენივრად იციან შარშანდელი შესანიშნავი სტატისტიკის შესახებ: ევროპის ტოპ-ჩემპიონატების მონაწილე გუნდებს შორის მხოლოდ "ბარსელონამ" გაატარა "ლივერპულზე" მეტი დრო მეტოქის ნახევარზე. შარშანდელ სეზონში 38 ტურში მხოლოდ 5-ჯერ მოხდა, რომ მეტოქემ კარებისკენ უფრო მეტჯერ დაარტყა. საერთო დარტყმების რაოდენობით კი მხოლოდ სამმა გუნდმა მოახერხა "წითლების" ჯობნა. თუმცა ეს ლამაზი სტატისტიკა არაფრისმთქმელი ხდება, როცა ცხრილში "ლივერპულს" მე-8 ადგილზე ვხედავთ. ამჟამად გუნდი კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში - მე-18 ადგილზეა. თუკი სიტუაცია მალე არ შეიცვლება, როჯერსი თავისი საინტერესო საფეხბურთო ფილოსოფიის მიუხედავად, შეიძლება უსამსახუროდ დარჩეს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მისი ფეხბურთელები ძველებურად განაგრძობენ შეცდომების დაშვებას.

ლიგის თასი. გამოხმაურება



# ფერგი კმაყოფილია

**"მანჩესტერ იუნაიტედმა" ლიგის თასზე "ნიუკასლს" უმასპინძლა და სტუმართა ამბიციური გუნდი უშანსოდ დაამარცხა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ "ეშმაკების" რიგებში თავი იმ ფეხბურთელებმა გამოიჩინეს, რომელთაც გოლი იშვიათად გააქვთ ხოლმე – ანდერსონმა და ტომას კლევერლიმ. ამას გარდა, ხანგრძლივი და არცთუ ხანგრძლივი პაუზების შემდეგ ძირითადს დაუბრუნდნენ დარენ ფლეტჩერი და უეინ რუნი. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სერ ალექს ფერგიუსონი გახარებული იყო:**

- კმაყოფილი ვარ ყველაზე მეტად იმიტომ, რომ "ნიუკასლი" რაღაც წილად ჩვენზე უკეთ აღმოჩნდა მზად ამ თამაშისთვის, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა. დროდადრო ფანტასტიკურ ფეხბურთს ვაჩვენებდით. ტრიბუნებიდან წამოსული ზეწოლის მიუხედავად, ვფიქრობ, სრულიად დამსახურებულად გავედით შემდეგ ეტაპზე. უეინ რუნი და დარენ ფლეტჩერი დღეს ძალიან კარგები იყვნენ. უეინს თამაშის ბოლოს ცოტა დაღლა დაეტყო. ეს ბუნებრივიც იყო. რუნის დარად რამდენიმე ფეხბურთელისთვის ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეს პირველი მატჩი იყო და გუნდური გადაღლილობა პრინციპში ამით აიხსნება. მოხარული ვარ, რომ ანდერსონმა და კლევერლიმ გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით მეორე გოლი უნდა აღვნიშნო, რადგან ამ მომენტში მთელი გუნდი დიდებულად გამოიყურებოდა. მეტოქეს რაც შეეხება, მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენთვის ცხოვრება გაერთულებინათ. მათთვის ეს იოლი ამოცანა ნამდვილად არ იყო. ფეხბურთელები ხვდებიან, რომ ყოველი შეხვედრის მოგება აუცილებელია. რაც მთავარია, ასპარეზობა მომავალშიც ასეთივე განწყობით უნდა გავაგრძელოთ.

## ბოლომდე სერიოზულად

"არსენალისგან" ყველა გოლების წვიმას ელოდა. ეს ასეც მოხდა. "მეთოფეებმა" რანგით მესამე დივიზიონის აუტსაიდერ "ქოვენთრისთან" ფანტასტიკური თამაში ჩაატარეს და მეტოქეს თავბრუ დაახვიეს სწრაფი, მრავალსვლიანი კომბინაციებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოლივიე ჟირუს პირველი გოლი ახალ გუნდში. მას დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ სტუმართა გამოცდილმა ირლანდიელმა გოლკიპერმა ჯო მერფიმ მას პენალტი აუღო. ფრანგის გარდა თავი გამოიჩინეს ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენმა, თეო უოლკოტმა (დუბლი), ანდრეი არშავინმა და 18 წლის ესპანელმა ცენტრალურმა მცველმა იგნასი მიკელმა. ვენგერმა თამაშის შეფასება არ დაიზარა:

- მგონია, რომ ჩვენ უბრალოდ ჩვენი საქმე გავაკეთეთ. პირველი ნახევარი გარკვეული გამოცდა იყო, განსაკუთრებით დაცვაში. მეორე ტაიმში კი მეტოქე დაიღალა და ჩვენმა შემტევებმაც ამის მერე მოჰკიდეს საქმეს ხელი. გუნდს, რომელსაც წინა ხაზზე ოქსლეიდ-ჩემბერლენი, უოლკოტი, არშავინი და ჟირუ ჰყავს, ცხადია, ხიფათს ყოველთვის შექმნის. სწორედ მათ ითამაშეს გადამწყვეტი როლი ამ წარმატებაში. საბოლოო ანგარიშზე დიდი გავლენა იქონია გუნდებს შორის კლასში სერიოზულმა სხვაობამაც. ამის მიუხედავად "ქოვენთრის" მიმართ მხოლოდ დადებითის თქმა შემიძლია - გუნდმა ძალიან დიდი ძალა და ენერგია დახარჯა. ხომ ნახეთ, ბოლო წამამდე არ გაჩერებულან. ყოველი ბურთისთვის თავდადებით იბრძოდნენ. ეს ისეთი ხასიათის შეხვედრა იყო, რომელსაც ბოლომდე სერიოზულად უნდა მოვკიდებოდით და ჩვენ ეს მოვახერხეთ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ოლივიე ჟირუს გოლი. აქამდეც ვიცოდით, რომ ის ოდესღაც დაიწყებდა გატანას და მხოლოდ იმაზე ვოცნებობდით, რომ ეს რაც შეიძლებოდა სწრაფად მომხდარიყო. მას მერე, რაც ჩვენთან გოლების ანგარიში გახსნა, ეს მას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალების რწმენას შემატებს. იმედი მაქვს, რომ ის ასეთივე ეფექტური იქნება პრემიერლიგის შეხვედრებშიც.

## თინეიჯერების ლივერპული

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** სერიოზულად გარისკა, როცა ლიგის თასის მესამე ეტაპზე "ვესტ ბრომვიჩთან" შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდებით (**კოატესი, უისდომი, რობინსონი, ასაიდი, პაჩეკო, იესილი, ჰენდერსონი**) დააკომპლექტა, მაგრამ სწორედ ახალგაზრდულმა მონდომებამ გაამართლა. "ლივერპულის" მცველებისა და მეკარის შეცდომა გარკვეულწილად ტრადიციასავით ჩამოყალიბდა. ასე მოხდა მე-3 წუთზე; **ბრედ ჯონსი** გამოსვლაზე თანაგუნდელებს შეეჯახა და ბურთი **გაბრიელ ტამაშს** დაუგდო. უნგრელმა თავდამსხმელმა ერთი შეხებითვე გაიტანა. "ლივერპულმა" **ნური შაჰინის** ეფექტური გოლებით მოიგო. თურქმა საყრდენმა პირველად **ბენ ფოსტერის** საშინელი თამაშის წყალობით გაიტანა, მეორედ კი ფლანგური ჩაწოდებისას მცველს დაასწრო და ახლოდან საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. აი, რა თქვა ბრენდან როჯერსმა თამაშის შემდგომ:

- ეს მოგება სიმბოლური იყო, რადგან მან ყველას დაუმტკიცა, რომ ჩვენ, როგორც გუნდი, უკვე გაზრდილი ვართ. ამავე მოედანზე ჩემპიონატის პირველ ტურში წაგების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მაშინ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ არ ესმოდათ, თუ რას ვითხოვდი მათგან. ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ახალგაზრდა, ტექნიკური ფეხბურთელების ერთად ხილვა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ბიჭებმა უკვე იციან, თუ როგორ უნდა იბრძოლონ. წინ "ენფილდზე" "სუონსისთან" დიდი მატჩი გველის. ყველამ იცის, რომ ეს კლუბი მხოლოდ განსაკუთრებული წინადადების მიღების შემდეგ დავტოვე. სწორედ ამიტომ, ჩემთვის ეს ძალიან დიდი საღამო იქნება. მთელი სულითა და გულით ვულოცავ ისტორიულ მიღწევას ჯერომ სინკლერს (ფეხბურთელმა გუშინ 16 წლისამ და 6 დღისამ მოირგო "ლივერპულის" მაისურა ოფიციალურ შეხვედრაში. რედ). პირადად თამაშის დასრულებისთანავე უკვე ვუთხარი სათქმელი. მნიშვნელოვანია, რომ ჯერომი და ჯეკ რობინსონი მინდორზე ერთად იყვნენ (წინა რეკორდი სწორედ რობინსონს ეკუთვნოდა. დებიუტისას ის 16 წლისა და 250 დღისა იყო. რედ). ისინი უნდა გავაფრთხილო, რომ ყველაზე მძიმე სამუშაო მათ ჯერ კიდევ წინ ელოდებათ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



გერმანია. ბუნდესლიგა. V ტურის შეჯამება / პარასკევის მატჩის წინ



ასე ზეიმობდნენ დიუსელდორფელები ფიურტის დამარცხებას

# შეინარჩუნებს ფორტუნა ნულს?

## დიუსელდორფში 10 გოლის გამტანი შალკე ჩადის

**დღეს**

| ფორტუნა–შალკე | 22:30 |
|---|---|

ტრავმა: ბალოგუნი - ჰილდებრანდი, მარიკა, ობასი

**ბუნდესლიგის მეხუთე ტური გუშინწინ დასრულდა და უკვე მეექვსე ტურზე გვიწევს საუბარი. დღეს პირველი მატჩია: „ფორტუნა", რომელიც კარს დღემდე მშრალად ინახავს, დიუსელდორფში „შალკეს" მასპინძლობს.**

სადაც „ფრანკფურტის" „აინტრახტს" ვახსენებთ, იქ არც დიუსელდორფის „ფორტუნა" უნდა დაგვავიწყდეს ხოლმე. მართალია, დიუსელდორფელებს ფრანკფურტელებზე 4 ქულით ნაკლები აქვთ მოგროვებული, სამაგიეროდ, **ნორბერტ მაიერის** გუნდი ერთადერთი (!) უმაღლესლიგელია ევროპაში, რომელსაც გაშვებული გოლების გრაფაში ჯერ კიდევ ნული უწერია. ზედიზედ სამი 0:0-ის შემდეგ „ფორტუნამ" სამშაბათს ბუნდესლიგის კიდევ ერთი დებიუტანტი „ფიურტი" სტუმრად 2:0 დაამარცხა და ევრორეკორდი შეინარჩუნა, გერმანიის ჩემპიონატის ცხრილში კი მეხუთე ადგილამდე აღზევდა.

დღეს ეიფორიაში მყოფი დიუსელდორფელები მეოთხეადგილოსან „შალკეს" მასპინძლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფორტუნას" დაცვის ხაზს, რომელსაც ვეტერანი მცველი ლანგენეკე მეთაურობს, პირველი სერიოზული გამოცდა ელის - „შალკეს" ხომ ბუნდესლიგის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირი **კლაას-იან ჰუნტელაარი** ჰყავს და გელზენკირხენელებს 5 ტურში 10 გოლი აქვთ გატანილი.

საინტერესოა, ათამაშებს თუ არა მაიერი უკრაინელ თავდამსხმელ **ანდრეი ვორონინს**, რომელმაც საწყის ტურებში იმედები ვერ გაამართლა, რის გამოც მწვრთნელმა „ფიურტთან" ძირითად შემადგენლობაში აღარ გაამწესა. დიდი შანსია, რომ მაიერმა უკრაინელი ამჯერადაც სკამზე დატოვოს, რადგან მისმა შემცვლელმა **ილსიომ** „ფიურტთან" გოლი გაიტანა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

### ვორონინი უკმაყოფილოა?

ჩვენი გერმანელი კოლეგები ეჭვობენ, რომ ვორონინს მწვრთნელთან პრობლემები აქვს და საამისოდ რამდენიმე მიზეზი მოჰყავთ: ანდრეი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც „ფიურტთან" მატჩის შესვენებაზე არ ხურდებოდა; მატჩის შემდეგ ფანებთან გამარჯვების საზეიმოდ მხოლოდ ვორონინი არ მივიდა და უკრაინელმა კომენტარი არ გააკეთა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი **პეტერ ფრიმუთი** ამბობს, არანაირი პრობლემა არ არისო...

რაც შეეხება „შალკეს": ამ დღეებში გელზენკირხენულ კლუბშიც დაძაბული ვითარება იყო. მართალია, „შალკემ" „მაინცთან" 3:0 მოიგო, მაგრამ „ხუმარებმა" ბოლო ორი გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს, მანამდე კი ფანები საყვარელ გუნდს უსტვენდნენ, რის გამოც გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** განრისხდა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, ვინც უსტვენდა, ფეხბურთის აზრზე არ არისო. გარდა ამისა, ჰუნტელაარს ახალი კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია, რის გამოც „შალკეს" შეფებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ იძულებულები არიან, მისი შემცვლელის ძებნა დაიწყონ. ფაქტია, რომ დღევანდელი შეხვედრა არაერთ კითხვას უპასუხებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## საუკეთესო ფეხბურთელები

V ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 4 | 1.17 |
| 2. რენე ადლერი | ჰამბურგი | 5 | 1.80 |
| 3. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 5 | 1.88 |
| 4. თომას მიულერი | ბაიერნი | 4 | 2.00 |
| 5. სებასტიან როდე | აინტრახტი | 5 | 2.00 |
| 6. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 5 | 2.00 |
| 7. ტონი კროოსი | ბაიერნი | 5 | 2.13 |
| 8. პირმინ შვეგლერი | აინტრახტი | 5 | 2.25 |
| 9. აარონ ჰანტი | ვერდერი | 5 | 2.30 |
| 10. ტაკაში ინუი | აინტრახტი | 5 | 2.30 |

## გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 4 | 3 | 7 | 10 |
| 2. თომას მიულერი | ბაიერნი | 4 | 4 | 4 | 8 |
| 3. ტაკაში ინუი | აინტრახტი | 5 | 3 | 3 | 6 |
| 4. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 5 | 5 | 1 | 6 |
| 5. ჰიროში კიოტაკე | ნიურნბერგი | 5 | 1 | 4 | 5 |
| 6. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 5 | 3 | 1 | 4 |
| 7. ხუან არანგო | ბორუსია (მ) | 5 | 1 | 3 | 4 |
| 8. ჯეფერსონ ფარფანი | შალკე | 4 | 1 | 3 | 4 |
| 9. ლუის ჰოლტბი | შალკე | 5 | 3 | 1 | 4 |
| 10. აარონ ჰანტი | ვერდერი | 5 | 3 | 1 | 4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 17-2 | 15 |
| 2. აინტრახტი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-7 | 13 |
| 3. ჰანოვერი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-8 | 10 |
| 4. შალკე | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 5. ფორტუნა | 5 | 2 | 3 | 0 | 4-0 | 9 |
| 6. დორტმუნდი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-8 | 8 |
| 7. ვერდერი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-8 | 7 |
| 8. ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 9. ნიურნბერგი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 10. გლადბახი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-12 | 6 |
| 12. ფრაიბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| 13. ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-8 | 5 |
| 14. ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 15. მაინცი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 16. ფიურტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 4 |
| 17. შტუტგარტი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-12 | 2 |
| 18. აუგსბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |

ბომბარდირები: 5 – მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 4 – თომას მიულერი (ბაიერნი).



**V ტურის გმირი**

### ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი)

„ვოლფსბურგთან" მატჩი ბასტიან შვაინშტაიგერისთვის ლაფსუსით დაიწყო: მესამე წუთზე „ბაიერნის" 28 წლის ლიდერმა ერთი მეტრიდან ბურთი „მგლების" კარის ძელს მოარტყა. შვაინიმ მე-18 წუთზეც ვერ დაუმიზნა კარგად, თუმცა ამჯერად 23 მეტრიდან შეაზანზარა დიეგო ბენალიოს კარის ძელი, ზუსტად ექვს წუთში კი მიზანი, როგორც იქნა, გაასწორა და ანგარიში გახსნა. თუმცა გოლზე მნიშვნელოვანი შვაინშტაიგერისთვის ის იყო, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მოედნის ცენტრს იდეალურად აკონტროლებდა და მშვენიერი პასები არიგა. ასე რომ, ვისაც დაავიწყდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შვაინი „ბაიერნისთვის", უყუროს „ვოლფსბურგთან" 3:0-ზე მოგებულ მატჩს განმეორებით...

## V ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნს როდე აინტერესებს

## აინტრახტის ტალანტი შეიძლება მიუნხენში გადავიდეს

**ფრანკფურტის „აინტრახტის" სენსაციური სვლის (4 მოგება, 1 ფრე, მეორე ადგილი) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 21 წლის უნიჭიერესი საყრდენი ნახევარმცველი სებასტიან როდეა, რომელმაც ბუნდესლიგის პირველ ტურებში მთელი საფეხბურთო გერმანიის ყურადღება მიიპყრო. შესაბამისია მიუნხენის „ბაიერნის" რეაქციაც: ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რეკორდმაისტერი ამ ფეხბურთელით სერიოზულად დაინტერესდა.**

ცნობა, „ბაიერნის" **სებასტიან როდეთი** დაინტერესების შესახებ, გუშინ „მიუნხენერ თაგესცაითუნგმა" საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. მართალია, ბავარიელებმა ზაფხულში **ხავი მარტინესის** სახით უძვირფასესი



სებასტიან როდე

საყრდენი ნახევარმცველი გადაიბირეს და ამ ტრანსფერის შემდეგ რეკორდმაისტერის შუა ხაზში უდიდესი კონკურენციაა, მაგრამ გამოჩნდა ახალგაზრდა გერმანელი, რომელიც შესანიშნავად ასპარეზობს და არცაა გასაკვირი, „ბაიერნს" ამ შანსის ხელიდან გაშვება რომ არ უნდა.

გასაკვირი არც ისაა, რომ გაიგეს რა „ბაიერნის" დაინტერესების შესახებ, „აინტრახტის" ხელმძღვანელებმა როდესთან კონტრაქტის ნაადრევად გაგრძელება მოისურვეს. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრს ფრანკფურტულ კლუბთან ხელშეკრულება 2014 წლამდე აკავშირებს. თუმცა იდეა პირველივე დღეს ჩიხში შევიდა - სებამ ამ ეტაპზე მოლაპარაკებების წამოწყება იუარა.

*„როდემ გვითხრა, რომ ახლა არ სურს ახალ კონტრაქტზე ლაპარაკი, რადგან ეს ფაზა მის კარიერაში უმნიშვნელოვანესია და უნდა, რომ მხოლოდ ფეხბურთზე იყოს კონცენტრირებული. ჩვენთვის ეს აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია,"* - აცხადებს „აინტრახტის" სპორტული დირექტორი **ბრუნო ჰიუბნერი** გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუსთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მიუხედავად ამისა, ჰიუბნერი 21 წლის ტალანტის ნაადრევ ტრანსფერს გამორიცხავს - როდეს ჩვენთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ფაქტია, რომ ამ ორ წელიწადში მის გაშვებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით და არანაირ კომპრომისზე წასვლას არ ვაპირებთო. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ფულის შეთავაზების შემთხვევაში „აინტრახტი" უპრობლემოდ დანებდება. სხვა საქმეა, უღირს თუ არა „ბაიერნს" როდე ძვირად ახლა, როცა **ბასტიან შვაინშტაიგერის**, ხავი მარტინესის, **ლუის გუსტავოსა** და **ანატოლი ტიმოშჩუკის** სახით 4 კარგი საყრდენი ჰყავს. შეგახსენებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ამ პოზიციაზე თამაში **ტონი კროოსსაც** შეუძლია.

**გოტფრიდ ლენცი**

უკრაინის ნაკრები

# ბლოხინს პავლოვი შეცვლის!

გუშინ გადაწყდა, რომ 12 და 16 ოქტომბერს გასამართი ოფიციალური მატჩების (მოლდოვასთან და მონტენეგროსთან) შემდეგ, უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ ბლოხინი** პოსტს დატოვებს და მხოლოდ კიევის „დინამოს" თავკაცის თანამდებობაზე დარჩება. შეგახსენებთ, რომ ბლოხინი კიევურ გრანდში ახლახან დაინიშნა და იქ „შახტართან" მარცხის შემდეგ გათავისუფლებული **იური სიომინი** შეცვალა.



უკრაინის ნაკრებს ნიკოლაი პავლოვი მიხედავს

გარკვეულია ისიც, თუ ვინ შეცვლის ბლოხინს უკრაინის ნაკრებში: ეს 58 წლის სპეციალისტი **ნიკოლაი პავლოვი** იქნება, რომელიც ბოლოს მარიუპოლის „ილიჩოვეცს" წვრთნიდა. აღსანიშნავია, რომ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას გაშვება თავად ბლოხინმა სთხოვა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## პაპადოპულოსის ახალი კონტრაქტი

„შალკეს" ბერძენმა მცველმა **კირიაკოს პაპადოპულოსმა** გელზენკირხენულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა: 20 წლის უკანახაზელმა „შალკეს" თავისი ბედი 2016 წლამდე დაუკავშირა. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ რუსულმა გრანდმა „ზენიტმა" „შალკეს" პაპადოპულოსის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო შესთავაზა, რაზეც გელზენკირხენელებმა რუსებს უარი შეუთვალეს.

საბერძნეთის ნაკრების მცველს, რომელზეც „შალკეს" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** უდიდეს იმედებს ამყარებს, ბუნდესლიგაში „ხუმარების" ფორმით 52 მატჩი აქვს ჩატარებული. ამ სეზონში კი ყველა შეხვედრაში შეუცვლელად იასპარეზა.

**გოტფრიდ ლენცი**

## დამნაშავეა!

როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ რასისტული გამონათქვამების გამო **ჯონ ტერის** 4-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და 220 ათასი ფუნტით დააჯარიმა. საბოლოო გადაწყვეტილება ამის შესახებ დამოუკიდებელმა კომისიამ გუშინ მიიღო. ზაფხულზე სამოქალაქო სასამართლომ ფეხბურთელი უდანაშაულოდ სცნო. ასოციაციის წესდებაში კი არსებობს პუნქტი, რომელიც "მესამე ხელისუფლების" მიერ გამოტანილ ყველა გადაწყვეტილების უზენაესობას ცნობს, მაგრამ კომისიამ ეს პუნქტი რატომღაც არ გაითვალისწინა. ფეხბურთელს გადაწყვეტილების გასაჩივრება უახლოეს 14 დღეში შეუძლია. შესაბამისად, დისკვალიფიკლაცია ძალაში შევა მხოლოდ აპელაციის შეტანის ვადის გასვლის შემთხვევაში ან სააპელაციო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ იმის მიხედვით, დატოვებს თუ არა ზემდგომი ორგანო მას ძალაში.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარსელონა

1-2-3-4

**პეპ გვარდიოლამ ეს განლაგება პირველად "ნოუ კამპზე", "ხეტაფესთან" მატჩში გამოიყენა.**




გვარდიოლას 1-2-3-4

# 1-2-3-4
## ანუ გადმობრუნებული პირამიდა ბარსელონას

**მსოფლიო** ფეხბურთის ისტორიაში, ტაქტიკურ ნოვაციებს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ტაქტიკურ განლაგებას სპორტის ამ სახეობაში რევოლუცია მოუხდენია. დღეს, მწვრთნელები, ძირითადად ორ მოდელს ანიჭებენ უპირატესობას: 4-2-3-1 (მცირე სხვაობით: 4-3-2-1) და 3-5-2 (3-4-1-2, 3-4-2-1 და ა.შ.), თუმცა არის გუნდი, რომელიც უნიკალურ სქემას იყენებს, სქემას, რომელსაც "გადმობრუნებული პირამიდა" შეარქვეს, რადგან ის ე.წ. "პირამიდის" (4-3-2-1) საპირისპირო ვერსიაა. საუბარი რა თქმა უნდა "ბარსელონაზე" და პეპ გვარდიოლას მიერ შექმნილ 1-2-3-4-ზე გვაქვს.

ფოტო "ბარსელონა"-"ხეტაფეს" მატჩიდან

კარგად შეხედეთ სურათს: ცენტრალური მცველი (მასკერანო) უკან რჩება, როდესაც ფლანგის ცენტრალური მცველები (პუიოლი მარჯვნივ და ადრიანო მარცხნივ) წინ მიდიან.



### სტრატეგია

ეს ტაქტიკური მოდელი, ალბათ, აქამდე არსებულთა შორის, ყველაზე რთულად სათამაშოა. სურათზე ეს განლაგება გრაფიკულად არის ასახული, ისრები კი ფეხბურთელთა ვექტორს მიუთითებს. მოთამაშეები მუდმივად უნდა მოძრაობდნენ და მეტოქე ყოველთვის პრესინგის ქვეშ ჰყავდეთ. ამ ტაქტიკაში, **ანტონიო კასანოსაც** კი მოუწევდა უბურთოდ სირბილი და მეტოქის დაწნეხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შემადგენლობიდან ამოვარდებოდა.

### მეკარე

მეკარეს აქ განსაკუთრებული როლი არ ენიჭება. მისი მისია იგივეა, რაც სხვა ტაქტიკებში – არ უნდა გაუშვას გოლი.

### დაცვა

**ცენტრალური მცველი** – ცენტრალური მცველის ფუნქციები გარკვეულწილად ლიბეროს ფუნქციებს წააგავს, თუმცა განსხვავება მაინც არის. ამ განლაგებაში ცენტრალური მცველს თამაშის წაკითხვის უნარი უნდა ჰქონდეს – მან უნდა ჩაშალოს მეტოქის შეტევა და საკუთარი გუნდის იერიში წამოიწყოს.

**ფლანგის ცენტრალური მცველები** – ეს პოზიცია ინოვაციურია. რთული გასახსენებელია, რომელიმე გუნდს მსგავსი პოზიციის მოთამაშე მოედანზე გაეყვანოს. ფლანგის ცენტრალურ მცველებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რადგან მათ ორმაგი პასუხისმგებლობა აკისრიათ. პირველი – მათ მეტოქის შეტევა ჩანასახშივე უნდა დაასრულონ, რის გამოც ორივე ფეხბურთელი ზემოთ არის აწეული (ე.წ. დაცვის მეორე ხაზს ქმნიან, ცენტრალური მცველი კი უკან რჩება). მეორე – თუ მეტოქის გარემარბი შეტევაში ჩაერთო, ამ პოზიციის ფეხბურთელი უმალ ფლანგის მცველი ხდება და ოპონენტს უშუალოდ მეურვეობს.

### ნახევარდაცვა

**საყრდენი** – საყრდენ ნახევარმცველს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ ამ პოზიციის ფეხბურთელმა ნახევარდაცვაში უნდა იბატონოს, ასევე საჭიროების შემთხვევაში უკან უნდა დაიხიოს და ცენტრალური მცველის პოზიციაზე დადგეს.




მარცხნივ – "ბარსელონას" სასტარტო განლაგება; მარჯვნივ – ცვლილების შემდეგ.

4 ფეხბურთელი ხაზზე და საყრდენი ოდნავ უკან

ამ სურათზე ჩანს, როგორ დაიხიეს უკან პედრომ და კუენკამ (გარემარბები) და ჩავი-ინიესტას დუეტთან ერთად, ცენტრში განლაგდნენ. ბუსკეტსი კი სიტუაციას უკნიდან აკონტროლებს.



ცენტრფორვარდის მიზანი კი ისაა, რაც ყველგან – გოლის გატანა.

ცენტრფორვარდი მეკარეს ავიწროებს, დამხმარე ფორვარდი კი მეტოქის მცველს მეურვეობს.



ამ სქემით ყველაფერი კარგად არის ახსნილი: **ბუსკეტსმა** მატჩი საყრდენის პოზიციაზე დაიწყო **სეიდუ კეიტასთან** ერთად, მაგრამ როცა საჭირო გახდა, დაცვაში დაიხია და კეიტა ერთადერთ საყრდენად იქცა.

გუნდის შეტევის დროს, საყრდენი ნახევარმცველი უკან რჩება, რადგან თუ "ბარსამ" ბურთი დაკარგა, მან მეტოქის შეტევა უნდა ჩაშალოს. თავდაცვის დროს კი, ის უკან იხევს და ოთხკაციან დაცვის ხაზს ქმნის, რომლის დროსაც ფლანგის ცენტრალური მცველები, უბრალოდ ფლანგის მცველები ხდებიან.

არის შემთხვევები, როდესაც როგორც საყრდენი, ასევე მცველები თავიანთ პოზიციაზე რჩებიან – ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც მეტოქეს შეტევაში ზედმეტი ფეხბურთელი ჰყავს.

**ცენტრალური ნახევარმცველები** – როგორც წესი, ცენტრალური ნახევარმცველებიდან ერთი ე.წ. "დრიბლიორია", მეორე კი კარგი ასისტენტი, რაც იდეალურ ნაზავს ქმნის. ე.წ. "დრიბლიორი", ასევე ე.წ. "მორბენალი" ცენტრალური ნახევარმცველი ხშირად ეხმარება საყრდენს, ხოლო "ასისტენტი" თამაშის რიტმს აკონტროლებს.

**გარემარბები** – ფლანგის შემტევების მოვალეობა სათამაშო არეალის გაზრდაა. მათ ლამის აუტის ხაზთან უწევთ მოქმედება, იმისთვის, რომ მეტოქის დაცვა სიგანეში გაწელონ და თავდამსხმელებისთვის ცენტრში თავისუფალი ადგილები გამოათავისუფლონ. გარდა ამისა, ბურთის დაკარგვის შემთხვევაში, მათ უკან დახევა და ორ ცენტრალურ ნახევარმცველთან ერთად ხაზზე განლაგება ევალებათ, საყრდენი კი ამ დროს, მათზე ოდნავ უკან რჩება.

### თავდამსხმელები

**ცენტრფორვარდი** და **მეორე ფორვარდი** - თავდამსხმელების მოვალეობა ყველა გუნდში ერთია – გოლების გატანა. "ბარსელონას" მეორე ფორვარდის, განლაგებაში 9-ნომრის, ისე კი 10-იანის, ფუნქცია ნახევარდაცვის და შეტევის შეკავშირებაა. გარდა ამისა, ის გუნდის მთავარი "ფანტაზისტა" და მარგალიტია. საჭიროების შემთხვევაში, მეორე ფორვარდმა შესაძლოა უკან დაიხიოს და საკუთარ გუნდს ნახევარდაცვაში რაოდენობრივი უპირატესობა მოუტანოს.

შეჯამების სახით ვთქვათ, რომ ამ ტაქტიკური მოდელის გამართულად მუშაობის ამოსავალი წერტილი გუნდური თამაშია და არა ინდივიდუალიზმი. ფეხბურთის წლიდან წლამდე განვითარებასთან ერთად, კოლექტიური მოქმედება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

"ბარსელონას" ეს ტაქტიკა ახალი სიტყვაა მსოფლიო ფეხბურთში. საინტერესოა, იქნება თუ არა ეს მოდელი წარმატების მომტანი და გაუძლებს თუ არა ის დროს. ამას მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს.

● საფრანგეთი

# კიდევ ერთი კლასიკო

საფრანგეთში ლიგის თასის 1/8-ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა და გულშემატკივარმა საოცნებო წყვილი მიიღო: 30 ოქტომბერს "პარი სენ-ჟერმენი" და "მარსელი" ერთმანეთს პარიზში დაუპირისპირდებიან. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთელთა რეაქციამაც არ დააყოვნა. პარიზელთა ბრაზილიელმა მცველმა **მაქსველმა** გუნდის ვებგვერდს შემდეგ რამ განუცხადა: *"კენჭისყრაში არ გაგვიმართლა. სათასო კლასიკო ჩემპიონატის მატჩისგან განსხვავებული იქნება, მაგრამ ჩვენ მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ, რადგან ისეთი შემადგენლობა გვყავს, რომელსაც ყველა ტურნირის მოგება შეუძლია. "პსჟ" წელს ყველა იმ ტურნირის მოგებას ეცდება, რომელშიც მონაწილეობს და ლიგის თასი გამონაკლისი ნამდვილად არ არის".*




პსჟ და მარსელი ერთმანეთს თასზე დაუპირისპირდებიან

შეგახსენებთ, რომ ეს ორი გუნდი ერთმანეთს, ჩემპიონატის ეგიდით, 7 ოქტომბერსაც ხვდება: *"დროის მცირე მონაკვეთში ორჯერ გვიწევს მათთან შეხვედრა, თუმცა ჯერ მხოლოდ "ველოდრომზე" გასამართ მატჩზე ვფიქრობთ, რადგან ის შეხვედრა, როგორც ჩვენთვის, ასევე მათთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ "ოლიმპიკის" საშინაო თამაშებზე ყოველთვის საოცარი ატმოსფეროა, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე ვიფიქრებთ"* – განაცხადა მაქსველმა.

სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ: "მონპელიე" – "ბორდო", "ბასტია" – "ოსერი", "მონაკო" – "ტრუა", "ლილი" – "ტულუზი", "რენი" – "არლი", "ნიცა" – "ლიონი", "სოშო" – "სენტ ეტიენი".

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ქართული სპორტი

სამბო



საქართველოს ჩემპიონები სამბოში. მარცხნიდან: I რიგში ნუკრი ბერაია, ამირან პაპინაშვილი, ლევან ქოჩიევი; II რიგში დავით ლორიაშვილი,რეზო წულუკიძე, ლევან ნახუცრიშვილი, ვახტანგ ზოიძე, ნიკო კუცია და ზვიად კაპანაძე.

# ერთი თვით ადრე ჩემპიონატამდე

სამბო ერთადერთია, რომელსაც წლეულს წინ აქვს მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩვენმა სამბისტებმა მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე უკვე მეორედ გამართეს 2012 წლის საქართველოს ჩემპიონატი. შეჯიბრება დილომში ძიუდოს დარბაზში გაიმართა 128 ფალავნის მონაწილეობით.

ქვეყნის ჩემპიონატის ორჯერ გამართვა წლის განმავლობაში არახალია. პირველებმა ეს პრაქტიკა ძიუდოისტებმა დანერგეს. სხვათა შორის, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სამბისტთა ჩემპიონატში ბევრი ძიუდოისტი ასპარეზობდა.

ერთი თვის შემდეგ ბელარუსის დედაქალაქში მსოფლიოს ჩემპონატია მანამდე კი საწვრთნელი შეკრებაა ქვეყნის ნაკრები გუნდის საბოლოო მომზადებისათვის და მსოფლიოზე წარმატებით გამოსასვლელად.

**კვარცხლბეკი**

**52 კგ.** ამ წონაში ფინალში ორი ფოთელი შეერკინა ერთმანეთს. კარგა ხნის შესვენების შემდეგ გამოცდილმა **ნუკრი ბერაიამ** 2 ქულით აჯობა **ლაშა ლატარიას** და ჩემპიონი გახდა. 3. **დიმიტრი მულაძე** და **თამაზ ნოზაძე** (ორივე - შიდა ქართლი).

**57 კგ.** ლონდონის XXX ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტს კასპელ ძიუდოისტ **ამირან პაპინაშვილს**, მართალია, ლონდონის ოლიმპიადაზე არ უჭიდავია, მაგრამ ახლა სამბისტთა ჩემპიონატზე საუკეთესო იყო **57 კგ**-ში. ფინალში ის თელაველ **ვახტანგ ჩიდრაშვილს** დაუპირისპირდა და 6:5 მოუგო. ასე რომ, მას იოლი გასეირნება არ ჰქონია ოქროს მედლამდე. 3. **გიორგი მესაბლიშვილი** (კახეთი), 3. **ილია ტყეშელაშვილი** (იმერეთი).

**62 კგ.** ძალზე დაძაბული გამოდგა მცხეთელ **ლევან ქოჩიევისა** და კასპელ **ზვიად ოდოშაშვილის** ფინალი 3:2 გაიმარჯვა ქოჩიევმა. 3. **ბექა ბუცხრიკიძე** (სამეგრელო ზემო სვანეთი) და **მერაბ დვალიშვილი** (იმერეთი).

**68 კგ.** აქ თამაშდებოდა ერთი თვის წინ ლოპოტას ხეობაში საზღვრის შეიარაღებულ დამრღვევებთან შეტაკების დროს გმირულად დაღუპული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, საქართველოს სამბისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის არჩილ ჩოხელის სახელობის თასი.

ჩემპიონობა ამ წონაში მცხეთელმა **ლევან ნახუცრიშვილმა** მოიპოვა, რომელმაც 5:1 აჯობა ფინალში მასზე ახალგაზრდა ფოთელ **ბექა ტულუშს.**

ნახუცრიშვილს თასი გადასცა არჩილ ჩოხელის დისშვილმა რატი მასურიშვილმა. 3. **ვანიკო თოთლაძე** (შიდა ქართლი) და **ზურაბ ჩადუნელი** (მესხეთ-ჯავახეთი).

**74 კგ.** ზუგდიდელი ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ბესარიონ ბერულავა** დიდხანს იგებდა 3:0 ქარელელ **ზვიად კაპანაძესთან.** მაგრამ ორთაბრძოლის მიწურულს ქარელელმა შებოჭა მასზე გამოცდილი ბერულავა და 4:3 მოიგო. სხვათა შორის, ზვიად კაპანაძე ქართულ ჭიდაობაშიც გახდა წლეულს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. 3. **კახა მამულაშვილი, 3. გიორგი პაპუნაშვილი** (ორივე — შიდა ქართლი).

**82 კგ.** ყველაზე გამოცდილ და ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, ფოთელ **ნიკო კუციას** გადამწყვეტ შეხვედრაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ქვემოქართლელმა **ზაზა დავაძემ,** მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა...

3. **ზვიად ბაზანდარაშვილი** (შიდა ქართლი) და **ლაშა ზურაბიანი** (მცხეთა- მთიანეთი).

**90 კგ.** ამ წონაში მოზრდილებში პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი აჭარელი **რეზო წულუკიძე.** მან დაძაბულ პაექრობაში მცხეთელ **გიორგი ცოციაშვილს** აჯობა. 3. **კახა გაზაშვილი** (შიდა ქართლი) და **ფრიდონ ზურაბიანი** (მცხეთა-მთიანეთი).

**100 კგ.** ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ კარგა ხანს არ უვარჯიშია მარტყოფელ ძიუდოისტსა და სამბისტს **დავით ლორიაშვილს,** რომელიც 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია სამბოში (+100 კგ). ვარჯიშის განახლების შემდეგ ლორიაშვილისთვის სამბისტთა ჩემპიონატი პირველი იყო, სადაც მან მთავარ ბრძოლაში ქარელელ **გიორგი ბოლოთაშვილს** აჯობა. 3. **გიორგი ქავთარაძე** (ქვემო ქართლი) და **მიხეილ ნარიმანიძე** (კახეთი).

**+100 კგ.** მძიმე წონაში რამდენიმე ძლიერმა სამბისტმა არ იასპარეზა. ამიტომ ევროპის პრიზიორმა **ვახტანგ ზოიძემ** (აჭარა) შედარებით იოლად განვლო გზა ჩემპიონობამდე. ფინალში მან იმერელ **გიორგი ზაქარიაძეს** მოუგო. 3. მიხეილ ქოიავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. **ტატო მუკვანი** (ქვემო ქართლი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ვახტანგაძის ტურნირი

# ვახტანგაძის ისტორია დ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბათუმში გუშინ დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონის, სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორ მუხრან ვახტანგაძის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა შორის. მასში ქართველების გარდა ინდოეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები მონაწილეობენ, თურქები კი, წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, არ ჩამოვიდნენ.**

საბოლოოდ ტურნირში 70-ზე მეტი მოჭიდავე მაინც მოგროვდა. სტუმართაგან ჩვენი უშუალო მეზობლები საკმაოდ ძლიერი გუნდებით ჩამოვიდნენ, რამაც შეჯიბრების ხარისხიც აამაღლა. გუშინ განსაკუთრებით წარმატებით სომხებმა იჭიდავეს, რომლებმაც რამდენიმეჯერ გაგვამწარეს, თუმცა აზერბაიჯანსაც ასპროცენტიანი შედეგი აქვს - მათგან მხოლოდ ერთმა იჭიდავა და ჩემპიონი გახდა.

როგორც ბათუმში მყოფმა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, შეჯიბრება კარგადაა ორგანიზებული. შეგახსენებთ, რომ ესაა ერთ-ერთი ტურნირი იმ ორიდან, რომელიც საქართველოდან საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი (მეორე ასევე მსოფლიოს ჩემპიონ **თემურ ყაზარაშვილის** სახელობის ჭაბუკთა ტურნირია). ახალი ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებაზე დიდადაა დამოკიდებული, მომავალშიც შეიტანენ თუ არა საერთაშორისო კალენდარში. არადა, მსგავსი რანგის შეჯიბრებები ჰაერივით გვჭირდება და ამიტომაცაა მისასალმებელია ორგანიზატორთა მონდომება.

ტურნირში უძლიერესი შემადგენლობით არც ჩვენები გამოდიან - მწვრთნელებმა ევროპა-მსოფლიოზე ნაჭიდავები ფალავნების უმეტესობა დაასვენეს. ალბათ, გასაკვირიც არაა, წონებში მონაწილეთა უმეტესობას მასპინძლები თუ შეადგენდნენ. მაგალითად, 60 კილოგრამში მხოლოდ ქართველები ჭიდაობდნენ, 50-ში უცხოელთაგან კი ერთი სომეხი იყო...

50 კილოგრამში ყველაზე უკეთ **გიზო მელაძემ** იასპარეზა და პირველობა მოიპოვა. სამაგიეროდ, საკმაოდ სუსტად გამოვიდა საქართველოს ჩემპიონი და ევროპაზე ნაჭიდავები **დავით სანიკიანი** - პირველივე წრეში ძირითად დროში დამარცხდა მომავალ ფინალისტ **იური ლომაძესთან.** მართალია, მერე დამამშვიდებელში **ირაკლი კოვზირიძეს** კი აჯობა და მესამეზე გავიდა, მაგრამ ევროპირველობაზე ბრინჯაოსთვის ნაჭიდავები ფალავნისთვის არა გვგონია, ეს მაქსიმუმი იყოს. მელაძემაც ძირითადში მოიგო სამივე ორთაბრძოლა - **გიორგი მამულაძესთან, ირაკლი სვანაძესთან** და ფინალში ლომაძესთან.

60 კილოგრამში სომხურ-აზერბაიჯანული ფინალი ვიხილეთ, რომელიც ფრიად დაძაბულიც გამოდგა. აზერბაიჯანელებმა გუშინდელი დღის ის ერთადერთი ოქროც აქ მოიპოვეს - **მურად მამედოვმა ტარონ დუმოიანი** დაამარცხა. სომეხმა პირველ წრეში ამ წონაში ჩვენი ლიდერი **ბაჩანა ფუტკარაძე** 2:0; 1:0 დაამარცხა, მერე კი **მირზა შავაძეს** 5:0; 1:0 მოუგო. ფუტკარაძემ დამამშვიდებლის ფინალში შავაძეს 2:0; 1:0 აჯობა და ბრინჯაოს დაეუფლა. ამავე სინჯის მეორე მედალიც საქართველოს დარჩა - **გიორგი ჯაფარიძემ** მოიპოვა. მან პირველ წრეში ინდოელი **სიტანდერ კუმარი** 7:0; 2:0 დაამარცხა, მერე კი ფიცხელი ბრძოლა გამართა **ლაშა ებილაშვილთან.** ამ შეხვედრის ბედი დამატებით დროში გადაწყდა, იქამდე კი საქმე ებილაშვილმა მიიყვანა, როცა პირველი პერიოდის 2:4-ზე წაგების შემდეგ მეორეში 1:0 იმარჯვა. დამატებითში ჯაფარიძის უპირატესობა კვლავ დიდი იყო - 4:0 მოიგო. ის მესამე წრეში თავიდან მამედოვსაც უგებდა - 2:0, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და მომდევნოები მინიმალური ანგარიშით, 1:0 დათმო. შედეგად, ფინალში მამედოვი გავიდა, ჯაფარიძემ კი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში **ჯუმბერ წუწუნავას** მოუგო.

74-ში სამმა ქართველმა ვერაფერი მოუხერხა ორ სომეხს და ოქრო-ვერცხლი მათ დაუთმო. წრიულად მიმდინარე შეჯიბრება **სამველ ჰოვსეპიანმა** დაუმარცხებლად გაიარა, **არმენ აკოფიანი** კი მხოლოდ მასთან დამარცხდა.

96 კილოგრამში 4 მონაწილე იყო და ყველა ქართველი. აქ გამოვიდა ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ლაშა გობაძე**, რომელიც ადრე 74-ში გამოდიოდა. მან მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო, როცა პირველ წრეში დამარცხდა ამ წონაში ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატ **ბექა ქურცაძესთან** - 0:3; 0:1. ქურცაძეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერც სხვებმა - **გიორგი კურტანიძემ** და **ზაურ უტიაშვილმა** გაუწიეს. ის დამსახურებულად გახდა ჩემპიონი, რაც გასაკვირი სულაც არაა.

დღეს ტურნირში დანარჩენი ოთხი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები იასპარეზებენ. იმედია, ჩვენები კიდევ უფრო მეტი წარმატებით იჭიდავებენ.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ. 1. გიზო მელაძე; 2. იური ლომაძე; 3. ირაკლი შავაძე, დავით სანიკიანი (ოთხივე - საქართველო).**

**60 კგ.** 1. მურად მამედოვი (აზერბაიჯანი); 2. ტარონ დუმოიანი (სომხეთი); **3. ბაჩანა ფუტკარაძე, გიორგი ჯაფარიძე (ორივე - საქართველო).**

**74 კგ.** 1. სამველ ჰოვსეპიანი; 2. არმენ აკოფიანი (ორივე - სომხეთი); **3. ნუკრი შავაძე, გოგა ვაჩინაძე (ორივე - საქართველო).**

**96 კგ. 1. ბექა ქურცაძე; 2. ლაშა გობაძე; 3. გიორგი კურტანიძე, ზაურ უტიაშვილი (ოთხივე - საქართველო).**

**ირაკლი თავაძე**



ძიუდო

# ახლა კახეთში

საგარეჯოში გაიმართა ვეტერან მოჭიდავეთა პირველობა ძიუდოში. შიდა ქართლის შემდეგ კახეთი მეორე რეგიონია, სადაც „ძიუდოს ფესტივალის" ფარგლებში მოეწყო ასეთი ასპარეზობა.

პირველი ადგილი და 1.000 ლარი დაიმსახურეს საგარეჯოელმა ვეტერანებმა.

მეორე ადგილი დედოფლისწყაროელებს ხვდათ წილად (650 ლარი), მესამე ახმეტელებს (350 ლარი).

**კვარცხლბეკი**

**66 კგ.** 1. გოდერძი მეკოკიშვილი, 2. ლევან ბასილაშვილი, 3. რამაზ ასაბაშვილი, 3. ლუხუმ სუხაშვილი.

**73 კგ.** 1. მამუკა მათიაშვილი, 2. ზვიად შათირიშვილი, 3. გოგიტა მეკოკიშვილი, 3. თემურ კურდღელაშვილი.

**81 კგ.** 1. ქართლოს თედიაშვილი, 2. ბესო მოსულიშვილი, 3. გოჩა გუტაშვილი, 3. გოჩა აბრამიშვილი.

**90 კგ.** 1. ზურაბ მოსულიშვილი, 2. კახა ყორღანაშვილი, 3. ნიკოლოზ გაგნიაშვილი, 3. ზაზა კოტორაშვილი.

**+90 კგ.** 1. დავით მაძლარაშვილი, 2. ჭაბუკი მჭედლიშვილი, 3. სერგო მარგოშვილი, 3. ტარიელ როსტომაშვილი.

ლელოზე

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.

კვირის გარდა.

თავისუფალი ჭიდაობა. კიევის ტურნირი

# თავისუფლების ორმაგი დატვირთვა

ამ უქმეებზე კიევის სპორტის სასახლე „უკრაინის სომეხთა კავშირის თასის" გათამაშებას უმასპინძლებს თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრები ლამის ოპტიმალური შემადგენლობით გამოვა. ოლიმპიადაზე ნაჭიდავებ შემადგენლობას მხოლოდ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **გიორგი გოგშელიძე** (96), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ოთარ თუშიშვილი** (66) და ოლიმპიადის ვერცხლის, ხოლო მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **დავით მოძმანაშვილი** (120) დააკლდებიან. ამათგან გორელების, თუშიშვილ-გოგშელიძის ამბავი გასაგებია - პირველი საბოლოოდ წავიდა სპორტიდან, მეორე კი ჯერ ფიქრობს კარიერის გაგრძელება-შეწყვეტაზე. აი, მოძმანაშვილი თავდაპირველი გეგმით შედიოდა კიევში წასაყვან შემადგენლობაში, მაგრამ ვარჯიშზე ფეხი იტკინა და შინ დარჩა.



კიევში **დავით ხურციას** მეთვალყურეობით ევროპისა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), ევროპის ვერცხლის მედალოსანი **მალხაზ ზარქუა** (66), მსოფლიოსა და ევროპის მედალოსანი **დავით ხუციშვილი** (74), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120). შეგახსენებთ, რომ ოდიკაძემ კვირას ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში გაიმარჯვა.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას ხინჩეგაშვილისა და ზარქუას ახალ წონებს. ხინჩეგაშვილის ამბავი აქამდეც ვიცოდით - მან საბოლოოდ შეიცვალა წონა, ახლა კი ირკვევა, რომ ზარქუაც იმავეს აკეთებს. ეს ამბავი ხურციამაც დაგვიდასტურა, რომელიც ზარქუას პირადი მწვრთნელია. ეტყობა, ზარქუას ამ ნაბიჯის გადადგმისკენ ხინჩეგაშვილის გადაწყვეტილებამაც უბიძგა. მართალია, თუშიშვილის წასვლით ადგილი არც 66-ში გამოცარიელებულა და ზარქუა იქ უკონკურენციოდ ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ხინჩეგაშვილი ბევრად ძლიერი მეტოქეა.

თავად ტურნირი უკრაინაში მცხოვრებ სომეხთა საკმაოდ დიდი დიასპორის ძალისხმევით ტარდება და საპრიზო ფონდიც მაღალია. სწორედ იქაურმა სომხებმა სთხოვეს ჩვენებს უძლიერესი შემადგენლობით ჩასვლა, ქართველ ქომაგს კი შეჯიბრების პირდაპირი რეპორტაჟის ნახვაც შეუძლია.

ეს გუნდი ამ დილით გაფრინდა კიევში, ნაკრების სათადარიგო შემადგენლობა კი მანამდე გაემგზავრა ყაზახეთში, სადაც დღეს და ხვალ ადგილობრივ ტურნირში იასპარეზებს. იქ **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **ზურაბ იაკობაშვილი** (66), **გიორგი მარსაგიშვილი** (84), **თორნიკე სვანიძე** (84), **მამუკა კორძაია** (96) და **გიორგი საკანდელიძე** (120).

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ანა კვალიფიკაციაში პირველი ნომერია

პეკინში დღეს იწყება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი - ჩინეთის ღია პირველობა (საპრიზო ფონდი 4.828.050 დოლარი). საკვალიფიკაციო ეტაპიდან აილებს სტარტს 22 წლის **ანა ტატიშვილი,** რომელიც რეიტინგში 52-ეა. ტურნირის ორგანიზატორებმა ჩვენებური პირველ ნომრად განთესეს. დღეს ადრე დილით იგი რეიტინგით 88-ე ესპანელს - ლარა არუაბარენა-ვესინოს დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში ავსტრალიელ ქეისი დელაქუას (77-ე) და რუს ვერა დუშევინას შორის უძლიერესს შეხვდება. პირველი ბარიერის გადალახვისთვის 20, მეორე წრეში გამარჯვებისთვის კი 30 ქულას დაიმსახურებს.

თელავში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. მეორე წრის შეხვედრები ჩვენებურთაგან **სოფიო შაფათავამ და ოქსანა კალაშნიკოვამ** მოიგეს - მათ, შესაბამისად, კონი პერინი (შვეიცარია, 4:6, 6:3, 6:4) და რიჩელ ჰოგენკამპი (ჰოლანდია, 6:4, 2:6, 7:6) დაამარცხეს. მაკა ჩახნაშვილი მე-8 ნომრად განთესილ ანალენა ფრიედსამს (გერმანია) დანებდა - 6:7, 7:5, 4:6. ტურნირის რეიტინგფავორიტმა ლესია ცურენკომ (უკრაინა) მარგარიტა ლაზარევას (რუსეთი) აჯობა - 6:3, 6:0. პაექრობას განაგრძობს მისი თანამემამულე ელინა სვიტოლინაც (იგი ასპარეზობის მე-2 ნომერია) - გუშინ მან იტალიელი კორინა დენტონი დაჯაბნა - 6:1, 6:4. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ტერეზა მრდეზა (ხორვატია, 5) - ანა კაროლინა შმიედლოვა (სლოვაკეთი) 1:6, 6:3, 7:6, ანა შკუდუნი (უკრაინა) - რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 6:4, 1:6, 6:4, ალექსანდრა კრუნიჩი (სერბეთი, 4) - ნადია კიჩენოკი (უკრაინა) 6:1, 6:3.




მეოთხედფინალში ითამაშებენ: ცურენკო - ფრიედსამი, კრუნიჩი - შაფათავა, კალაშნიკოვა - შკუდუნი, მრდეზა - სვიტოლინა.

წყვილთა შეჯიბრებებში ოქსანა კალაშნიკოვამ და ეკატერინა ძეჰალევიჩმა (ბელარუსი) კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას ჩამოაშორეს პირველ ნომრად განთესილი უკრაინელი დები - ლუდმილა და ნადია კიჩენოკები - 6:4, 6:2. მეოთხედფინალში გავიდა სოფიო შაფათავას და დარია ლებეშევას (ბელარუსი) დუეტი, რომელმაც თამარ ჭალაგანიძეს და ანი გოგვაძეს აჯობა - 6:1, 6:2. შეჯიბრებას გამოეთიშნენ მარიამ ქურასბედიანი და ბაბილინა მაჩაიძე, რომლებმაც რეკა-ლუკა იანისთან (უნგრეთი) და ქრისტინა შაკოვეცთან (გერმანია) წააგეს - 0:6, 1:6. ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა მაკა ჩახნაშვილისა და სოფიო ქვაცაბაიას დუეტი, მაგრამ ჩვენებურებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ირინა ხრომაჩევას (რუსეთი) და ელინა სვიტოლინას (უკრაინა) - 3:6, 1:6. რალუკა ოლარუს (რუმინეთი) და ლესია ცურენკოს (უკრაინა) წყვილმა შვედები - ჰილდა მელანდერი და პაულინა მილოსლავლიევიჩი დაჯაბნა - 6:3, 6:1. გუშინვე გამოვლინდა ერთი ნახევარფინალისტიც: ელიზავეტა იანჩუკმა (უკრაინა) და ალექსანდრა სასნოვიჩმა (ბელარუსი) ჯერ ინეს ფერერისუარესსა (ესპანეთი) და რიჩელ ჰოგენკამპს (ჰოლანდია) სძლიეს - 6:2, 5:7, 10:8, გუშინ კი დაძაბულ პაექრობაში ტადეია მაიერიჩსა (სლოვენია) და ანა შკუდუნს (უკრაინა) აჯობეს - 7:5, 7:6.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# სიფრთხილე, მაგრამ ასეთი?

ფიდეს და ევროპის საჭადრაკო კავშირის მესვეურები რა ღონისძიებას არ მიმართავენ ე.წ. „დიდოსტატური ყაიმების" წინააღმდეგ, მაგრამ ბრძენთა თამაშის მოყვარულთა უმრავლესობის მორჯულება მაინც ვერ ხერხდება - პასუხსაგებ ორთაბრძოლებში ისინი რისკს თავს არიდებენ. დასტურად ბაქოში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების გუშინდელი ტურიც გამოდგება - მეწინავეთა 15 პარტიიდან 12 (!) ყაიმით დასრულდა, რამაც ანტონ კორობოვს (უკრაინა), ბარის ესენსა (თურქეთი) და სერგეი ჟიგალკოს (ბელარუსი) საშუალება მისცა, 4,5-4,5 ქულით მოწინავე პოზიციები შეენარჩუნებინათ. **მიხეილ მჭედლიშვილი** მასპინძელ ვასიფ დურარბეილის დაუზავდა და ლიდერებს ისევ ნახევარი ქულით ჩამორჩება. 4 ქულას მოუყარა თავი საქართველოს ნაკრების წევრმა **თორნიკე სანიკიძემაც.** მე-6 ტურში მან თეთრი ფიგურებით **სოფიკო ხუხაშვილი** დაამარცხა. წარმატებით ითამაშეს **გაიოზ ნიგალიძემ, ნინო ბაციაშვილმა, სალომე ხაჟომიამ, ლევან ფანცულაიამ** და **ანა გავაშელმა,** რომლებმაც, შესაბამისად, მიტრა ჰეჯაზიპურს (ირანი), ხაიალა აბდულას (აზერბაიჯანი), ამინ ჰასრის (ირანი), ბაჰრუზ რზაევსა და ემილ აბასოვს (ორივე - აზერბაიჯანი) აჯობეს.

ექვსი ტურის შემდეგ 14 მოჭადრაკეს 4-4 ქულა აქვს და ისინი (მათ შორის - სანიკიძე და მჭედლიშვილი) მეოთხე-მეჩვიდმეტე ადგილებს იყოფენ. დანარჩენ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: ნიგალიძე, ხაჟომია, ბაციაშვილი - 3,5-3,5, ფანცულაია, ხუხაშვილი - 3-3, გავაშელი - 2,5 ქულა.

მე-7 ტურში ქართველი მოჭადრაკეები მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ: ნეგი - სანიკიძე, მამადოვა - მჭედლიშვილი, იზატი - ნიგალიძე, ხაჟომია - ბაციაშვილი, ე. გულიევი - ფანცულაია, ხუხაშვილი - მირზოევი, მამადოვი - გავაშელი.

**ვაჟა დანელია**

# გურამიშვილი ვენესუელას სტუმრობს

სან-კრისტობალი (ვენესუელა) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. შეჯიბრებაში 30 ქვეყნის 400-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორისაა თბილისელი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილი.** პირველ სამ ტურში ქართველი მოჭადრაკე კოლუმბიელებს შეხვდა: ჯერ ჯეზი ჩარივი დაამარცხა, მერე თავად დანებდა ეფრან ვეილს, მესამეში ბერნარდო ანდრეს ჰენაოს სძლია. გუშინ მე-4 ტურში მასპინძელ სარაი კასტილო სანჩესს დაუზავდა და 2,5 ქულა მოაგროვა. 3,5-3,5 ქულით 14 მოჭადრაკე დაწინაურდა.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. ქართველი ევროლიგაზე

# ესეც ორი, დარჩა ერთი

**მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" ევროლიგის შესარჩევ ეტაპზე მეორე მატჩიც მოიგო. ამჯერად მისი მეტოქე ჩეხეთის „ნიმბურკი" იყო, რომელსაც იტალიელებმა 89:83 აჯობეს.

მარკოიშვილმა 23 წუთში 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 8 ქულას 3 მოხსნა და 1 პასი მიამატა. შეუჩერებელი იყო **პიეტრო არადორი** - 19 ქულა, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს **მაარტენ ლეუნენის** ორი სამქულიანი (მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში), რის შემდეგაც „კანტუმ" „ნიმბურკი" საბოლოოდ გატეხა.

დღეს იტალიელები ფრანგულ „ლემანს" დაუპირისპირდებიან. ამ წყვილში გამარჯვებული ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ქართველი იტალიაში



# ბრინდისისთვის ვიქტორის ცხრაც საკმარისია

იტალიის ჩემპიონატი მოგებით გახსნა **ვიქტორ სანიკიძის** ახალმა კლუბმა „მონტეპასკიმ". სიენელებმა „ენელ ბრინდისის" უმასპინძლეს და 92:65 გაიმარჯვეს.

ანგარიშში სხვაობა სოლიდურია, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ ნამდვილად ძნელი გამოსარჩევი იყო ფავორიტი - საწყისი 20 წუთის შემდეგ „მონტეპასკი" მინიმალური სხვაობით იგებდა (43:42). მეორე ნახევრიდან კი ვიქტორ სანიკიძის თანაგუნდელებმა სიჩქარე აკრიფეს და დიდი შესვენების შემდეგ 49:23 იმარჯვეს. საბოლოო ანგარიში ზემოთ მოგახსენეთ, აქ კი ვიქტორის მონაგარს გაგაცნობთ: 23 წუთში 9 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება, 2 პასი. ქართველმა თავდამსხმელმა სამივე ორქულიანი ჩააგდო, რასაც სამი საჯარიმო მიამატა (ექვსიდან).

მატჩის ბომბარდირი 18 ქულით სიენელი **ბობი ბრაუნი** გახდა.

„მონტეპასკი" იტალიის ჩემპიონატში მომდევნო თამაშს 15 ოქტომბერს გამართავს - „ვარეზეს" სტუმრად დაუპირისპირდება. მანამდე, 12 ოქტომბერს გუნდი ევროლიგაში ჩაერთვება და ბერლინის „ალბასთან" ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ქართველი ლიტვაში




# სერგოს დებიუტში ჟალგირისი ერგო

224 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა **სერგო ათუაშვილმა** (1985 წელსაა დაბადებული) ლიტვის წლევანდელ ჩემპიონატში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. მისმა „ნაგლისმა" პალანგაში ლიტვური გრანდი „ჟალგირისი" მიიღო და სენსაცია ვერ „გამოაცხო" - 59:101 დამარცხდა.

ქართველმა ცენტრმა შეხვედრა სასტარტო ხუთეულში 11-ნომრიანი მაისურით დაიწყო და 29 წუთი ითამაშა. დროის ამ მონაკვეთში სერგომ ნაყოფიერად იშრომა: 5 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და ამდენივე დაფარება მიითვალა.

ლიტვის ჩემპიონატის მეორე ტური შაბათს გაიმართება. თუმცა, „ნაგლისი" ერთი დღით ადრე, 28-ში სტუმრად „რუდუპისთან" ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ზურაბ სუჯაშვილის ხსოვნას

**მძიმე ავადმყოფობის შემდეგ საქართველოს მთამსვლელთა რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი შესანიშნავი მთამსვლელი, მეკლდეური, მთის მეგზური და მაშველი ზურაბ სუჯაშვილი.**

**ზურამ, როგორც მას ყველა ეძახდა, ჯერ კიდევ ყმაწვილობაში შედგა ფეხი მყინვარწვერზე და დღეს შეუძლებელია მოიძებნოს სხვადასხვა ქვეყნის დამწყები თუ ჭარმაგი მთამსვლელი, ვინც მისი დახმარებით არ არის ნაზიარები ჭაუხის, ხდიის და მყინვარწვერის რაიონში არაერთ მწვერვალზე ასვლის სიხარულს.**

**ზურაბ სუჯაშვილის, როგორც შესანიშნავი პიროვნების, მეოჯახის, ხევის და მთამსვლელობის დიდი მოამაგის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.**

*საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია*

წყალბურთი



# ლიგამუსის მეტოქეს ალემანებს სძლია

გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის შვიდი შეხვედრის შედეგი. გუშინ ჰოლანდიის „შუურმანმა", რომელიც **A ჯგუფში** საქართველოს ჩემპიონთან ერთად იბრძოლებს მერვედფინალში გასასვლელი ოთხი საგზურისთვის, ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98"-ს უმასპინძლა. ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებმა დაძაბულ პაექრობაში ალემანებს 6:5 აჯობეს და ვოლგოგრადის „სპარტაკის" მძლეველ (11:6) საბერძნეთის „ვოულიაგმენთან" ერთად დაწინაურდნენ. საგულისხმოა, რომ „ლიგამუსი-თბილისი" 6 ოქტომბერს სწორედ ნიდერლანდელებს შეხვდება სტუმრად. ამავე დღეს A ჯგუფში ითამაშებენ: „სპარტაკი"-„ეგერი" (უნგრეთი), „ვასპო-98"-„ვოულიაგმენი".

6 ოქტომბერს სხვა ჯგუფებში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

**B ჯგუფი:** „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი)- „კრეუზლინგენი" (შვეიცარია), „მონპელიე" (საფრანგეთი)-„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი).

**C ჯგუფი:** „მარსელი" (საფრანგეთი)-„ბრეშია (იტალია), „ვოივოდინა" (ნოვი სადი)-„ბარსელონიტა" (ესპანეთი).

**D ჯგუფი:** „შპანდაუ-04" (ბერლინი)-„პარტიზანი" (ბელგრადი), „ორადეა" (რუმინეთი)- „ბეტონი" (უნგრეთი).

**ვაჟა დანელია**

შეკითხვა „ლელოს"

**კითხვა:** გამიგია, რომ ადრე ლელოს ცხენზე ამხედრებულებიც თამაშობდნენ. გთხოვთ, გვიპასუხოთ სიმართლეა თუ არა ეს და კარგი იქნება თუ თამაშის შინაარსსაც გაგვაცნობთ.

**ნიკა საბანაშვილი**
გორი

**ლელო ცხენზე** უძველესი ქართული ცხენოსნური თამაშია. ტარდებოდა საერო და საეკლესიო დღესასწაულების დროს. ერთმანეთს ეჯიბრებოდა ცხენოსანთა 2 გუნდი. ინიშნებოდა თამაშის ადგილი და მანძილი, ხშირად ერთი სოფლიდან მეორემდე. მოთამაშეები ცდილობდნენ მოწინააღმდეგისათვის ბურთის წართმევას. გამარჯვებულად ითვლებოდა ის გუნდი, რომლის წევრიც ბურთს მოწინააღმდეგის მაყაში (კარში) შეაგდებდა და ცხენით თვითონაც შიგ გაივლიდა.

თამაშობის განახლებული წესის მიხედვით, თითოეული გუნდი 6-6 და ზოგჯერ მეტი მხედრისაგან შედგება. მოედნის ზომებია 1 000 X 1 500მ. ფეხბურთის ჩვეულებრივ ბურთს მსაჯი მოედნის შუაში დებს. მის ნიშანზე მოწინააღმდეგე გუნდებიდან თითო მხედარი გამოდის, ისინი ჭენებით მიეშურებიან ბურთისაკენ და, ვინც მის აღებას მოასწრებს, მოწინააღმდეგის კარისაკენ წაიღებს. ბურთის მიწიდან აღებისთანავე, ისევ მსაჯის ნიშანზე, ორივე გუნდის წევრები თამაშში ებმებიან, ცდილობენ ერთმანეთს ბურთი წაართვან და ლელო გაიტანონ. მიწაზე დავარდნილი ბურთი მხედარმა ცხენდაცხენ უნდა აიღოს. მხარეების შეთანხმებით, შეჯიბრების დროს მათრახის ხმარება ნებადართულია. გამარჯვებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც მეტ ლელოს გაიტანს.



TimeLine

ეკა სიმონიშვილი

# კალათბურთელი ქორი და ჩოგბურთელი ციყვი

ეროვნული ბიბლიოთეკა




1

1 ამერიკის ლია პირველობის მსვლელობისას საჩოგბურთო კორტზე დაუპატიჟებელი სტუმარი გამოჩნდა - ციყვი. **ბენეტოსა** და **როჩუსის** მატჩი მცირე დროით შეწყდა, ციყვმა მოედნის ყოველი კუთხე-კუნჭული შემოირბინა, ბოლოს დაასკვნა: ჩოგბურთი ჩემი საქმე არ არის, ისევ სიგრძეზე ხტომას მივხედოო და ღობეზე გადახტა.

უფრო ადრე ციყვი ბეისბოლის მსვლელობისასაც შეიჭრა მოედანზე, თუმცა, როგორ დატოვა სტადიონი, უცნობია. ასევე გაურკვეველია ინგლისელი ციყვის ბედიც, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩში ჩაერია - ლონდონში, „არსენალისა" და „ვილიარეალის" შეხვედრაში. ბრიტანელებისთვის ფაფუკი ცხოველის გამოჩენა იღბლიანი გამოდგა - „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.

ცუდ დღეში არიან კრიკეტის აზიელი მოთამაშეები. 2003 წელს ინდოეთში სეციალურად სპორტის ამ სახეობისთვის დიდი სტადიონი აშენდა, თუმცა დაგეგმარებისას ვერ გაითვალისწინეს, რომ გარშემო ფუტკრების უამრავი კოლონია იყო. ჰოდა, 2005 წელს ინდოეთისა და პაკისტანის ნაკრებთა შეხვედრისას ცა ფუტკრების გუნდმა დააბნელა. მხოლოდ ტელეკომენტატორები გადარჩნენ „ხელშეუხებლად" - ისინი შუშებით გარშემორტყმულ ლოჟაში ისხდნენ.

სხვა მისიით კრიკეტის მოედანზე შეიჭრნენ აქლემები 1984 წელს - ხალხს არას ერჩოდნენ, დაწყობილი ჯოხები კი გვარიანად მიურ-მოურიეს. როგორც „ევროსპორტის" საიტი იტყობინება, იმ დღეს აქლემებმა სამჯერ შეაწყვეტინეს თამაში.

2 სადაც აქლემებსა და ციყვებს ვახსენებთ, იქ გოჭზეც უნდა ვთქვათ, რომლის თავი „ბარსელონა"-"რეალის" შეხვედრისას ტრიბუნებიდან მოედანზე ისროლეს. ასე გამოხატეს კატალონიელებმა პროტესტი **ლუიშ ფიგუს** რეალში გადასვლის გამო.



2

3 ღორების, ძროხების, ქათმებისა და ძაღლების მოედნებზე ხილვა ჩვეულებრივი ამბავია, განსაკუთრებით საქართველოში. გასაკვირი ისაა, რატომ უნდა გადაიცვა კაცმა ძროხის ფორმა და ისე შევარდე მოედანზე. სწორედ ასე მოიქცა ამერიკაში, „კანზასის" მატჩის მსვლელობისას ერთი გულშემატკივარი, რომელიც პოლიციამ მალევე გაიყვანა, ალბათ, ბოსელში.

ბოლოს **ზაზა ფაჩულიას** მოვუსმინოთ, რომელიც მოედანზე შეჭრილი ქორის ამბავს მოგვითხრობს:



3

- ყველა კლუბი ცდილობს ორიგინალურობით გამოირჩეს და გულშემატკივარს საინტერესო შოუ შესთავაზოს. „ატლანტას" „ფილიპს არენაზე" ყოველი მატჩის წინ სინათლე ქრებოდა და სახურავიდან ქორი ეშვებოდა. ერთხელ იგი ქვემოთ წამოვიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ პატრონს ხელზე დაჯდომოდა, გვერდზე გადაუხვია. თითქოს ჩოგბურთის მატჩს უყურებდაო, ტრიბუნაზე შეკრებილი ქომაგი თავს ხან მარცხნივ აბრუნებდა, ხან – მარჯვნივ. ბოლოს და ბოლოს, ქორი მეტოქის ფარზე მოკალათდა. რადგან მატჩი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, ფრინველის გამო არ შეგვაყოვნეს და 10-15 წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგის კალათთან მიახლოებისას, ვცდილობდით ფრთხილად გვემოქმედა. დაცვაში მეტოქეც ვერ ჩადიოდა... უნდა გენახათ ხალხის რეაქცია, როცა ქორი დაიჭირეს. მას შემდეგ ეს ფრინველი დარბაზში თავისუფლად არ გაუშვიათ. მანამდე ქორმა დარბაზის მომსახურე პერსონალი ერთხელაც შეაშინა – თამაშამდე რამდენიმე წუთით ადრე გაფრინდა და ნახევარი საათის შემდეგ მამაკაცების საპირფარეშოში იპოვეს.



4

ბოლო ორი კვირის განმავლობაში არაერთი საინტერესო ფრაზა მოვისმინეთ და კიდევ უფრო საინტერესო ფოტო ვიხილეთ.

საქართველოში ძველთაგანვე ცივილიზაცია დასავლეთიდან შემოდიოდა. არც 21-ე საუკუნეა გამონაკლისი. წავიდა დრო, როცა სტადიონებს ბელადების სახელები ერქვათ, თან აუცილებელი იყო მათი მამის სახელის დართვაც. ქობულეთის სტადიონის სახელწოდებაში არც რევაზი ურევია, არც მამის სახელი და არც გვარი (ჩელებაძე), უბრალოდ, ევროპულად ჰქვია - „ჩელე-არენა" დაარქვეს.

4 დიდი ხანია, სატაიმლაინედ **ედგარ დავიდსის** ფოტოს ვინახავდი. სამართალდამცავებისგან ტრიბუნაზე შეჭრილი გულშემატკივარის დაცვას ბევრი ვერც გაბედავდა და არც თავს აიტკიებდა.




5

5 არც **ლეო მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს** ფოტოს სჭირდება ახსნა, ყველაფერი მარტივადაა: ბიჭები, რომლებსაც ფეხბურთელების ფორმები ჩაუცვამთ, სულ სხვას უნდა ფიქრობდნენ - თვალუწვდენელი მინდორი აქვთ გასათოხნი.

6 ცხოველების თემას ჩემპიონთა ლიგის წინა კვირის მატჩით დავუბრუნდეთ: „ჩელსი" „იუვენტუსთან" 2:0-ს იგებდა, მაგრამ იტალიელები ისევე დაუსხლტნენ, როგორც ზებრა ლომს. სხვათა შორის, „იუვენტუსის" ფეხბურთელებს ზებრებს ეძახიან, ხოლო „ჩელსის" ემბლემაზე ლომია გამოსახული.

7 ბრძენის ნათქვამია: მწვრთნელებს ორ შემთხვევაში ცვლიან, როცა გუნდში ყველაფერი წესრიგშია, ან როცა საქმე ცუდადაა.




6

სწორედ პირველი უნდა დასახელდეს დორტმუნდის „ბორუსიას" თავკაცის **იურგენ კლოპის** შეცვლის მიზეზად... არ შეუცვლიათ? შეცდომასთან გვაქვს საქმე? ასეა თუ ისე, გირჩევთ, დააკვირდეთ მინაწერს ფოტოზე.

8 ბოლოს საქართველო-ესპანეთის მატჩს დავუბრუნდეთ. ფეისბუქზე ამ შეხვედრასთან დაკავშირებით უთვალავი კომენტარი გამოქვეყნდა, რომელთაგან ყველაზე საინტერესო ორია. **თემურ ქეცბაიას** ფოტოს ერთმა „ფანმა" მიაწერა: „ამან საერთოდ ვერ ითამაშა დღეს".

მეორე კომენტარი ასეთია: „ფეხბურთზე მესის სანახავად მივდივარ, თორემ რაში მაინტერესებს ესპანეთი?!"



7




8

ინტერვიუ გიორგი ჟღენტთან

# ორი ქართველი საუკეთესო ათეულში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონპელიე“ დიდი ხანია ქართველი მორაგბეების ერთ-ერთი ნავთასყუდელია. მათი წვლილი დიდია იმაში, რომ საშუალოზე დაბალი დონის ეს ერთი გუნდი, ბოლო სამი სეზონია ლიდერთა მარაქაში გაერია და 2011 წელს ვიცე-ჩემპიონი გახდა. იმ ქართველთაგან ერთ-ერთი შერკინების პირველხაზელი გიორგი ჟღენტია, რომელიც როცა მოედანზეა, „მონპელიეს“ შერკინებას უდრეკი ფოლადივით ადუღაბებს.**



ბურთით გიორგი ჟღენტი

მონპელიელებმა წლევანდელი სეზონი ყოჩაღად ვერ დაიწყეს. გუნდმა ექვსი თამაშიდან სამი მოიგო და ამდენივე წააგო, შედეგად 14 ქულა დაუგროვდა და მე-8 ადგილზეა. **გიორგი ჟღენტი** ბოლო ორი თამაშია „მონპელიეს“ განაცხადში არ ჩანს. გუნდის ოფიციალური ვებგვერდი მშრალ ინფორმაციას გვაწვდის - ტრავმირებულია. ამიტომ, საკლუბო კერიერისა და მომავალი გეგმების შესახებ სასაუბროდ გიორგის მონპელიეში დავუკავშირდით.

**- საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში არ გითამაშიათ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტრავმირებული ხართ...**

- დიახ, ასეა. ფეხის კუნთი მაქვს გაჭიმული და სამი კვირა გამიცდა. ახლა ყველაფერი კარგადაა. მომავალ მატჩში შინ „კასტრთან“ აუცილებლად ვითამაშებ. ისე მოხდა, რომ მე გამოვჯანმრთელდი და მიხეილ ნარიაშვილი დაშავდა. მას ერთი თვე დასჭირდება სამკურნალოდ. მამუკა გორგოძე ჯანზეა და ორივე ძირითად შემადგენლობაში ვიქნებით.

**- წლევანდელი სეზონის დასაწყისს წარმატებულს ვერ დავარქმევთ. რა არის ამის მიზეზი?**

- ძირითადი შემადგენლობის ექვსი მოთამაშე გვაკლია. ჩვენი არგენტინელი თანაგუნდელები ოთხი ერის გათამაშებაში „პუმების“ შემადგენლობაში ირჯებიან. ამის გამო ძალიან ბევრი პრობლემა შეგვექმნა. გუნდში გარკვეული გადაადგილებები მოხდა, რამაც თითქმის ყველაფერი არივ-დარია. თანაც არ გვყავს კარგი დამრტყმელი. „მონპელიეში“ ამ ფუნქციას არგენტინელი ბუსტოს მოიანო ასრულებს. ახლა ახალგაზრდა ფრანგი მორაგბე მოიყვანეს დამრტყმელად, მაგრამ ისეთი ვერ არის, ჩვენ რომ გვჭირდება.

**- შარშანდელ სეზონს თუ გავიხსენებთ, მაშინაც იდენტური სიტუაცია იყო...**

- შარშან ბევრად უარესად ავილეთ სტარტი. არგენტინელების გარდა, ფრანგი და ქართველი თანაგუნდელებიც გვაკლდნენ, რომლებიც ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ასპარეზობდნენ. მაშინ ექვს თამაშში ხუთი ქულა გვქონდა. მერე ყველა მოთამაშე რომ დაგვიბრუნდა, მეორე წრეში ზედიზედ შვიდი თამაში მოვიგეთ და პლეი ოფში გავედით. ახლა ვითარება საგანგაშო არ არის, პირიქით შარშანდელზე ბევრად უკეთესია. წინ კიდევ მთელი სეზონია და მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია.

**- შარშან პლეი ოფში გახვედით. წლეულს რა გეგმები გაქვთ?**

- წლევანდელი სეზონი რალაც არეულად დაიწყო, ვერ გაიგებ ვინ რას თამაშობს. გეგმაში გვაქვს, რომ ექვსეულში ანუ პელი ოფში მოვხვდეთ. იქ კი თუ ტრავმებმა არ შეგვაწუხა, ბოლომდე ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**- მთავარმა მწვრთნელმა ფაბიენ გალტიემ ასისტენტად ცნობილი არგენტინელი მორაგბე მარიო ლედესმა მოიყვანა, რომელიც შერკინების მწვრთნელია. ლედესმამ თამაში შარშანდელი სეზონის დასრულებისთანავე დაამთავრა. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ გუნდში მისი მიწვევა?**

- ცუდი არ არის, მაგრამ ვინც მანამდე გვწვრთნიდა - ერიკ ბეშუ ჩემთვის უფრო მისაღები იყო. ის არ უნდა გაეშვათ. ბეშუს არყოფნა გუნდს აშკარად დაეტყო. თანაც შერკინებაში პრობლემები იმან გამოიწვია, რომ წესები შეიცვალა. მსაჯები უაზროდ სტვენენ, ველარ გავიგეთ, რა არის წესის დარღვევა და რა არა. ვითომ თამაშის დინამიკა გაზარდეს, მაგრამ ფაქტია, რომ მოთამაშეები ხშირად ჯარიმდებიან, ეს კი თამაშს აყოვნებს.

ისე ლედესმამაც შეძლო თავისი ხელის დატყობა. ის შერკინების კვაჭი იყო და დერეფანში თამაში დაალაგა. ამ კომპონენტში პრობლემა, ფაქტობრივად, ალარ გვაქვს.

**- „მონპელიეში“ თითქმის უცვლელად გიწევს თამაში. იმდენად ხშირად ხართ ძირითად შემადგენლობაში, რომ შეუძლებელია არ იღლებოდეთ. თანაც არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც მორაგბემ, რომელიც ზედიზედ შვიდ მატჩს ითამაშებს, მერვე მატჩი აუცილებლად უნდა გამოტოვოს, რათა დაისვენოს და ძალები აღიდგინოს...**

- ის ფაქტი, რომ ბევრს მათამაშებენ, ცხადია, კარგია, თუმცა ეს დალხინებული ცხოვრებით არ არის გამოწვეული. სხვა დიდ გუნდებში სხვაგვარადაა. მათ ყველა პოზიციაზე ორ-ორი ერთნაირი დონის მოთამაშეები ჰყავთ. ჩვენთან ასე არ არის.

**- „მონპელიე“ არ არის დიდი გუნდი?**

- რა თქმა უნდა, დიდი გუნდია. მე მხედველობაში მაქვს ის გუნდები, რომლებიც ფინანსურად უფრო ძლიერები არიან და საშუალება გააჩნიათ გრძელი სათადარიგოთა სკამი ჰქონდეთ. მაგალითად, „ტულონს“, „კლერმონს“ და „ტულუზს“, ფაქტობრივად, ორ-ორი შემადგენლობა ჰყავთ. ვინც არ უნდა ითამაშოს ამა თუ იმ პოზიციაზე, გუნდის სიძლიერეს ეს არ ეტყობა. ჩვენთან ასე არ არის. შარშანდელ ჩემპიონატში, მეორე წრეში პლეი ოფში რომ გავსულიყავით, თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ მერე, ნახევარფინალში ალარაფრის თავი ალარ გვქონდა. მთლიანად გამოფიტულები ვიყავით, იმიტომ, რომ მოკლე სკამი გვაქვს.

**- შარშანდელი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ქართველი შერკინების ბურჯი ვასილ კაკოვინი სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ის პირველ ნომრად მოთამაშეთა შორის საუკეთესოდ დაასახელეს. თქვენ სამი ნომრის პოზიციაზე ასევე შესანიშნავი სეზონი გქონდათ. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მოხვდით სიმბოლურ გუნდში?**

- არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ვასილ კაკოვინმა ეს დაიმსახურა, მიმაჩნია, რომ მისი დარი მაღალი დონის შერკინების ბურჯი სულ ორი-სამია. 2011-12 წლების სეზონის დასრულების შემდეგ გამოაქვეყნეს პირველხაზელების საუკეთესო ათეული, რომელშიც კაკოვინი მე-3 ადგილზე იყო, მე კი მე-5-ზე. ათეულში სულ ორი ქართველი ვიყავით.

**- ამის შემდეგ ლოგიკურად ისმის კითხვა, რატომ არ ხართ საქართველოს ნაკრებში?**

- მსოფლიოს თასის გათამაშებამდე ნაკრებში არ მიძახებდნენ. არც ახალ ზელანდიაში წამიყვანეს. ამის შემდეგ, წლეულს ევროპის ერთა თასის გათამაშებაში გამომიძახეს და ოჯახური პრობლემების გამო ვერ ჩამოვედი. მითხრეს, არა უშავს, თუ ახლა ვერ ჩამოხვალ, რუსეთის ნაკებთან სათამაშოდ ხომ შეძლებო. ცხადია, თანხმობა მივეცი, მაგრამ მერე დამიკავშირდნენ და მაცნობეს, რომ მწვრთნელმა გადაწყვიტა ნაკრებში ამჯერად არ გამოგიძახოსო. კი ბატონო, ეს საწყენი არ არის. მწვრთნელია და მისი გადასაწყვეტია, ვინ გამოიძახოს და ვინ არა. ნაკრებში თამაშზე უარი არასდროს მითქვამს.

**- ნოემბერში „ბორჯღალოსნებს“ ორი სერიოზული მატჩი ელით იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან. თუ ნაკრების მწვრთნელი გამოგიძახებთ, ჩამოხვალთ?**

- თუ ტრავმა არ მექნება და ხელს არაფერი შემიშლის, რატომ არ უნდა ჩამოვიდე? კლუბი პრობლემას არ შემიქმნის. თანაც ფიჯისა და იაპონიის ნაკრებებთან თამაში კარგი გამოცდილება იქნება გუნდისთვის.

**ბესიკ ჯანგავაძე**



მარჯვნიდან პირველი მამუკა გორგოძე, მესამე გიორგი ჟღენტი

ტესტები



ეროვნული ბიბლიოთეკა

კანადა-საქართველო. 2012 წლის ივნისი

# ტესტ-მატჩების უპრეცენდენტო პროგრამა

**IRB-მ (რაგბის საერთაშორისო საბჭო) წამოიწყო უპრეცენდენტო პროექტი - საერთაშორისო თამაშების სერია, რაც გულისხმობს მე-2 და მე-3 დონის რაგბის კავშირების უზრუნველყოფას საშემოდგომო ტესტ-მატჩების ორგანიზებით. ცხადია, პროექტში საქართველოს რაგბის კავშირიცაა ჩაბმული.**

IRB-ს სტრატეგიული ინვესტირების პროგრამის მონაწილე 12 რაგბის კავშირისთვის დაგეგმილი თამაშები დაემატება იმ საერთაშორისო ტესტ-მატჩებს და ტურნეებს, რაც ამ ორგანიზაციამ პირველი და მეორე დონის რაგბის კავშირებისთვის დაგეგმა ჯერ კიდევ 2010 წელს. რუსეთი, აშშ, სამოა, კანადა, ტონგა, ფიჯი, რუმინეთი, იაპონია, ურუგვაი, პორტუგალია, საქართველო და ჩილე უმაღლესი ხარისხის ტესტ-მატჩებს ითამაშებენ.

ხაზი უნდა გაესვას IRB-ის მზაობას უზრუნველყოს მეორე დონის ნაკრებები მაღალი ხარისხის ტესტ-მატჩებით. თამაშები იგეგმება წინა სეზონებში აპრობირებული სამატჩო განრიგების საფუძველზე. საკმაოდ დატვირთულ ნოემბრის სათამაშო კალენდარს წლეულს ემატება საინტერესო მინი-ტურნირი რუსეთის, აშშ-ს, სამოას და კანადის მონაწილეობით, რომელიც გაიმართება კოლვინ ბეიში (უელსი).

2012 წლის ნოემბერს დაგეგმილი თამაშებიდან ასევე აღსანიშნავია ინგლისი-ფიჯი (ლონდონი), უელსი-სამოა (კარდიფი), კანადა-ახალი ზელანდია (ოქსფორდი), საფრანგეთი-სამოა (პარიზი), შოტლანდია-ტონგა (აბერდინი) და საქართველო-ფიჯი (თბილისი).

IRB-ის პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ** განაცხადა:

*„ეს მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაა მსოფლიო რაგბისთვის. IRB ყველანაირად ცდილობს გაამდიდროს მე-2 დონის რაგბის კავშირებისთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო თამაშების ასორტიმენტი; ამდენად, ჩვენ მიერ ნოემბერში დაგეგმილი თამაშები მეტად მნიშვნელოვანია მე-2 დონის რაგბის კავშირების კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და, საბოლოო ჯამში, 2015 წლის მსოფლიო თასზე მათი მზადების თვალსაზრისით. ნოემბერში ევროპაში უპრეცენდენტო რაოდენობის ტესტ-მატჩი გაიმართება. სპორტის მოყვარულებისთვის ეს იქნება ერთგვარი დემონსტრაცია იმისა, თუ რას უნდა ელოდნენ 2015 წელს, როდესაც ინგლისი უმასპინძლებს მსოფლიოს 20 საუკეთესო სარაგბო ნაკრებს რაგბის მსოფლიო თასის მორიგ გათამაშებაში“.*

**მარკ იგანი**, IRB-განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი:

*„ნოემბრის ტესტ-მატჩებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ რაგბის კავშირების სანაკრებო განვითარების საქმეში, რომლებიც მოქცეულნი არიან IRB-ს სტრატეგიული ინვესტირების პროგრამაში. 2015 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველა ნაკრების მწვრთნელს ენდომება შეაფასოს მორაგბეები თამაშის პირობებში, IRB -ის კი მიეცემა საშუალება, პრაქტიკულად შეამოწმოს, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს მე-2 დონის რაგბის კავშირებმა.*

*ნოემბრის ტესტ-მატჩების პროგრამა ზურგს უმაგრებს ჩვენ მიერ ორგანიზებულ სტრატეგიულ ტურნირებს: ივნისში გამართულ წყნარი ოკეანის ერთა თასს და IRB-ს ერთა თასს, ამერიკის კონტინენტის სარაგბო ჩემპიონატს, რომელიც ოქტომბერში გაიმართება. განსაკუთრებით გვაინტერესებს, როგორი გამოვა კოლვინ ბეიში, უელსში დაგეგმილი მინი-ტურნირი, რომელიც გაიმართება 9 და 17 ნოემბერს; მოუთმენლად ველით იაპონიისა და ფიჯის ნაკრებების პირველ ვიზიტს საქართველოში.“*

**P.S.** შეგახსენებთ, რომ ტესტების პროგრამა მარტო 2012 წლით არ შემოიფარგლება და 2015 წლამდე გაგრძელდება. გაისად, ივნისში „ბორჯღალოსნები“ თბილისში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებენ, რომელიც ტრადიციული გახდება. ამ შეჯიბრებაში ჩვენი ნაკრების მეტოქეების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ტურნირის დამთავრებისთანავე საქართველოს ეროვნული ნაკრები არგენტინაში გაემგზავრება და იქ „პუმებს“ დაუპირისპირდება. ნოემბერში კი თბილისში აშშ-სა და კანადის ნაკრებებს ვუმასპინძლებთ.

**საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახური**

## უცხოური სპორტი

● კალათბურთი. NBA. 2012-13 წელი



დუაიტ ჰოვარდი

# სეზონის წინ: ლოს ანჯელეს კლიპერსი



**ლოს ანჯელეს ლეიკერსი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 103,3 ქულა – მე-10 ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 101,7 ქულა – მე-13 ლიგაში

**წინა ხაზი**

"ლეიკერსმა" სრულიად გამართლებულად გაცვალა ლიგის მეორე ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** პირველზე – **დუაიტ ჰოვარდზე**. ახლა, კალიფორნიელებმა მაქსიმალურად უნდა მიაქციონ ყურადღება "სუპერმენის" ჯანმრთელობას, კერძოდ კი მის ზურგს. **პაუ გასოლი** რჩება NBA-ის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად, **მეტა უორლდ პისი** კი ისევ ის ძველი **რონ არტესტია**.

**შეფასება:** 5 მინუსით

**უკანა ხაზი**

არის თუ არა **სტივ ნეში** გუნდის საუკეთესო უკანახაზელი კობი ბრაიანტის შემდეგ? რა თქმა უნდა! 38 წლის ასაკშიც კანადელი ბრწყინვალე გამთამაშებელი და სნაიპერია. ის აუცილებლად შეუმსუბუქებს ბრაიანტს შრომას და კობიც უფრო დასვენებული შეხვდება პლეი ოფს.

**შეფასება:** 5

**დაცვა**

"ლეიკერსი" ღირსეულად იცავდა თავს გასულ წელს, ხოლო ჰოვარდის მოსვლის შემდეგ, უბრალოდ ვალდებულია განამტკიცონ შარშანდელი შედეგი. დაცვის რიგებში საკუთარ წვლილს შეიტანს უორლდ პისიც, ოღონდ, სეზონის დასაწყისს ოპტიმალურ კონდიციებში უნდა შეხვდეს. ნეშისგან დაცვაში დახმარებას არ უნდა ელოდონ, თუმცა თამაშის ამ კომპონენტში ის არ ჩამოუვარდება გუნდიდან წასულ **რამონ სეშენსს**.

**შეფასება:** 4

**სათადარიგოთა სკამი**

შარშან, "ლეიკერსს" ერთ-ერთი ყველაზე სუსტი სათადარიგოთა სკამი ჰქონდა. **ანტუან ჯეიმისონის** გაფორმებასთან ერთად, სიტუაცია უნდა გამოსწორდეს. **ჯორდან ჰილიც** უნდა გამოადგეთ, თუ ის იმ დონის თამაშს აჩვენებს, რომელიც პლეი ოფში შემოგვთავაზა.

**შეფასება:** 3

**მწვრთნელი**

**მაიკ ბრაუნმა** ჭირვეული ვარსკვლავების ჯგუფში გაძლების მასტერკლასი შემგვთავაზა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ამოცანას მან შესანიშნავად გაართვა თავი. მას უყვარს რისკი და ამის გამო პატივისცემას იმსახურებს.

**შეფასება:** 4

**საბოლოო შეფასება**

როცა "ლეიკერსმა" ზედიზედ მეორე წელს ვერ შეძლო პლეი ოფის მეორე რაუნდში გასვლა, ყველას ეგონა, რომ ამ გუნდს აღარ ჰქონდა ამ შემადგენლობით არსებობის შანსი. იმისთვის, რომ კალიფორნიაში ისევ დაეწყოთ ლაპარაკი ჩემპიონობაზე, საშველად ორ მოთამაშეს უხმეს.

ჯერჯერობით ეს ორი კალათბურთელი ქაღალდზე ქმნის ვირტუალურად მაღალ შედეგს. რეალურად კი არსებობს კითხვები - შეძლებს თუ არა პაუ გასოლი გუნდის გაძღოლას იმ დროს, როცა ეს გუნდს დასჭირდება? რეალურად რა მდგომარეობაშია ჰოვარდის ტრავმირებული ზურგი? შეიძლება თუ არა მოედნის თუნდაც ერთ რომელიმე ნახევარზე მეტა უორლდ პისის ნდობა? "ლეიკერსში" გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები, მაგრამ ძველი ტენდენციები შეიმჩნევა.

**საერთო შეფასება:** 5

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ვიქტორიას თავბრუსხვევა და მარიას შეცდომები

ტოკიოს „პრემიერ" კატეგორიის ტურნირზე გუშინ ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. ბრძოლას ჩამოშორდნენ პირველ და მეორე ნომრად განთესილი ჩოგბურთელები.

ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი რუს **მარია შარაპოვასა** და ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს** შორის გაიმართა. გუშინდელი შეხვედრის წინ, ურთიერთშეხვედრებში ანგარიში იყო 10:1 რუსის სასარგებლოდ. სამანტამ მარია ერთადერთხელ შარშან, წლის შემაჯამებელ ტურნირზე დაამარცხა, სადაც შარაპოვა ტრავმით ჩავიდა. ამჯერად, სტოსურმა დაამტკიცა, რომ ის წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა.

პირველი სეტი (ისევე, როგორც მთელი მატჩი) თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შარაპოვამ პირველმა აიღო მეტოქის მოწოდება, მაგრამ მომდევნო გეიმშივე დაკარგა საკუთარი, რითაც სამანტას ანგარიში გაათანაბრებინა - 4:4. პარტიის ნერვულ ენდშპილში უფრო ძლიერი სამანტა აღმოჩნდა. მან ორი დაფარული სეტბოლი მოიგერია, შემდეგ კი აქტიური თამაშით რამდენიმე შეცდომა დააშვებინა მეტოქეს - 6:4.

მეორე პარტიაში მარიამ უკვე მესამე გეიმში გააკეთა ბრეიკი და ისევ ვერ შეძლო უპირატესობის განვრცობა. მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა მეოთხე გეიმში და ანგარიში ისევ გათანაბრდა. მსგავსი პრობლემები ჰქონდა რუსს **ჰიზერ უოტსონთან** შეხვედრაში, როცა ბრეიკის განვრცობა ვერ შეძლო. შარაპოვამ ცუდად ჩაატარა მერვე გეიმი და „მშრალი" ანგარიშით დათმო საკუთარი მოწოდება. თუმცა მატჩზე ჩაწოდებისას სტოსურმა ინერვიულა და ასევე ნულზე დათმო თავისი გეიმი.

საბოლოოდ, ყველაფერი ტაი-ბრეიკში დასრულდა. სტოსურმა ვერ გამოიყენა ოთხი მატჩბოლი, თანაც ყოველთვის ბადეს არტყამდა ბურთს. ამ შეცდომების გამო, სამანტამ მეტოქეს სეტბოლები მისცა, მაგრამ ვერც რუსმა გამოიყენა შანსი. მეხუთე მატჩბოლზე მარია შეცდა - 10:12. არ განმეორდა ხუთი თვის წინანდელი შეხვედრა, როცა შარაპოვამ მატჩბოლი მოიგერია და ისე დაამარცხა ავსტრალიელი.

სტოსურს მეოთხედფინალში კიდევ ერთ რუს ჩოგბურთელთან - **ნადია პეტროვასთან** მოუწევს თამაში. პეტროვა ტოპ-ათეულის ახალწვეულს **სარა ერანის** ხვდებოდა. იტალიელი ვალდებული იყო, გამარჯვებით დაესრულებინა ეს შეხვედრა. პირველი სეტის მოგების შემდეგ, ერანი მეორეში 4:1 დაწინაურდა და ერთი ბურთი აშორდება მეხუთე გეიმის მოგებასთან. მაგრამ აქედან მოყოლებული, პეტროვამ ინიციატივა მოიპოვა და ერანი მხოლოდ თვალს ადევნებდა იმას, თუ როგორ გაუფრინდა ხელიდან თითქმის განაღდებული გამარჯვება.

პეტროვა სეზონში მესამედ გავიდა WTA-ის ტურნირის ნახევარფინალში, თუმცა უფრო შორს წასვლა ჯერ ვერ შეძლო. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ რუსმა 2010 წლის ზაფხულის შემდეგ, პირველად მოუგო ტოპ-ათეულის წევრს.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ **ანჟელიკ კერბერი** და ტურნირის მოქმედი ჩემპიონი **აგნიეშკა რადვანსკა**. კერბერმა მეოთხედფინალის ბარიერი


მარია შარაპოვა

უბრძოლველად გაიარა, რადგან მისმა მეტოქემ - **ვიქტორია აზარენკამ** თავბრუსხვევის გამო უარი თქვა კორტზე გასვლაზე. თუმცა მისი უარი მოულოდნელი არ ყოფილა. წინადღეს, **რობერტა ვინჩისთან** მოგებულ მატჩში ჩანდა, რომ ბელარუსი თავს ცუდად გრძნობდა.

რაც შეეხება რადვანსკასა და **კაროლინ ვოზნიაცკის** მეოთხედფინალს, ის არანაკლებ დაძაბული იყო, ვიდრე შარაპოვასა და სტოსურის დაპირისპირება. უკვე მესამე გეიმში პოლონელმა ბრეიკი გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ თამაში ვოზნიაცკის კონტროლით მიმდინარეობდა, მაგრამ დანიელი ვერ ახერხებდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. პარტიის შუაში, რადვანსკამ კონცენტრაცია დაკარგა, რის ხარჯზეც ვოზნიაცკიმ დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა. მაგრამ, მწვრთნელის დახმარებით პოლონელმა თავი ხელში აიყვანა და სეტი გამარჯვებით დაასრულა.

მეორე პარტიაში თამაშის სცენარი დიდად არ შეცვლილა. მალე ორივეს დაღლილობა დაეტყო და ჩოგბურთელებმა შეცდომების დაშვება დაიწყეს. ამასთან, ყველა ბურთზე ბოლომდე იბრძოდნენ. უფრო მეტი „სიჯიუტით" რადვანსკა გამოირჩეოდა, რომელიც კარგად იცავდა თავს და ექვსი ბრეიკპოინტიდან ხუთი მოიგერია. ვოზნიაცკიმ კი სამჯერ წააგო საკუთარი მოწოდება, მათ შორის ბოლო - მეცხრე გეიმში. 5:3-ზე პოლონელმა მიღებაზე ორმაგი მატჩბოლი მიიღო. მაგრამ დანიელმა ეს საფრთხე კარგი მოწოდებითა და ბადესთან წარმატებული თამაშით მოიგერია. თუმცა იქვე ვოზნიაცკიმ ჯერ აუტში გაუშვა ბურთი, შემდეგ კი წარუმატებელი მოკლე დარტყმა შეასრულა.

**Pan Pacific Open**

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

**1/4 ფინალი**

**ნადეჟდა პეტროვა (რუს, 17)**-სარა ერანი (იტა, 6) 3:6, 7:5, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 8)**-მარია შარაპოვა (რუს, 2) 6:4, 7:6(10); **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1) უარი; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10) 6:4, 6:3.

**1/2 ფინალი**

**კერბერი (5)-ა. რადვანსკა (3); სტოსური (8)-პეტროვა (17).**


როჯერ ფედერერი

# ფედერერი ფეხბურთელებში ჩაეწერა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** გულშემატკივრებს მისთვის საფეხბურთო მეტსახელის შეთხზვა სთხოვა. შვეიცარიელი სარეკლამო ტურით ბრაზილიაში იმყოფება და იქ, მოულოდნელად ფეხბურთელად გადაიქცა.

*„მეგონა, რომ ეს საჩოგბურთო ტური იყო და არა საფეხბურთო"*, - დაწერა თავის „ფეისბუქზე" ფედერერმა. მაგრამ ჩოგბურთელი არ დაიბნა და ახალ ამპლუაში სცადა ბედი.

*„თუ მე უკვე ფეხბურთელი ვარ, მაშინ რაიმე მეტსახელი მომიძებნეთ. შემომთავაზეთ თქვენი იდეები და დღესვე ავირჩევ ერთ-ერთს. მოდით, გავერთოთ"*, - მიმართა თავის გულშემატკივრებს ფედერერმა.

შვეიცარიელი ჩოგბურთელის ფანებმა მაშინვე აქტიურად დაიწყეს კრეატივის გამოჩენა. სულ რაღაც ერთ საათში, „ფეისბუქზე" გაჩნდა ხუთი ათასი ვარიანტი. მათ შორის: Fedinho, peRFect, Rogedona fedessi, federona, swiss knife, Simply the Fed, cristiano federer, Fedex...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ოლიმპიზმი

# მადრიდს ისევ უნდა ოლიმპიადა

მადრიდის ვიცე-მერმა **მიგელ ანხელ ვილანუევამ** დაადასტურა ესპანეთის დედაქალაქის სურვილი - უმასპინძლოს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადას. ქალაქის ადმინისტრაციის წინაშე გამოსვლისას, მან უარი უთხრა „პროგრესისა და დემოკრატიის პარტიის" წინადადებას, ამოიღონ მადრიდის კანდიდატურა ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენდენტთა რიგებიდან.

*„დედაქალაქში ეკონომიკური სიტუაცია საკმაოდ დელიკატურია*, - ამბობს ვილანუევა. - *მაგრამ ოლიმპიადის ორგანიზაცია - მხოლოდ ქალაქის პროექტი არ არის. ეს მთელი ქვეყნის პროექტია, ერის პრესტიჟი და მისი მდგომარეობა მსოფლიოში"*.

„პროგრესისა და დემოკრატიის პარტიის" ცნობით, მადრიდის მერიას 6 მილიარდ 400 მილიონი ევროს ოდენობის ვალი აქვს სახელმწიფოსა და ფინანსური დაწესებულების მიმართ.

## ავტოსპორტი. სარბოლო რეიტინგი

# ყველამ დაკარგა

მორიგმა საავტომობილო კვირამ, რომელიც სინგაპურის გრანპრის შეიცავდა, ცვლილებები მოიტანა Castrol-ის რეიტინგში. რა თქმა უნდა, უქმეების მთავარი უიღბლო **ლუის ჰემილტონი** იყო. გამარჯვების ნაცვლად, რომელზეც ბრიტანელი სრულიად სამართლიანად აცხადებდა პრეტენზიას, მას ტექნიკური პრობლემის გამო რბოლიდან გამოვარდნა ელოდა.



ალონსო ჰემილტონს ასწრებს

რა თქმა უნდა, პოულისთვის და 23 წრე ლიდერობისთვის ბრიტანელმა ქულების გარკვეული რაოდენობა მიიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა შარშან, ამავე პერიოდში მიღებული ქულების დასაცავად, რადგან ერთი წლის წინ, ბრიტანელი მეოთხე ადგილზე გავიდა. საბოლოოდ, ჰემილტონმა არა მარტო გაირთულა ტიტულისთვის ბრძოლის შანსები, არამედ აღნიშნულ რეიტინგში ორი კვირის წინ მოპოვებული მეორე ადგილი დაკარგა და მესამე პოზიციამდე დაქვეითდა - წინ გაუშვა **ფერნანდო ალონსო**.

„ფერარის" ლიდერმაც დაკარგა ქულები, ოღონდ გაცილებით ნაკლები - ერთი წლის წინ ის მესამე იყო. სხვათა შორის, იგივე ითქმის **სებასტიან ფეტელსა და ჯენსონ ბატონზე** - მათ 2011 წლის შედეგი გაიმეორეს, მაგრამ უფრო ნაკლები სარეიტინგო ქულები მიიღეს, ვიდრე დაკარგეს.

ასე რომ, სიტუაციას შეიძლება უნიკალური ვუწოდოთ - პირველმა ოთხეულმა გასულ უქმეებზე დაკარგა ქულები, მოგებული მხოლოდ **მარკ უებერი** დარჩა, რადგან მან შარშან ფინიშამდე ვერ მიაღწია, ახლა კი მე-11 ადგილზე გავიდა. ამით ავსტრალიელმა ისევ გაუსწრო **სებასტიან ლოებს** და მეხუთე ადგილზე გადავიდა. თავად ლოებმა ამას წინათ განაცხადა, რომ მომავალ წელს, სურს შეუხამოს ერთმანეთს რალის ცალკეულ ეტაპებზე გამოსვლა და მსოფლიო ტურინგის რბოლები - საინტერესოა, როგორ აისახება ეს მის რეიტინგზე.

რადგან ლაპარაკი ჩამოვარდა რალის ტურნირზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ **კიმი რაიკონენი**. ფინელი ამ სეზონში მხოლოდ აგროვებს ქულებს და თითქმის არაფერს კარგავს, რადგან შარშან, 2011 წელს რალიში გამოდიოდა. მართალია, სინგაპურში მოპოვებულ მეექვსე ადგილს მაღალ შედეგს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ფინელს ამან რეიტინგში 27-ე პოზიციამდე ასვლის საშუალება მისცა - კიმიმ **ფელიპე მასას** გაუსწრო. გასაგებია, რომ სეზონის ბოლომდე რაიკონენი მხოლოდ წინ ივლის.

რაც შეეხება გუნდების რეიტინგს, ჰემილტონის წარუმატებლობამ ის გამოიწვია, რომ გერმანიამ ჩამოაქვეითა უმაღლესი საფეხურიდან ბრიტანეთი. მესამე კვლავაც ავსტრალიაა.

რეიტინგის ახალი ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 22 650 |
| 2. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 19 450 |
| 3. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 19 032 |
| 4. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 18 510 |
| 5. მ. უებერი (ფორმულა 1) | 18 397 |
| 6. ს. ლოები (რალი) | 18 389 |
| 7. უ. პაუერი (IndyCar) | 15 786 |
| 8. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 15 088 |
| 9. ნ. როსბერგი (ფორმულა 1) | 14 974 |
| 10. ტ. სტიუარტი (NASCAR) | 13 981 |

# კუბიცამ ფორმულა უნდა დაივიწყოს?

როგორც სექტემბერში ვწერდით, პოლონელმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ** სექტემბრის დასაწყისში გამარჯვება მოიპოვა სამოყვარულო რალის ერთ-ერთ ეტაპზე, ერთი კვირის შემდეგ კი კვლავ მიუჯდა რალის მანქანის საჭეს, რითაც მისი კარიერის შესახებ ისევ აქტიურად დაიწყეს ლაპარაკი. ასე მაგალითად, ფორმულა 1-ში საბურავების მიმწოდებელი კომპანიის - „პირელის" დირექტორმა **პოლ ჰემბრიმ** განაცხადა, რომ მზად არის კომპანიის ტესტ-პილოტის როლი შესთავაზოს პოლონელს, რათა ის 2014 წლისთვის ფორმულა 1-ში დაბრუნებისთვის მოემზადოს.

მაგრამ პოლონელი პილოტის ყოფილი ექიმი **იგორ როსელო** ეჭვობს, რომ ცნობილი ავარიის გამო დაზიანებული მარჯვენა ხელი რამდენიმე ოპერაციის შემდეგ, ბოლომდე ვერ აღიდგენს ფუნქციას.

*„სამწუხაროდ, რეაბილიტაციის გრძელი და ეფექტური პერიოდი ვერ მიგვიყვანს მისი ხელის სახსრების სრულ აღდგენამდე*, - განაცხადა ინტერვიუში იტალიელმა ექიმმა. - ახლა რთულია თქმა, შეძლებს თუ არა რობერტი ფორმულა 1-ის რბოლებში მონაწილეობის მიღებას".

როსელოს სიტყვებით, კუბიცა მოახერხებს რალის მანქანის პილოტირებას, რადგან მასში მარჯვენა ხელის მუშაობისთვის უფრო მეტი სივრცეა, ვიდრე ფორმულა 1-ის კოკპიტში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი

# ენდი მიურეი - თავისუფალი შოტლანდიის პრეზიდენტი



იუნიორი ენდი

როცა 2006 წელს, ბრიტანული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ენდი მიურეი** უიმბლდონის მეოთხე წრეში დამარცხდა, მთელი გაერთიანებული სადედოფლო ერთი კვირის განმავლობაში ტრანსში იმყოფებოდა. ხოლო, როცა 2010 წელს, უკვე მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა მიურეიმ ნახევარფინალი წააგო, ინგლისელებმა ეს ყველაფერი საკმაოდ მშვიდად მიიღეს. და მხოლოდ იმის გამო არა, რომ ენდის წაგება დაემთხვა ინგლისის საფეხბურთო ნაკრების სამარცხვინო მარცხს გერმანიასთან.

უბრალოდ, იმ ოთხი წლის განმავლობაში ბრიტანელები საკმაოდ "გაცივდნენ" ჩოგბურთელის მიმართ, რომელიც არასოდეს მალავდა თავის ანტიინგლისურ დამოკიდებულებას და რომელსაც სამშობლოში - შოტლანდიაში - ადგილობრივმა ნაციონალისტებმა უკვე დიდი ხანია უწოდეს "გაერთიანებული სადედოფლოს მესაფლავე"...

■ ■ ■

თუ ოდესმე შოტლანდიის ძველ დედაქალაქში - ედინბურგში აღმოჩნდებით და სამეფო ციხესიმაგრიდან გამოსული მარცხნივ გაუყვებით გზას, დაახლოებით ათი წუთის შემდეგ, ძველ სახლს დაინახავთ, სადაც 1568 წელს, უმსხვილესი კლანების მეთაურებმა გადაწყვიტეს დედოფალი **მარია სტიუარტი** ქმრის მკვლელობისთვისა და ამორალური საქციელისთვის ტახტიდან ჩამოეგდოთ.

იმავე დღეს, სადედოფლოს რეგენტად დაინიშნა "შოტლანდიელთაგან ყველაზე ღირსეული" - **ჯონ მარი**. თუ ისტორიულ დოკუმენტებს დავუჯერებთ, რომლებიც მიურეების კლანის საბჭოს მიერ არის დადასტურებული, ოლიმპიური ჩემპიონი სწორედ იმ რეგენტის მეათე შთამომავალია.

ბუნებრივია, მკითხველი იკითხავს: როგორ შეიძლება მიურეი იყოს მარის ნათესავი? საქმე ისაა, რომ ენდის წინაპრებს ერთი თვისება ჰქონდათ - მუდმივად იცვლიდნენ გვარებს. ისინი არა ექსტრავაგანტურობისთვის, არამედ აუცილებელი საჭიროების გამო ინილბებოდნენ.

თავად განსაჯეთ. კლანის დამაარსებელი, ვინმე **ჰენრი მორეი** მოღვაწეობას XI საუკუნეში იწყებდა - როგორც მეკობრე და მონათა ვაჭარი. ძარცვავდა ხომალდებს, ხოლო მოტაცებულ ლამაზ გოგონებს ყიდდა. ამ ხერხით მან უდიდესი ქონება დააგროვა და მისმა ერთ-ერთმა შთამომავალმა ჰერცოგის ტიტული შეიძინა და თან დისკრედიტებული გვარი მარიზე გაცვალა.

გვარის ცვლილებამ ნაკლებად შეცვალა ამ კლანის მამაკაცთა ხასიათი: მორეის მსგავსად, მარებიც ბანდიტები იყვნენ, რომლებმაც არ იცოდნენ რა იყო ღირსება, სინდისი... ისინი ერთიმეორის მიყოლებით ღალატობდნენ მეფეებს, შემდეგ მარია სტიუარტს, უფრო გვიან ლორდ **კრომველს** (აღარაფერს ვამბობთ კათოლიკურ რწმენაზე,

» მე-16 გვერდზე

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 17** | |
| ბელარუსი-სომხეთი | 5:0 |
| მოლდოვა-სერბეთი | 0:4 |
| ჩერნოგორია-ჩეხეთი | 0:2 |
| დანია-რუსეთი | 1:2 |
| **იტალია** | |
| სიენა-ბოლონია | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-კაიზერი | 1:2 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| აჩილესი-პსვ ეინდჰოვენი | 2:3 |
| დე ზუავენი-ჰონსბროეკი | 0:1 |
| ალკმაარი-ვეენდამი | 4:1 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ჰიოდი-ბრანი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| ჰაკენი-ჰელსინგბორგი | 2:2 |
| მალმიო-გიოტებორგი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| უმეა-ტრელებორგი | 5:1 |
| ვარბერგი-ჰამარბიუ | 2:2 |
| ჰალმსტადი-ოსტერსი | 3:2 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერსი-ლუცერნი | 2:0 |
| თუნი-იანგ ბოიზი | 2:1 |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვილი-ბელინცონა | 0:1 |
| ვოლენი-ვინტერტური | 1:1 |
| **რუსეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| გაზოვიკი-კრილია | 2:4 დ.დ. |
| ტიუმენი-ალანია | 2:1 |
| ურალი-ანჟი | 0:0 პენ. 2:4 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| გურნიკი (ვ)-ოლიმპია | 1:1 დ.დ. 1:3 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **კვალიფიკაცია** | |
| კანტუ-ნიმბურკი | 89:83 |
| უნიძსი-ლე მანი | 78:86 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| [illegible] | |
| ავანგარდი-მეტალურგი (ნ) | 3:2 (ო) |
| ბარისი-სიბირი | 2:1 |
| მეტალურგი (მ)-ლევ პოპრადი | 6:1 |
| ტრაქტორი-ცსკა | 4:3 |
| სკა-ს. იულიაევი | 7:2 |
| ტორპედო-დონბასი | 3:4 (ბ) |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-რუსენბორგი | 6:4 |
| ვოლერენგა-ტონსბერგი | 4:2 |
| სტრიერნენი-ლილეჰამერი | 5:4 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 2:4 |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 4:2 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-კერპეტი | 4:3 |
| ილვესი-იოკერიტი | 3:4 (ბ) |
| კალპა-ესეტი | 3:4 (ო) |
| პელიკანსი-ტაპარა | 6:3 |
| სეია პა-იუვისკიულა | 1:3 |
| ჰიფკ-ლუკო | 6:3 |
| ჰამეენლინა-ტპს | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ტრშინეცი | 3:4 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლინჩოპინგი | 2:4 |
| ვეძსიო-როგლე | 1:3 |
| ლულეო-ფრიოლუნდა | 2:1 |
| მოდო-ჰ371 | 3:1 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 1:4 |
| შელეფტეო-ბრიუნესი | 5:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბანგკოკი** | |
| სიმონი-სოედა | 6:4, 6:4 |
| ტომიჩი-სელა | 4:6, 6:3, 6:4 |
| მონფილსი-ტროიცკი | 7:5, 7:5 |
| იანგი-ვერდასკო | 5:7, 4:6 |
| კარლოვიჩი-რაონიჩი | 6:7, 4:6 |
| გასკე-დიმიტროვი | 5:7, 7:5, 6:4 |
| **ATP. კუალა ლუმპური** | |
| ვანგი-მონაკო | 4:6, 5:7 |
| ისტომინი-დავიდენკო | 5:7, 4:6 |
| სისლინგი-ფ. ლოპესი | 7:6, 7:6 |
| დოლგოპოლოვი-ფალა | 3:6, 6:3, 3:6 |
| რამოსი-ნიშიკორი | 7:6, 2:6, 1:6 |
| ფერერი-ბოგომოლოვი | 6:4, 6:2 |
| **WTA. ტოკიო** | |
| ერანი-პეტროვა | 6:3, 5:7, 3:6 |
| სტოსური-შარაპოვა | 6:4, 7:6 |
| ა. რადვანსკა-ვოზნიაცკი | 6:4, 6:3 |

## TV პროგრამა

**28 სექტემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. მიმოხილვა.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. დენ ჰააგი-აიაქსი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ტოტენჰემი-ქუინზ პარკი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. დიუსელდორფი-შალკე (LIVE).
**00:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-ატლანტა.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ნაუტიკო.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-იტალია.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-მაინცი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-ატლანტა.
**00:55** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-არგენტინა.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
**17:30** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. გერმანიისმ ჩემპიონატი. ჰანოვერი-ნიურნბერგი.
**20:00** კალათბურთი .ევროლიგა. ბარსელონა-უნიქსი.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
**23:00** რაგბი. ოთხი ერის თასი. ახ. ზელანდია-ავსტრალია.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 32 | (მზე) |
| ბათუმი | 17 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 16 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 14 | 30 | (მზე) |
| გორი | 9 | 27 | (მზე) |
| თელავი | 14 | 25 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 14 | 28 | (მზე) |
| ბაკურიანი | 7 | 23 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 27 | (მზე) |
| მესტია | 6 | 25 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1292 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6552 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6816 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3060 |

მე-15 გვერდიდან

რომელიც იოლად გაცვალეს რეფორმაციაზე).

მაგრამ მათი განუკითხაობა ადრე თუ გვიან უნდა დასრულებულიყო. ეს 1745 წელს მოხდა, როცა მორიგი მარი, კულოდენში მომხდარ ბრძოლაში იაკობინელების (არ აგერიოთ ფრანგული რევოლუციის პოლიტიკურ მოძრაობაში) განადგურების შემდეგ, ინგლისელებს ტყვედ ჩაუვარდათ და ჩამოახრჩვეს. კლანის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი ქონება კონფისკაციას დაექვემდებარა, ხოლო ცოცხლად გადარჩენილი ნათესავები მიურეები გახდნენ.

სხვათა შორის, ენდის გვარის სწორად წარმოთქმაზე ჟურნალისტებს შორის დიდი კამათია ატეხილი. ერთნი, კერძოდ კი „ტრადიციონალისტები" ჩოგბურთელს მიურეით მოიხსენიებენ, მეორენი ინგლისურად ეძახიან - მარი, მესამენი ევროპულად - მარეი. მაგრამ, სავსებით შესაძლებელია, რამდენიმე წლის შემდეგ, გაჩნდეს მეოთხე ვარიანტი. საქმე ისაა, რომ შოტლანდიის ბრიტანეთიდან გამოყოფის შემდეგ, იქაური ნაციონალისტები ძველი შოტლანდიური ენის რეანიმირებას აპირებენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენდის დაუბრუნდება ძველი მეკობრული გვარი - მორეი.

■ ■ ■

ერთ-ერთი სიმდიდრეწართმეული მიურეი, სახელად **ედვარდი,** გასული საუკუნის დასაწყისში პროვინციულ ქალაქ დანლანში დაფუძნდა და მეწაღედ დაიწყო მუშაობა. მხოლოდ 1970 წლისთვის შეძლო მისმა შვილიშვილმა - **უილიამმა** თანხის დაგროვება ქალაქის ცენტრში ფეხსაცმლის მაღაზიის შესაძენად. ხუთი წლის შემდეგ, მის მაღაზიაში შევიდა ქერათმიანი გოგონა და 44 (!) ზომის ფეხსაცმელი მოითხოვა. ასე შეხვდა უილიამსი თავის საბედოს - 21 წლის საჩოგბურთო ინსტრუქტორს **ჯუდი ჰემილტონს**.

უფროს მარის ოდნავ მაინც რომ სცოდნოდა ძველი შოტლანდიის ისტორია, ის უკანმოუხედავად გაიქცეოდა ამ ქერათმიანი "ალქაჯისგან". ჯუდი იმ კლანიდან მოდიოდა, რომლის წინაპრები მორეების დაუძინებელი მტრები იყვნენ. მაგრამ თავისდა საუბედუროდ (და ჩოგბურთისთვის საბედნიეროდ), მარეიმ არაფერი იცოდა ამის შესახებ, ამიტომაც ერთი ნახვით შეუყვარდა კაცისტერფა გოგონა და ის ცოლად შეირთო. თუმცა მალე უილიამმა ინანა ამ გადაწყვეტილების გამო. ჯუდი საშინელი დიასახლისი აღმოჩნდა და მისი ცხოვრების მთავარი აზრი გახდა ორი ვაჟის პროფესიონალ ჩოგბურთელებად აღზრდა.

იმის გამო, რომ ჩოგბურთი დიდ თანხებს მოითხოვდა, ჯუდიმ გადაწყვიტა... ქმრის მოშორება. მას საწოლში მეძავი ჩაუწვინა, შემდეგ სკანდალი მოაწყო და განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. მის ხელში ღალატის ყველა საბუთი არსებობდა და ენდის დედამ ქმარს მთელი ქონება წაართვა, მათ შორის, ის ცნობილი მაღაზია. მისი გაყიდვიდან მიღებული ფულით მისის მარეიმ შვილი ბარსელონის საჩოგბურთო აკადემიაში გაუშვა სასწავლებლად.

პირენეებზე ცხოვრების პერიოდში გამოჩნდა ენდის ნაციონალისტური ხასიათი. ამბობენ, რომ ერთხელ, ალკოჰოლის ზედმეტი დოზის მიღების შემდეგ, მან მაისურა შემოიხია და ბარსელონის ცენტრში ტრუსებით დააიწყო სირბილი შეძახილებით: *"გაუმარჯოს თავისუფალ კატალონიას! გაუმარჯოს დამოუკიდებელ შოტლანდიას!"*

იმის გამო, რომ პუბლიკა მოწონებით შეხვდა მთვრალი თინეიჯერის სიტყვებს, ადგილობრივმა პოლიციელებმა არ დააპატიმრეს ის და საერთო საცხოვრებელშიც კი მიაცილეს. მაგრამ მიურეის გამოხდომაზე სამშობლოში გაიგეს. პირველად ცხოვრებაში დედამ თავის საყვარელ ვაჟს უყვირა: *"შენ რა, არ გესმის, რომ ჩვენი მტრები სწორედ ამას ელიან! ჯერ ადრეა ნიღბის ჩამოხსნა! თავი ხელში აიყვანე!"*

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

**გია თვალაბეიშვილი**



ენდი დედასთან ერთად




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608